საერთო გაზეთი

№40 (403) • 26 ოქტომბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ოთარ აბესაძე:

დღეს ქვეყნისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი და გარდამტეხი რეფორმები, რომლებსაც მკვეთრი უმრავლესობა ჭირდება

პაატა ცნობილაძე:

გვინდა სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობა? გვინდა სტაბილური განვითარება? მიეცით ხმა საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას!

ნიკოლოზ მჭავანაძე:

ცესკოს დღევანდელი შემადგენლობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს

ზურაბ ქადაგიძე:

„ნაცმოძრაობა“ ძალიან მალე მარტივ მამრავლებად დაიშლება

ნანა კაკაბაძე:

გამოვააშკარავოთ პროექტი, რომლითაც „ნაციონალები“ ამხელა პროცენტით აღმოჩნდნენ პარლამენტში



გრიგოლ გაგნიძე:

თუ აშშ-ი ნამდვილი მეგობარია, დაეხმაროს ხელისუფლებას სააკაშვილის ჩამოყვანასა და გასამართლებაში

მარგალი კოჩი ალექსანდრ პოტიომკინი

რამდენიმე კვირის წინ ზუგდიდიდან დამირეკეს და მითხრეს: ესპანეთში მცხოვრები გერმანელ-მეგრელი კაცი უნდა გაგაცნოთ, ისეთ ტკბილხმოვან მეგრულს ლაპარაკობს, ჩვენაც რომ შეგვშურდებაო.

ასე გავიცანი მარგალი კოჩი - ალექსანდრე პოტიომკინი სკაიპის საშუალებით...



როდის ისწავლიან ეს „გოიმი“ ამერიკელები ქართველებისგან სექსუალური თავისუფლების ანაბანას?

მომავლის საქართველოსთვის

„ქართული ოცნების“ გამარჯვებით მოგვრილ სიხარულს ერთი მწუხარე ამბავი მაინც ახლავს — კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმად აღიარებულ „ნაცმოძრაობას“ 500 000-მდე მხარდამჭერი ჰყოლია თურმე საქართველოში.

დაუჯერებელი ამბავია ეს — „ნაცმოძრაობას“ 500 000 მხარდამჭერი რომ ჰყავდეს, ხუთჯერ გადაატრიალებდა და გადმოატრიალებდა ამ ქვეყანას.

ვფიქრობ, ამ ადამიანების უმრავლესობა „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიის ერთგული მხარდამჭერები კი არ არიან, არამედ არიან ადამიანები, რომლებმაც გარკვეული საზღაურის საფასურად ერთჯერადად გაყიდეს თავიანთი ხმები და ამით დაამთავრეს „ნაცებთან“ ურთიერთობა.

ვისაც უნდა დავენიძლავები — რამე რომ იყოს, ამ 500 000 ადამიანიდან „ნაცები“ ნახევარსაც კი ვერ გამოიყვანენ ქუჩაში.

ჩემი აზრით, ეს იყო პოლიტიკური შეფერილობის „ინტიმური“ კავშირი „ნაცმოძრაობასთან“ ერთი დღით, 30-50 ლარის საფასურად.

რა თქმა უნდა, „პროსტიტუცია“ სამარცხვინოა და ხმის გაყიდვაც ისეთივე სათაკილოა, როგორც სხეულის გაყიდვა, თუმცა ერთისა თუ მეორის გაყიდვა არც სამუდამო ერთგულებას გავალდებულებს მყიდველის წინაშე და არც მასთან საქორწინო გვირგვინის დადგმას.

და მაინც, ის ამბავი, რომ ნაციონალებს 500 000-მდე ადამიანმა მისცა ხმა, უფრო ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების საკვლევი საკითხი მგონია, ვიდრე პოლიტიკოსების, ექსპერტების თუ ჟურნალისტების.

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, ავადაა და მას კვალიფიციური მკურნალობა სჭირდება.

არც ირონიით ვამბობ ამას, არც ნიშნისმოგებით, მითუმეტეს, არც დაცინვით — ვამბობ სრულიად სერიოზულად და ვამბობ დიდი გულისტკივილით — ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ავადაა, ხოლო როგორ უნდა ვუმკურნალოთ მათ, ამაზე საზოგადოების გონიერმა ნაწილმა და სახელმწიფომ ერთად უნდა იზრუნოს.

ქვეყანაში, სადაც საზოგადოების „აღზრდის“ ფუნქციის სადავეები „რუსთავი-2“-ს და მის ფილიალებს უპყრიათ ხელთ, ქვეყანაში, სადაც 1995 წლიდან სააკაშვილი და მისი გუნდი ტვინს ურეცხავდა ადამიანებს, ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ მძვინვარებს „ნაცმოძრაობის“ მიერ დამკვიდრებული ფსიქოლოგიური ტერორი და ადამიანის დაზომბირების ტექნოლოგიები, რა გასაკვირია, თუ ადამიანთა გარკვეული კატეგორიის ფსიქიკამ ვერ გაუძლო ამ სასტიკ გამოცდას და დაავადდა, გონებრივად და სულიერად დახეიბრდა.

სამწუხაროდ, ქართულ სახელმწიფოს ჯერჯერობით არ უფიქრია იმაზე, თუ რა უმძიმესი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო ქართველმა ხალხმა „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში და როგორ უნდა მოხდეს საზოგადოების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და მისი „გადამზადება“ ახალი რეალობისთვის, ახალი ცხოვრებისთვის, ახალი ურთიერთობებისთვის.

* * *

მძიმე სოციალურმა პრობლემებმა და მათი ოპერატიულად გადაჭრის აუცილებლობამ უკანა პლანზე გადასწია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანერი და უმთავრესი საკითხი — სახელმწიფოებრივად მოაზროვნე სამოქალაქო საზოგადოების მიზანმიმართული და თანმიმდევრული განვითარების საკითხი..

ბიძინა ივანიშვილი არ არის პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი, ვისაც მის თანამედროვეთა ერთმა ნაწილმა ღვაწლი არ დაუფასა, თუმცა ივანიშვილსნაირი ადამიანები არ მუშაობენ მხოლოდ იმისთვის, რომ თანამედროვეებმა მადლობა უთხრან. ისინი მუშაობენ მომავლისთვის, ისინი მუსაობენ ისტორიისთვის, რომელსაც თვითონვე ქმნიან თვიანთი მოღვაწეობით.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რაც 8 ოქტომბერს მოხდა (ვგულისხმობ „ნაცმოძრაობისთვის“ ამომრჩეველთა 27-პროცენტიან მხარდაჭერას) სწორედ ეს მგონია.

არის კიდევ ერთი გარემოება — ეს არის მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობა იმის შესახებ, რასაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ ოთხი წლის განმავლობაში აკეთებდა.

იმ რეფორმებს, იმ პროექტებს, იმ ბიზნესინიციატივებს, რასაც ქართული ოცნება ამ ოთხწლიან პერიოდში ახორციელებდა, ერთობლიობაში, ურთიერთკავშირში თუ განვიხილავთ, ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება — ეს არის ეროვნული ხელისუფლება, ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა, რომელიც გაუაზრებლად, ამორფულად კი არ აკეთებს იმას, რასაც აკეთებს, არამედ თავის ქმედებებში ეყრდნობა კარგად გააზრებულ და აწონილ-დაწონილ, თავისი ქვეტექსტით და შინაარსით პერსპექტივაზე გათვლილ ღრმად ეროვნულ კონცეფციას, თუმცა ამის შესახებ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არაფერი იცის.

ამ კონცეფციას ჰყავს თავისი ავტორი — ბიძინა ივანიშვილი, დიდი ქველმოქმედი, მეცენატი, როგორც მას მოვიხსენიებთ ხოლმე, თუმცა ამას რომ ვამბობთ, ერთი მთავარი მომენტი გვავიწყდება.

საქმე ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული საქმეები ყოველთვის გულისხმობდა რაღაც უფრო განსხვავებულს და მეტს, ვიდრე ქველმოქმედება და მეცენატობაა და ამ განსხვავებულს და მეტს თამამად შეიძლება ჯუჯოდოთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის კარგად მოფიქრებული გეგმა.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლის და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც იმ გენერალურ ხაზს მიჰყვება, რომელიც მისი ქველმოქმედების და მეცენატობის დასაწყისიდან იღებს სათავეს და ამ ხაზის წყვეტა მთელი ამ ხნის განმავლობაში არასოდეს მომხდარა.

შეიძლება ჩემი ეს სიტყვები ვიღაცას ბიძინა ივანიშვილის საამებლად ნათქვამ სიტყვებად მოეჩვენოს, მაგრამ ეს სულაც არ არის ასე — მე, უბრალოდ, ვცდილობ, სწორად და ობიექტურად დავინახო და სხვებსაც დავანახო საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესების რეალური სურათი და ისიც, ვინ არის ამ სურათის შემოქმედი და ავტორი.

...რა თქმა უნდა, ძალიან მაღიზიანებს და აღშფოთებას იწვევს, როცა თავად არარაობანი და არაფრისმაქნისნი კილვით და ქირდვით იხსენიებენ ბიძინა ივანიშვილის სახელს. დიახ, უკიდურესად მაღიზიანებს ამგვარი უზნეობა და უმადურობა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც დიდად არც მიკვირს.

საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც თავიანთი დიდი თანამედროვეების, დიდი მოჭირნახულეების და მოამაგეების ღვაწლის დანახვა და დაფასება ტრადიციულად ყოველთვის უჭირდათ და, ცხადია, დღესაც უჭირთ.

ბიძინა ივანიშვილი არ არის პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი, ვისაც მის თანამედროვეთა ერთმა ნაწილმა ღვაწლი არ დაუფასა, თუმცა ივანიშვილსნაირი ადამიანები არ მუშაობენ მხოლოდ იმისთვის, რომ თანამედროვეებმა მადლობა უთხრან. ისინი მუშაობენ მომავლისთვის, ისინი მუსაობენ ისტორიისთვის, რომელსაც თვითონვე ქმნიან თვიანთი მოღვაწეობით.

გაივლის ნახევარი საუკუნე, ერთი საუკუნე, ორი საუკუნე და იქ, შორეულ მომავალში დაბადებული ქართველი კაცი წარსულის ფურცლებს რომ გადაავლებს თვალს, გაოგნებული და გაკვირვებული დარჩება ბიძინა ივანიშვილის ნამოქმედარით და ნამოღვაწარით, მის მიერ გაკეთებული საქმეების გრანდიოზული მასშტაბებით და აუცილებლად ეტყვის გულწრფელ მადლობას კაცს, რომელმაც მას საშობლო გადაურჩინა.

ეს არის მთავარი და უპირველესი და არა ის, რას იტყვიან ხელმოცარული პოლიტიკოსები, მედროვეები და ავანტურისტები, პროვოკატორები და სულით ბინძური არარაობები.

ვახტანგ ხარჩილავა

ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნაზე

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ოთარ აბესაძე:

დღეს ქვეყნისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი და გარდამტეხი რეფორმები, რომლებსაც მკვეთრი უმრავლესობა ჭირდება

რა დადებითი და უარყოფითი შედეგები ექნება „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლას, რას ფიქრობს არჩევნების შედეგებსა და ოპოზიციური პარტიების ბრალდებებზე, რას ურჩევს უკრაინის ხელისუფლებას და რა მიაჩნია ტრაგიკომიკულ სიტუაციად ქართულ პოლიტიკაში, ამაზე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ აბესაძე გვესაუბრა:

– სამოქალაქო საზოგადოების იდეის ინიციატივა ცალსახად, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისგან მოდის და ჩემი აზრით, არასწორია, ვინაიდან, საკონსტიტუციო უმრავლესობა სახიფათოა მცდარი, მანიაკალური იდეოლოგიური სექტისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების მქონე პოლიტიკური გუნდის ხელში, რაც უკვე ვნახეთ. ამჟამად ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომლის ამოსავალი წერილი სახელმწიფო ინტერესებია. „ქართული ოცნების“ მთავარი ლაიტმოტივია, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელსაც აუცილებლად მიიღებს, სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს. „ქართულ ოცნებას“ მემკვიდრეობით ერგო მიხეილ სააკაშვილზე ორიენტირებული, დამახინჯებული კონსტიტუცია, რომელსაც სახელმწიფო ინტერესებზე და სახელმწიფო ინსტიტუტების პატივისცემაზე დაფუძნებული კონსტიტუციის ფორმირება ჭირდება. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ გამართული, სახელმწიფო პრიორიტეტებზე და არა ადამიანის „ხუშტურებზე“ ორიენტირებული კონსტიტუცია გვქონდეს. პრაქტიკულად, გამორიცხულია და დღეს არავინ მისცემს საკუთარ თავს უფლებას, რომ სხვადასხვა მიზნების გამო, კონსტიტუცია მოირგოს. მინდა წინასწარ მივულოცო ჩვენს მოსახლეობას, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ, სწორი კონსტიტუციური ჭრილი ფორმირდება, რომელიც ქვეყანას ნორმალური მიმართულებით წაიყვანს.

– მოდით, არჩევნების თემას დავუბრუნდეთ. არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ მხოლოდ რესპუბლიკელებს და „თავისუფალ დემოკრატებს“ არ დაუყენებიათ. სხვები ერთხმად, არჩევნების გაყალბებაზე საუბრობენ..

– დიახ, ყველა რაღაცას ამბობს, მე კი შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი დემოკრატიული და წყნარი საარჩევნო პროცესი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში არ ყოფილა. არც ერთი პარტიის წარმომადგენელს და მაჟორიტარობის კანდიდატს პრობლემა არ ჰქონია, რომ თავისი სიტყვა და პროგრამა ამომრჩევლამდე მიეტანა. სირცხვილია, დარღვევებზე და გაყალბებებზე საუბარი. საინტერესოა, რომელიმე პარტიას ხელისუფლებაში მოსვლის ილუზია ჰქონდა? თუ არა, ზოგიერთების ლოგიკით, გამოდის, რომ არჩევნები გააყალბა ძალამ, რომელიც მოცემულ სიტუაციაში, უალტერნატივო იყო და თავად გახლდათ მოტივატორი, რომ სამაგალითო არჩევნები ჩაეტარებინა?

„ქართულ ოცნებას“ არჩევნები არ ჩაუტარებია. არჩევნები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა და „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო. შესაბამისად, პრეტენზიების შემთხვევაში, პოლიტიკურმა პარტიებმა საჩივრით ცესკოს უნდა მიმართონ.

– სხვათა შორის, პირველივე ტურის დამთავრებისთანავე, დოლარის კურსის ვარდნაც ხელისუფლებას დაბრალდა.

– დოლარის კურსი წმინდა წყლის ეკონომიკური პროცესია და არჩევნებთან აბსოლუტურად არავითარ კავშირში არაა. ვალუტის კურსი დამოკიდებულია რეგიონალურ პოლიტიკაზე, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით, საქართველოზე აისახება. წმინდა ეკონომიკური ტერმინებით რომ ვისაუბროთ, დღეს საქართველოში სავალუტო კრიზისის ნიშნებიც კი არ შეიმჩნევა. ეს არის მცოცავი კურსი, რომელზეც ყველა შიდა და გარე ფაქტორი ძალიან ფაქიზად აისახება. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ისეთი მდგრადი და განვითარებული ეკონომიკა, რომ სხვაზე დამოკიდებული არ ვიყოთ.

– სანდრა რულოვსმა მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ელოდით მოვლენების ამგვარ განვითარებას?

– სანდრა რულოვსმა არჩევნები პირველ ტურში წააგო და ჩემი პროგნოზით, მეორე ტურშიც წააგებდა.

ძალიან მიკვირს სანდრა რულოვსის შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, საქართველოში მკვლელობები არ ხდებოდა, ყველაფერი გადასარევად იყო და სააკაშვილს თუ ჩახედავდა თვალებში, ის ძალადობას აღარ გაიმეორებდა. ზოგადად, სანდრა რულოვსი ჩემთვის პოლიტიკოსი არ არის.

სანდრა რულოვსი პოლიტიკაში როგორც დამოუკიდებელი ფიგურა კი არა, როგორც სააკაშვილის მეუღლე, ისე შემოვიდა. საერთოდ, ტრაგიკომედიაა, როცა საქართველოს „გადასარჩენად“ იბრძვის ერთ-ერთ მთავარი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც უკრაინის მოქალაქე და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირია. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრის მისი მეუღლე, რომელიც თუ არ ვცდები, ჰოლანდიის მოქალაქეა და შვილები ამერიკის მოქალაქეები ჰყავთ. საინტერესოა, როცა მეგობარი სახელმწიფოს ერთ-ერთი პოლიტიკური ხელმძღვანელი საქართველოში რევოლუციას და გადატრიალებას გეგმავს, ეს დია პოლიტიკური ანექსია არ არის? დიახ, საქართველოსთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მეზობელი რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთი შემიქმნის პრობლემებს თუ მეგობარი უკრაინა? ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უკრაინის ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნის მოქალაქის და პოლიტიკური თანამდებობის პირის ამბიციები მოთოკოს, რომ სხვა ქვეყნის არჩევნებში და შიდა საქმეებში არ ჩაერიოს.

– „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზაზა გაბუნიამ სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, ანტინაციონალურ კოალიციის შექმნა დააანონსა, რომელიც საზოგადოებას ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს შეახსენებს.

– ნაციონალური მოძრაობა ქართული პოლიტიკური დღის წესრიგის განმსაზღვრელი აღარ იქნება. არჩევნების მეორე ტურში „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს და ქვეყნის განვითარების პროცესი დაიწყება. სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენი ვალდებულებაა, მაქსიმალურად მივიდეთ არჩევნებზე და ხმა ჩვენთვის სასურველ კანდიდატს და ქვეყნის უკეთეს მომავალს მივცეთ.

„ტრაგიკომედიაა, როცა „საქართველოს გადასარჩენად“ იბრძვის ერთ-ერთ მთავარი ოპოზიციური პარტიას ხელმძღვანელი, რომელიც უკრაინის მოქალაქე და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირია. საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრის მისი მეუღლე, რომელიც თუ არ ვცდები, ჰოლანდიის მოქალაქეა და შვილები ამერიკის მოქალაქეები ჰყავთ.“

ნელი თორდია
571 35 36 88

ნანა კაკაბაძე:

უნდა გამოვააშკარავოთ პროექტი, რომლითაც „ნაციონალები“ ამხელა პროცენტით აღმოჩნდნენ პარლამენტში

ვინ გაწმენდს „ნაციონალებისგან“ და ვინ შეისწავლის მილიონების უკანონოდ მხარჯველი თამარ ჟვანიას საეჭვო საქმიანობას?

ორგანიზაცია „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის 27% საეჭვოდ ეჩვენება და ხელისუფლებას გაუქმებული ბიულეტენების გადათვლას თხოვს. „გაუქმებულია 150 ათასზე მეტი ბიულეტენი. თუ ხელისუფლება წამომყვება იმაზე, რომ გადავთვალოთ და გადავამოწმოთ, სწორედ ეს ბიულეტენები იქნება ერთ-ერთი მტკიცებულება იმისა, რომ შედეგები „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდაა შეცვლილი. რომ არ მქონდეს გარკვეული ინფორმაციები, ამას არ ვიტყოდი“, — განაცხადა ნანა კაკაბაძემ. როგორ უნდა გაუყალბოს ოპოზიციამ ხელისუფლებას არჩევნები, რა აძლევს ამის თქმის საფუძველს, რომელ

ინფორმაციებს გულისხმობს და რამდენად შესაძლებლად მიაჩნია გაუქმებული ბიულეტენების გადათვლა? ამაზე ნანა კაკაბაძეს ვესაუბრეთ:

— ამის თქმის საფუძველს პირველ რიგში ის მაძლევს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისევ ხათუნა გოგორიშვილის, ლევან თარხნიშვილის და ზურაბ ხარატიშვილის დანიშნული კადრები არიან. დეპარტამენტის ხელმძღვანელებად ისევ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა ოჯახის წევრები და ახლობლები მუშაობენ. გვარების დასახელებაც შემიძლია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს.. ფაქტია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძირითადი ბირთვი არ შეცვლილა და ისევ ყოფილი ხელისუფლების მხრიდან იმართება. არჩევნების პროცესში ჩართული საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ კომისიებს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მართავდნენ და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო ხდებოდა, რომ სხვები გაუცნობიერებელი და გამოუცდელი ადამიანები იყვნენ. მხოლოდ გაუცნობიერებელი კომისიის წევრებს შეეძლოთ 150 000-მდე ბათილად ცნობილი ბიულეტენი დაედოთ, იმიტომ, რომ ვერ შეძლეს ან მიზანმიმართულად არ მოახდინეს ბიულეტენის მფლობელის იდენტიფიცირება.

— **თქვენი აზრით, ამაში ნაციონალების ხელი ურევია?**

— დიახ, ვფიქრობ, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის აქტიური ჩარევით მოხდა. ამიტომ უნდა გაიხსნას ყუთები და ინახოს, ვისი ხმებია გაბათილებული. 150 000 იმხელა ციფრია, რომ ეს ძირითადად, დიდი მხარდაჭერის მქონე პარტიების ხმები უნდა იყოს. ნაციონალური მოძრაობა იმდენად უფრთხილდებოდა ნაყიდ თუ ნამდვილ მხარდამჭერთა ხმებს, რომ არა მგონია, გასაბათილებლად გაემეტებინა. სავარაუდოდ, ისეთი პარტიების ხმები გაბათილდა, რომელთა მიმართ ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ინტერესი და ასეთი პირველ რიგში „ქართული ოცნებაა“. არც ერთი კვლევას, მათ შორის არც ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულს ნაციონალებისთვის ამხელა პროცენტი არ მიუცია. საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან, ყველა არჩევნებზე მონიტორინგს ვატარებდით და რეიტინგებს ვამოწმებდით, მაგრამ ის, რაც ახლა მოხდა, უპრეცედენტოა. ნაციონალების შედარებით მაღალი რეიტინგი დაფიქსირდა, როცა „ქართულმა ოცნებამ“ კოჰაბიტაცია გამოაცხადა. მაშინ ხელისუფლებაზე განაწყენებულ საზოგადოებაში ერთგვარი საპასუხო რეაქცია გაჩნდა და ნაციონალების რეიტინგი 13%-ზე ავიდა, მაგრამ ეს 27% საიდან მოვიდა? ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე ხვდება, რომ ეს არ არის რეალური პროცესი და ამ ფაშისტურ ძალას ქვეყნის ყოველი მეოთხე მოქალაქე ხმას არ მისცემდა.დაკვირდით, ოთხი ტელეკომპანიის (პირველი არხი, ჯიდიესი მაესტრო და იმედი) დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგები არჩევნების შედეგებს ზუსტად იმ ცდომილებით დაემთხვა, როგორც ეგზიტპოლების შემსრულებლები ვარაუდობდნენ. ანუ ნაციონალური მოძრაობის გარდა, ყველა პარტიასთან 1-დან 2%-მდე ცდომილება იყო. ნაციონალურ მოძრაობას კი ეგზიტპოლების შედეგებზე 8,5%$-ით მეტი აღმოაჩნდა. ჩნდება კითხვა — თუ ტელეკომპანიებს ეგზიტპოლები გაუყალბეს, რატომ არ აპროტესტებენ და თუ არ გაუყალბებიათ, როგორ მოხდა, რომ ეგზიტპოლის შედეგები არჩევნების შედეგებს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ და ქართული ოცნების საზიანოდ არ დაემთხვა?

— **რატომ ვერ მოახერხა ქართულმა ოცნებამ საკუთარი კადრების მომზადებინა, რომ არჩევნებზე დასაყრდენად ნაციონალური მოძრაობა არ ჰყოლოდა?**

— არ ვიცი.. თუ ვთანხმდებით, რომ ნაციონალური მოძრაობა დანაშაულებრივი და ფაშიზმის ტოლფასი ძალა იყო, მასთან დემოკრატიობანას თამაში გაუგებრად მიმაჩნია. ყველას გვახსოვს, რომ ნაციონალური მოძრაობის ეს ჯგუფი არჩევნებს მოქალქეთა კავშირის დროსაც აყალბებდა. სწორედ მაშინდელი მოქალქეთა კავშირის წევრებმა და მომავალმა ნაციონალებმა შემოიტანეს გაყალბების ტექნოლოგიები, თორემ ზვიად გამსახურდიას დროს, ნამდვილად გაუყალბებელი არჩევნები ჩატარდა. ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში, როგორიც ცენტრალური საარჩევნო კომისიაა, გამყალბებლების და კრიმინალების შენარჩუნება და ბიუჯეტიდან დაფინანსება დემოკრატიულობას არ ნიშნავს. არა მგონია, რომ გერმანელმა ერმა ფაშიზმი არადემოკრატიულობის გამო გაასამართლა. ფერფლად ქცეული ქვეყანა სწორედ იმიტომ აღორძინდა და განვითარდა, რომ ასეთ რეჟიმებზე თქვა უარი, თორემ ფაშისტები რომ თანამდებობებზე შეენარჩუნებინა, მათთვის ბიზნესი რომ დაეტოვებინა, პარლამენტებში რომ შეეყვანა და ისევ პოლიტიკაში შეეშვა, გერმანია დღეს დანგრეული ქვეყანა იქნებოდა. **სწორედ ახლა უნდა გვიპასუხოს ხელისუფლებამ, რატომ არიან ნაციონალების კადრები მაღალ თანამდებობებზე პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, განათლების და კულტურის სამინისტროებში.თამარ ჟვანიამ მილიონები რომ ხარჯა და ბიუჯეტის ფულით კანარის კუნძულებზე დასვენება არ დაუკლია, ჯობდა, კომისიის წევრები გადაემზადებინა.** ვიმეორებ, არ მჯერა, რომ საქართველოში ყოველმა მეოთხე ადამიანმა ნაციონალურ მოძრაობას მისცა ხმა და ყველაზე მეტი ეჭვის საფუძველს ის მაძლევს, რომ **ჟვანიას მაღალ თანამდებობებზე ჰყავს პირდაპირ ნაციონალური მოძრაობასთან ასოცირებული ადამიანები, რომლებიც საარჩევნო პროცესებს მართავენ და აკონტროლებენ.**

— **გაქვთ მოლოდინი, რომ ხელისუფლება ბიულეტენების გადათვლაზე დაგთანხმდებათ?**

— მე უკვე მქონდა ამაზე საუბარი. მეუბნებიან კი ბატონო, მართალი ხარ, მაგრამ ეს პროცესები რომ დაიწყოს, სანამ ბიულეტენები დაითვლება და სასამართლო პროცესები გაიმართება, პარლამენტის საქმიანობა მინიმუმ ოთხი თვით უნდა შეჩერდესო. შე დალოცვილო, აქამდე საქმე რატომ მიიყვანე? არჩევნებამდე არ უნდა გეზრუნა, რომ ცესკო ნაციონალებისგან გაგეწმინდა და თავმჯდომარედ ისეთი ვინმე არ დაგენიშნა, ვინც ქვეყნის ბიუჯეტს არ შეჭამდა? არჩევნების პერიოდში 20 000-იანი და 25 000-იანი ხელფასები, საშვილთაშვილოდ ცხოვრების აწყობა და კანარის კუნძულებზე დასვენება კი არა, ეს უნდა იყოს აბსოლუტურად საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე სტრუქტურა, სადაც ადამიანები ქვეყნის ინტერესების გამო იმუშავებენ. ძალიან ბევრ ქვეყანაში, თუნდაც ბრიტანეთში, ითვლება, რომ პატივი გერგო და ასეთ მნიშვნეოოვან უწყებაში დაგასაქმეს. ცესკოს თანამშრომლები მარტო პროფესიონალიზმის კი არა, წესიერების თვალსაზრისითაც უნდა შეარჩიონ. უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ მოხვეჭაზე ორიენტირებული ადამიანი ყველაფერზე წავა. ეს არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ— ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სიტუაციას ნაციონალები აკონტროლებენ და პირდაპირ გამოხატავენ „ქართული ოცნების“ მიმართ სიძულვილს და უარყოფით დამოკიდებულებას. ხმების დათვლის პროცესშიც ბევრი გაურკვევლობაა: თუ 16 ოლქის დათვლას სამი დღე ჭირდებოდა, მაშინ 3700 ოლქი ერთ დღეში როგორ დათვალეს? და პირიქით, 3700 ოლქი თუ ერთ დღეში დათვალეს, 16 ოლქის დათვლას სამი დღე რად უნდოდა?

ვფიქრობ, ქვეყნისთვის ყველაზე სერიოზული პრობლემა მეორე ტურის შემდეგ დაიწყება. „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობითაც რომ შევიდეს, 30 დემაგოგი ნაციონალის პარლამენტში ყოფნა თავის უარყოფით შედეგებს მოიტანს, ამიტომ უნდა გაირკვეს, რა მოხდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. რანაირად დათვალეს და გამოიყვანეს ეს 27% ნაციონალებმა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გამოვააშკაროთ პროექტი, რომლითაც ნაციონალები ამხელა პროცენტით აღმოჩნდნენ პარლამენტში.

ნელი თორდია
571 35 36 88

გვინდა სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობა? გვინდა სტაბილური განვითარება? მიეცით ხმა საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, კონსტიტუციონალისტი პაატა ცნობილაძე.

– ბატონო პაატა, თქვენი აზრით უნდა დაუჭიროს მხარი საქართველოს ამომრჩეველმა საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას?

– თუ არ გინდათ, რომ ქვეყანა ისევ უმუშევრობისა და სიღატაკის პირობებში იყოს, ნუ დაუჯერებთ ნურავის და თამამად მიეცით ხმა საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას. ის, რომ მეტის მოლოდინი გვქონდა და გარკვეულწილად ნიჰილიზმმა მოიცვა ჩვენი განწყობა უამრავი დანაპირების შეუსრულებლობის გამო, გასაგებია, მაგრამ უსამართლობა იქნება, არ გავიხსენოთ რეალური მიზეზები ამისა. როდესაც ბიძინა ივანიშვილი ქმნიდა კოალიციას, ეს არ იყო გათვლილი

იდეურ ერთობაზე. ის გათვლილი იყო ძალთა დაბალანსებაზე ისე, რომ მოხერხებულიყო საკაშვილის ხელისუფლებისგან ჩამოცილება და ამისათვის ამ ძალების რაციონალური გამოყენება. მით უმეტეს, რომ საზოგადოება მომწიფებული იყო ასეთი ცვლილებისათვის. ეს მაშინ ყველას აძლევდა ხელს. ერთი მხრივ, საკუთრივ „ოცნებას“, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის შემწეობით ჰქონდა თუნდაც ამ უთანასწორო ბრძოლისათვის საკმარისი მატერიალური შესაძლებლობები, მაგრამ არ ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული შიდაპარტიული სტრუქტურა, მეორე მხრივ კი პარტიები, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული საარჩევნო გამოცდილება, მეტნაკლებად ჩამოყალიბებული პარტიული სტრუქტურა, მაგრამ არ ჰქონდათ საკმარისი ფინანსური რესურსი და რაც მთავარია, არ ჰყავდათ ელექტორატი, საკუთარი ძალებით მისულიყვნენ ხელისუფლებაში, რაც დადასტურდა კიდეც ბოლო არჩევნებში. მართალია, ყველა კარგად ხვდებოდა, რომ ასეთი ერთობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მაქსიმუმ, შემდგომ არჩევნებამდე, რადგან კოალიციაში გაერთიანდა იდეოლოგიურად სრულიად განსხვავებული ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის მქონე ძალები. მაგრამ მიზანი იყო ერთი: ნაციონალური რეჟიმის შეცვლა. გამარჯვების შემდგომ, თითქოს ყველაფერი ლოგიკურად უნდა განვითარებულიყო, მაგრამ თავი იჩინა ახალმა რეალობამ. ახალი ხელისუფლება, გასაგები თუ გაუგებარი მომიზეზებით, იძულებული გახდა წასულიყო დათმობებზე და წინა ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციურმა რეჟიმმა გამოიწვია უამრავი შეცდომა, რამაც განაპირობა თითქმის სამწლიანი სახელისუფლებო უძრაობა, დაახლოებით ისეთი, მანქანის ამოყვანა რომ გინდა ლაფიდან, პედალს რომ აწვები, მაგრამ მხოლოდ ოდნავ წინ და უკან რომ მოძრაობ. არჩევნების შემდგომ, იმთავითვე გაისმოდა სწორი მოწოდებები მკაცრი საკადრო პოლიტიკის გატარების შესახებ, უწინარესად, სამართალდამცავ სისტემაში, რომელსაც პარალელურ რეჟიმში უნდა მოჰყოლოდა სისტემური რეფორმები. თუმცა, ჯერ ერთი, ბატონი ბიძინა ივანიშვილის აქ უკვე ყოფილმა გარემოცვამ, დაარწმუნა იგი იმაში, რომ ქვეყანაში არ არსებობდა იმათზე უფრო კვალიფიციური ადამიანური რესურსი, ვიდრე არსებული და მეორე, კოჰაბიტაციურმა მმართველობამ ფაქტობრივად მოსპო ამ ვითარებაში რაიმე სისტემური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ იყო საკონსტიტუციო უმრავლესობის არ არსებობა. ამას დაემატა პარტია «ქართული ოცნების» არასწორი პარტიული მენეჯმენტი (პარტიამ ვერ მოახერხა მოკლე დროში მყარი კონსტრუირება), კოალიციის შიდა პოლიტიკური და კულუარული ინტრიგები, წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა არასწორი გადაბირებისა და პორტირების პროცესი, ურეიტინგო პარტიების ხელისუფლებაში ყოფნით გამოწვეული ამბიციების ზრდის ტენდენცია, ივანიშვილის ხათრითვე არჩეული პრეზიდენტის გზააბნეული ლავირებები და სხვა, რის შედეგადაც მივიღეთ არა ეფექტური მმართველობა, არამედ რევანშისტული ძალების გააქტიურება და საბოტაჟური საქმიანობა სახელისუფლებო ინსტიტუტების თითქმის ყველა რგოლში, მათ შორის, სასამართლო სისტემაში ოდესიდან ნაკარნახევი სცენარებით. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე რთულად ჩაიარა წინა 4 წელიწადმა, მიმაჩნია, რომ ერთი სასარგებლო რამ მაინც მოხდა - კოალიციის წევრთა სრული ლუსტრაცია. უმადურობა და საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესების დაკმაყოფილება, ულტიმატუმის ენით საუბარი “ოცნებასთან” და ივანიშვილის ხარჯზე ხელისუფლებაში გამაგრების მცდელობა - ეს იქცა მათ ძირითად საქმიანობად. ასეთმა ანტისახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ აქცია სწორედ კოალიცია საერთო მიზნის არმქონე ფორმალურ გაერთიანებად, რამაც იმოქმედა სწორედ ხალხის დაბნეულობაზე და ამომრჩევლის პასიურობაზე, ქვეყნის განვითარების ტემპებსა და მოსახლეობის კეთილდღეობის მკვეთრ გაუმჯობესებაზე და რომ არა ბიძინა ივანიშვილის გააქტიურება, ასევე ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის,, გიორგი კვირიკაშვილის გაწონასწორებული საქმიანობა, ვერ ვიტყვი, რომ ამ არჩევნებში ცალსახად გამარჯვება “ოცნებას” დარჩებოდა.

– საკონსტიტუციო უმრავლესობის დადებით და უარყოფით მოვლენებს როგორ შეაფასებთ?

– ნუ შეუშინდებით საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას. რასაკვირველია, ყველა მოვლენას თუ პროცესს თავისი მინუსები, ანუ გვერდითი მოვლენები ახლავს, მაგრამ როცა პლუსები სჭარბობს, მაშასადამე, ის სასიცოცხლო მედიკამენტად უნდა მივიღოთ. ასეთი კი ამ შემთხვევაში, უპირობოდ, საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნაა. ცდება ყველა და ხალხიც შეცდომაში შეჰყავს, ვინც ამას ცალსახად მინუსად თვლის. საკმარისია დავასახელოთ ორი სახელმწიფო - ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი. ფრანკოსშემდგომი ესპანეთი სწორედ რომ რეფორმატორული ხელისუფლების საკონსტიტუციო უმრავლესობამ გამოიყვანა უსწრაფესად კრიზისიდან და ევროპის ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია, ხოლო დიდი ბრიტანეთი სწორედ იმითაა ცნობილი, რომ როდესაც პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას ეუფლებოდა ერთი ან მეორე პარტია, სწორედ ამ პერიოდებს უკავშირდებოდა ბრიტანეთის სამეფოს აღმავლობის პროცესები. იგივე შეგვიძლია ვთქვათ გერმანიაზე, თუ გაიხსენებთ ჰელმუტ კოლისა და გერმანიის ქრისტიან-დემოკრატთა მმართველობის ხანას. ეს ჩვეულებრივი პროცესია. ის არ არის მუდმივი. მთავარია, მყარი საკონსტიტუციო წესრიგის შექმნა და არა სააკაშვილისეული ნეტარყუჩობა ძალაუფლების მორგებისა და მისით ტკბობისა. პატივცემულო ექსპერტებო, იქნებ შეგვახსენოთ, საკონსტიტუციო უმრავლესობის არქონის გამო ხომ არ მოხდა, რომ წინა მოწვევის პარლამენტში შეუძლებელი აღმოჩნდა საკონსტიტუციო რეფორმისა და სხვა მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებების გატარება? გარდა ამისა, როგორც წესი, ასეთ პირობებში მკვეთრად მატულობს საკონსტიტუციო უმრავლესობის პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ქვეყნის ეფექტური მართვაზე. ეს ნიშნავს, რომ არაეფექტური მართვის შემთხვევაში მთლიანად აგებს პასუხს მმართველი ძალა. გამოირიცხება საბოტაჟის შესაძლებლობაც. საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნა კიდევ ერთი რამის გამოა აუცილებელი. პარტიამ, რომელმაც ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულების გამო არ აგო პასუხი, კვლავ მოგვევლინა მეორე საპარლამენტო ძალად. თუმცა, წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით, საგრძნობლად ნაკლები გავლენებით. ნუღარ მივცემთ იმას, რასაც არ იმსახურებენ. გვინდა სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობა? გვინდა სტაბილური განვითარება? მიეცით ხმა საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას. თუ არადა, პარლამენტში მივიღებთ არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის დიქტატურას.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ფიქრები არჩევნების შემდეგ და არჩევნების წინ

ნიკოლოზ მჭავანაძე: ცესკოს დღევანდელი შემადგენლობა არჩევნების შემდეგ აუცილებლად უნდა შეიცვალოს

ზურაბ ქადაგიძე: „ნაცმოძრაობა“ ძალიან მალე მარტივ მამრავლებად დაიშლება

არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მიღებულმა შედეგმა, საზოგადოების უმეტეს ნაწილში, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვება გამოიწვია. ნაციონალები არჩევნების გაყალბებაზე რომ საუბრობენ, ეტყობა მართლაც გაყალბდა, ოღონდ გამყალბებელი ისევ თვითონ იყვნენ, თორემ პარტიამ, რომელმაც 20.000 მხარდამჭერიც კი ვერ შეაგროვა ე.წ. ვარდების მოედანზე, როგორ მიიღო თითქმის ნახევარი მილიონი ხმაო. ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, „უფლებდმცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი **ნიკოლოზ მჭავანაძე** და „ქართული ოცნების“ წევრი **ზურაბ ქადაგიძე** გვესაუბრნენ.

ნიკოლოზ მჭავანაძე: „მე არჩევნებამდეც არაერთხელ მითქვამს, რომ არ შეიძლებოდა ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას ნდობა, რადგან ეს ქალბატონი დაახლოებულია ფსევდოლიბერალურ ძალებთან (ნაციონალები, რესპუბლიკელები და ა.შ.) და მათ „სამჭედლოსთან“, ასე რომ ყოფილი „კაგებეშნიკივით“, არც ყოფილი ნაციონალი არსებობს. დავიწყოთ იმით, რომ ცესკომ სრულიად უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, როცა „თოფაძე-მრეწველები“ არჩევნებიდან მოხსნა, ასე რომ არ ყოფილიყო, სასამართლო არ აღადგენდა. ცესკოს წარმომადგენლების მხრიდან ხშირად კეთდებოდა ერთმანეთთან შეუსაბამო განცხადებები, მათ სამი დღის განმავლობაში ვერ დათვალეს რამდენიმე უბნის შედეგები, რამაც ნაციონალებს ალიაქოთის საბაბი მისცა, აქაოდა, არჩევნებს აყალბებენო. ვფიქრობ, ეს ყველაფერი სპეციალურად კეთდებოდა. უამრავ საარჩევნო უბანზე ცესკოს თანამშრომლები მოუმზადებლები იყვნენ, ისეთ ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ. მეც მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რაღაც არასამართლებრივი მოხდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაციონალებს ამდენი ხმა არ უნდა მიეღოთ, მიუხედავად იმისა, რომ მხარდამჭერები ყავთ. არაერთხელ თქმულა, რომ გრანტები, რომელსაც ცესკოს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაცია ანაწილებდა, ძირითადად იმ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაიცემოდა, რომლებიც ნაცმოძრაობის სატელიტებად ითვლებიან. გასათვალისწინებელია, რა კატეგორიის ხალხითაა დაკომპლექტებული ცესკოს შემადგენლობა, მარტო თამარ ჟვანია კი არა, მისი მოადგილეებიც დაახლოებულნი არიან ნაცმოძრაობასთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვი მაქვს, რომ ყველაფერი კეთდებოდა, რათა ნაციონალებს რაც შეიძლება მაღალი მაჩვენებელი ჰქონოდათ. ვფიქრობ, მართლაც საჭიროა საარჩევნო ყუთების გახსნა, რადგან არ არის გამორიცხული, რომ საარჩევნო უბნებზე დაწერილი მონაცემები, ნაციონალების სასარგებლოდ იყოს გაყალბებული. საარჩევნო ადმინისტრაციის ისეთი დისკრედიტაცია, როგორიც თამარ ჟვანიამ მოახდინა, არავის მოუხდენია, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საარჩევნო უბანზე ცეკვა-თამაშის გამართვა რაღა იყო, პირველად ვნახე ასეთი სამარცხვინო რამ. კომისიის წევრებს ის მაინც არ აუხსნეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მათ ხელფასს იმაში ვუხდით, რომ მსოფლიოს თვალში ბანანების ქვეყანად წარმოვეჩინეთ? ეს რაც გახმაურდა თორემ, სხვაგან რა ხდებოდა, კაცმა არ იცის. ვფიქრობ, შესაბამისი საგამოძიებო უწყებები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, რათა გაირკვეს ამ არჩევნებზე რასთან გვქონდა საქმე, როგორ შეიძლება მწამებლებსა და გამაუპატიურებლებს ნახევარ მილიონამდე ადამიანი უჭერდეს მხარს. ეს არის აბსურდული ციფრი, რომელსაც თვითონ ნაციონალებიც ვერ იჯერებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამბობდნენ არჩევნებს მოვიგებთო. ნიშანს გვიგებენ ახლა უფრო მეტი ხმა მოვაგროვეთ, ვიდრე ჩვენს მიერ ჩატარებულ არჩევნებზეო“.

– მთაწმინდის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ნაციონალ ნიკა რურუას წარმომადგენელს აღმოუჩინეს. გამორიცხავთ, რომ სხვაგანაც იგივე არ ხდებოდა?

– ხომ არ გავიწყდებათ, რომ არჩევნების გაყალბების „დიდოსტატი“ ხათუნა გოგორიშვილი კვლავ ნაცმოძრაობაშია, წლების განმავლობაში ამ გუნდის საარჩევნო „მოღვაწეობა“, ყველას კარგად მოეხსენება. მათ კარგად აქვთ ათვისებული გაყალბების „ტექნოლოგიები“, „ქართული ოცნება“ კი ჯერ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, მოუმზადებელი პარტიაა, რითაც ისარგებლეს ნაციონალებმა. ნინო ბურჯანაძე მოსყიდვაზე რომ საუბრობს და ბრალს „ქართულ ოცნებას“ სდებს, ვერ გავიგე, ნაციონალებს გაუჭირდებოდათ ვინმეს მოსყიდვა, თუ ფული არ აქვთ. მათ ბიძინა ივანიშვილზე გაცილებით მეტი ფული აქვთ, საქართველოში არსებული ბიზნესების უმეტესობას ეგენი აკონტროლებენ, ამას დაუმატეთ ოდესის პორტი, სადაც დიდი ფული ტრიალებს (შეიძლება ნარკოტიკისა და იარაღის ბიზნესიც ტრიალებდეს), რომელიც სააკაშვილის და შესაბამისად, ნაციონალების ხელშია. თუ ფული გაქვს, ყველაფრის გაკეთებას შეძლებ. ნიკა რურუა ვახსენეთ, იგი ძალზე ხელგაშლილ კამპანიას აწარმოებს, როცა მძიმე სოციალური ფონია, გაჭირვებული ადამიანის მოსყიდვა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ფულის გამოა, ნახევარი საქართველო რომ გაიეღოველდა და ხმას რატომ არ მისცემენ? ამიტომაა საჭირო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სწორი დასკვნები გააკეთოს და შესაბამისმა სამსახურებმაც მთელი სერიოზულობით უნდა იმუშაონ, რადგან მარტო არჩევნებში გამარჯვება არ კმარა იმად, რომ მავანთ ხახვივით შერჩეთ ისეთი მძიმე დანაშაული, როგორიც არჩევნების შედეგებით მანიპულირებაა. რაც შეეხება ოპოზიციას, ახლაც შეცდომებს უშვებს, იმას კი არ ამბობენ, ნაცმოძრაობა გაქრესო, ხალხს ფაქტობრივად მოუწოდებენ, რომ არჩევნების მეორე ტურში ნაციონალებს დაუჭირონ მხარი. აბა, სხვას რას ნიშნავს მათი პოზიცია, საკონსტიტუციო უმრავლესობა არ უნდა ჰქონდეს „ქართულ ოცნებასო“, როცა თითქმის ყველა მაჟორიტარულ ოლქში ნაციონალები არიან მმართველი პარტიის კონკურენტები. ამისთანა განცხადების მერე, როგორღა უნდა ჰქონდეთ ხალხის მხარდაჭერის იმედი.

იმის თქმა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესო არ მოიპოვოს „ქართულმა ოცნებამ“, შეცდომა კი არა, დანაშაულია. პირიქით, ყველამ ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მისცეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასამარდეს ნაცმოძრაობა. „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა რომ ექნება, საზოგადოება უფრო მომთხოვნი იქნება მის მიმართ, მერე ხომ ვეღარ იტყვიან, ხელს გვიშლიანო, თუ ვერ გაამართლებენ, ისინიც ნაციონალების ბედს გაიზიარებენ. ოპოზიციური პარტიები დავიჯერო ვერ ხვდებიან, რომ ხსენებული სულელური მოწოდებით, მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებენ. დიდ ბრიტანეთში რეფერენდუმის დროს, მოსახლეობის უმრავლესობამ ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირა მხარი, ბევრი იქაც შეშფოთდა ამ გადაწყვეტილებით, მაგრამ მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა, რომელიც თვითონაც ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგი იყო, საჯაროდ განაცხადა,ვინაიდან ასეთია ხალხის არჩევანი, მას პატივი უნდა ვცეთო. ქართველი პოლიტიკოსები ხალხს ნულანძღავენ, საკუთარ თავში ეძებონ დამარცხების მიზეზი, დიდი დაფინანსება რომ ჰქონდათ და უაზროდ მიმოფანტეს, გაეკეთებინათ ტელევიზია ან სხვა

მედიასაშუალება. დააკვირდით, რომელ პარტიასაც ტელევიზია ჰქონდა, პარლამენტშიც ის შევიდა.

- აგერ ახალი საინფორმაციო სააგენტო შექმნილა, რომლის ჟურნალისტთა კორპუსსაც, 3500 პერსონას უპრობლემოდ მიუღია ცესკოსგან აკრედიტაცია.

- მანდ ყველა ნაციონალური მედიის წარმომადგენლები არიან და ვფიქრობ, დიდი პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ. არ არის გამორიცხული, რაღაც ისეთი ექსცესებიც მოხდეს, რათა ეს შემდგომში გამოიყენონ. მე არ ვიცი, რამდენად სამართლებრივად გაიცა მათზე აკრედიტაცია, მაგრამ ბევრ კითხვას აჩენს. რა საჭიროა ამ პატარა ოლქში ამდენი ჟურნალისტი, ეს მოწმობს, რომ ბინძურ თამაშთან გვაქვს საქმე. ვიმეორებ, ცესკოს დღევანდელი შემადგენლობა, არჩევნების შემდეგ აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

ზურაბ ქადაგიძე: „რამდენადაც ვიცი, ნაციონალებმა ამ არჩევნებზე ძალიან დიდი ფული დახარჯეს. შეიძლება ზოგადად ბევრმა არ ისურვა, რომ ღიად გამოჩენილიყო, როგორც ნაციონალების მხარდამჭერი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ხმა მათ მისცა. ისე, „ვარდების მოედანზე“ ჩატარებულმა აქციამ აჩვენა, რომ ნაციონალები რეალურ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ ვითომ ობიექტური მედიასაშუალებების მეშვეობით, დაშინებით, კომპრომეტირებითა და მოსყიდვით, მათ მოახერხეს 400.000-ზე მეტი ამომრჩევლის მობილიზება. ნაცმოძრაობის რადარებიდან გაქრობაში ფიზიკური გაქრობა არ იგულისხმება, პოლიტიკურ გაქრობაზეა საუბარი, რაც უკვე მოხდა. ეს პარტია 27 დეპუტატით შევა პარლამენტში თუ 7 დეპუტატით, საზოგადოებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მათ პოლიტიკური წონა და ბერკეტი აღარ აქვთ, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მართალია, ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ცდილობდნენ გარკვეული მედიასაშუალებები ნაციონალების „გათეთრებას“, მათი მმართველობისას სისტემური დანაშაული კი არ ხდებოდა, ცალკეული ძალოვნების გადაცდომა იყო, პარტია განახლდაო, მაგრამ მაინც ვერ ჩამორეცხეს მარგინალის იარლიყი. დღევანდელი ვითარებისა და ტენდენციის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ნაცმოძრაობა ძალიან მალე მარტივ მამრავლებად დაიშლება, შეიძლება პარტიის სახელწოდებამაც კი აღარ იარსებოს, თუმცა მიხეილ სააკაშვილი მაინც ცდილობს მის შენარჩუნებას, მეორე ტურამდე მაინც. ნაციონალები ცდილობენ სააშკარაოზე არ გამოიტანონ, მაგრამ ფაქტია, შიდა დაპირისპირება აქტიურ ფაზაშია გადასული. მოგეხსენებათ, ამომრჩევლის დაახლოებით 49% არჩევნებზე არ მივიდა, ძალიან დიდი სამუშაო გვექნება, რომ ეს ხალხი, რომელიც თავს არიდებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობას, რამენაირად გამოვაფხიზლოთ, რომ მეორე ტურში მაინც გამოხატონ თავისი არჩევანი. იმ ადამიანების უმრავლესობამ, ვინც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა, აქედან გამომდინარე, დიდი შანსია, რომ მმართველმა პარტიამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. პარლამენტში შევიდა „პატრიოტთა ალიანსის“ 6-კაციანი ჯგუფი, მათ იდეოლოგიას არ ვეხები, გემოვნების საკითხია, მაგრამ ამ ადამიანებმა ცხრა წლის მანძილზე იმდენი იბრძოლეს, ისეთი გამოცდილება მიიღეს, რომ ოპონირების თვალსაზრისით, ნაციონალების

ბევრად მოცულობით ჯგუფს, აშკარად გადაწონიან. ჩემი აზრით, მათთან ოპონირება გაცილებით უფრო პროდუქტიული იქნება „ქართული ოცნებისა“ და ქვეყნისთვის. მაგალითად, აკაკი ბობოხიძე რამეს იტყვის თუ არა, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მთელი გუნდი კომიკურ პერსონაჟებს დაემსგავსნენ. ოპონენტის ფუნქციას შეასრულებენ ის მედიასაშუალებები, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოებრივი მოძრაობების წარმომადგენლებიც, რომლებიც გაიძახიან როგორ შეიძლება „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდესო. თუ ასეთი საშიში და ცუდია, მაშინ დემოკრატიულ წესწყობილებაში იმის შანსიც არ იქნება, რომ ვინმემ მიიღოს. საკონსტიტუციო უმრავლესობა თუნდაც იმისთვისაა საჭირო, რომ გასწორდეს დამახინჯებული კონსტიტუცია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ტანსაცმელივით მოირგო.

- საზოგადოების ნაწილში აქტიურად მუსირებს აზრი, რომ არჩევნები გაყალბდა და ის ნაციონალებმა გააყალბეს. ვფიქრობთ, მთაწმინდაზე აღმოჩენილი ბიულეტენები ამ აზრის რეალობას ადასტურებს.

- გაყალბებას ვერ დავარქმევთ, უბრალოდ, ადამიანები მოისყიდეს. შეიძლება ბევრი დარღვევა და დანაშაული მოხდა, მაგრამ გაყალბება ნიშნავს, როცა კონკრეტულ უბანზე სხვადასხვა საშუალებებით მოხდება ხმების ჩაყრა. ხალხის მასობრივი მოსყიდვისა და იმ ვირტუალური სამყაროს შექმნის შედეგია ნაცმოძრაობის ამომრჩეველთა სიმრავლე, რაშიც გარკვეული მედიასაშუალებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. 2012 წელს ნაციონალებს 900.000-მდე ამომრჩეველმა მისცა ხმა, წელს ეს ციფრი განახევრებული იყო. უკეთესი შედეგი რომ მივიღოთ, ნაციონალებს იდეურ-პოლიტიკურად უნდა ვებრძოლოთ, მათი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დემონტაჟი უნდა მოხდეს. ფაშისტი პეტრე ცისკარიშვილის აღარავის სჯერა, გამოქვეყნებულ ჩანაწერებში ხომ მოვისმინეთ, როგორი სიტყვებით საუბრობს ეს ვითომდა პროდასავლელი პოლიტიკოსი. მათი პოლიტიკური დემონტაჟისთვის ძალზე შესაფერისი სიტუაციაა, 27 და ცოტა მეტი დეპუტატითაც რომ შევიდნენ პარლამენტში, მაინც ვერაფერს გადაწყვეტენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ მთაწმინდის გარდა, სხვა უბნებზეც იყო ასეთი პრობლემები, რაზეც პრემიერ-მინისტრმა ღიად ისაუბრა. რაც შეეხება ცესკოს, იქ მარტო 1-2 ადამიანზე არ არის საუბარი, მთელი სისტემაა ჩამოყალიბებული, რომლის გაჯანსაღებაზე უნდა ვიზრუნოთ. ახალ პოლიტიკას ვქმნით, შესაბამისად დეტალებიდან ვაპირებთ განახლებისა და გაუმჯობესების დაწყებას. ჯანდაცვის მინისტრიეს განცხადებით, აუცილებლად უნდა გადამზადდეს სოციალური სააგენტოს კონტიგენტი. ძალიან ბევრ პრობლემას ქმნიან იქ მომუშავე არაკომპეტენტური ადამიანები, ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს ხალხს, სოცაგენტები თავიანთი გადაწყვეტილებით როგორ აკლებენ ქულებს. შეიძლება ცესკოს სისტემაშიც იყვნენ ასეთი არაკომპეტენტური თანამშრომლები, რომლებზეც ნაციონალები ზეგავლენას ახდენენ, ეს არ გაუჭირდებათ, რადგან კარგად არიან დაუფლებულნი გაყალბების ტექნოლოგიებს. მთავარია, რომ გამოვლინდა ასეთი შემთხვევები, მეორე ტურიც ისევე მშვიდ პირობებში უნდა ჩავატაროთ, როგორც პირველი ჩატარდა. როგორც კი ახალი პარლამენტი ლეგიტიმაციას მიიღებს, მაშინვე უნდა დავიწყოთ ძირეული ცვლილებები, რომ შემდგომში აღარ მოხდეს მსგავსი გაუგებრობები. სამწუხაროდ, ოთხი წელი კოალიციურ რეჟიმში უწევდა „ქართულ ოცნებას“ მუშაობა, რასაც თან ახლდა ძალიან ბევრი პოპულისტი, შემთხვევით მოხვედრილი თუ გარიგებული პარლამენტარის ღია თუ შეფარული ურთიერთობა ნაციონალებთან, მათთვის ხელის დაფარება და ა.შ. ამის შედეგი იყო საზოგადოების ნაწილში ნიჰილიზმის გაჩენა, თუმცა ძალიან დიდი გამოცდილებაც მივიღეთ, გარდა ამისა, მოხდა თითქმის ყველა სუბიექტის ლუსტრაცია, გაირკვა რეალურად ვინ რას წარმოადგენს. აშკარა გახდა, რომ ბევრი რამ არის შესაცვლელი, დაწყებული საარჩევნო კოდექსიდან, დამთავრებული კონსტიტუციით. ამისთვისაა საჭირო პარლამენტში მყარი უმრავლესობის ყოლა, რასაც დიდი იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ მოიპოვებს და დავიწყებთ იმ კურსის სრულფასოვნად გატარებას, სადაც უმთავრესი ადამიანი და ადამიანური ღირებულებებია. ვფიქრობ, ამ ოთხმა წელმა დაარწმუნა საზოგადოება, რომ მმართველი პარტიისთვის პირველ ადგილზე საკუთარი მოსახლეობა და სახელმწიფოებრივი ინტერესები იყო.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

ზაზა გაბედავა:

ის ვიდეო მე ამოვქექე და განვათავსე ინტერნეტსივრცეში

გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ბატონი ზაზა გაბედავა

— ბატონო ზაზა, ელოდით, რომ არჩევნების შედეგები ასეთი იქნებოდა? სამეგრელოდან სერიოზული ხმის რაოდენობა მიიღო კაცების გამაუპატიურებელმა „ნაცმოძრაობამ“.

— სამეგრელოში ხმების დიდი რაოდენობა მიიღესო, — ამბობთ, მაგრამ არ არის ეს მართალი. მე სისტემატური ურთიერთობა მაქვს ძველ ზვიადისტებთან, მეგობრებთან და ზუსტად ვიცი, რომ „ნაცებს“ სამეგრელოში ასეთი მხარდაჭერა არ ჰქონიათ.

— შევარდნაძე აღარ არის ცოცხალი.

— „ნაცები“ შევარდნაძის მოწაფეები არიან. სააკიანი „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე არ იყო?

რომ გაჰყვირის, ჩამოსვლას ვაპირებ მეორე ტურის მერეო. დააყენოს ერთი ადგილი.

ალბათ, იცით, უკრაინის მთავრობაში მაღალჩინოსნებს დავუკავშირდი იმ პროკურორის საქმეზე, რომელმაც გამოაცხადა: ვინც გიორგი გაბედავას სცემს, ჯილდო მაქვს დაწესებულიო. ეს ვითომ პროკურორი, სინამდვილეში არაკაცი **გია გეწაძე** ქუთაისში, გუბერნატორობის დროს, მძღოლთან ერთად ფეხით მოსიარულე გოგონას დაეჯახა. ის გოგონა ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. აი, ასეთი კაცი აბრალებს ჩემს შვილს გიორგი გაბედავას — „ბლატაობსო“. გიორგი სამართლებრივად, მოქალაქის გამოხატვის უფლებით სთხოვდა „პუტჩისტ“ „მხედრიონელ“ ბარამიძეს, თუკი თქვენმა მთავრობამ გირგვლიანის, ვაზაგაშვილის და სხვათა მკვლელები არ დასაჯა, ბოდიში მაინც მოუხადეთ ხალხსო.

ახლა მე დავაწესე ჯილდო 50 000 გრივნა მისთვის, ვინც მამათმავალ **გია გეწაძეს** ცხვირ-პირს გაუერთიანებს.

ხომ გახსოვთ, როგორ წერია „დათა თუთაშხიაში“ — ჩვენი წილი სარეველა ჩვენ უნდა გავლეწოთ.

— როგორ ფიქრობთ, რა იქნება მეორე ტურში?

— რა იქნება და შეძვრებიან პარლამენტში „გნაცები“, იგივე დაშნაკები.

მაგრამ მე გული მაქვს ნატკენი ამ მთავრობისგანაც — დამპირდნენ, რომ ჩემს საქმეს გამოიძიებდნენ და მე საქართველოში დაბრუნების უფლება მექნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია ჩემი მდგომარეობა, მაშინ, როცა **სიგუა** და **კიტოვანი** საქართველოში ჰყავთ და კაციშვილი ხელს არ ახლებს.

ახლახან ვიდეო-კადრები გავრცელდა, სადაც **ირინა სარიშვილი** სახალხო ტრიბუნიდან ლაპარაკობს **ზვიად გამსახურდიაზე**: უნდა მოგვეკლა პრეზიდენტი, ცოცხალი არ უნდა გაგვეშვა გროზნოშიო.

როგორ ფიქრობთ, ის ვიდეო თავისით გაჩნდა? არა, ბატონო, მე ამოვქექე და განვათავსე ინტერნეტსივრცეში.

ცოცხალი არ უნდა გაგვეშვა ზვიადიო, რომ ამბობს, ის ქალი იჩემებს პოლიტიკოსობას. სარიშვილი არის საქართველოს მტერი, მოღალატე, როგორც მისი ქმარი **გია ჭანტურია**. მოსკოვში რომ დარბოდნენ. ჰგონიათ, არ გვახსოვს?

იცით, თქვენ, რატომ და როგორ გააჩერეს ჭანტურია, მოსკოვიდან რომ მოფრინავდა?

— რატომ?

— მოსკოვს ეხვეწებოდა, მომეხმარეთ, დემოკრატიას საფრთხე ექმნება საქართველოშიო. ეს სარიშვილი, იგივე პირუმოვა, რაღაც საშინელ წამალზე იჯდა მაშინ, „ჩერნიაშკა“ თუ რაღაც მსგავსი რომ არის...

ერთ ამბავს მოგიყვებით — ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი განსაკუთრებული დანიშნულების ჯგუფის ხელმძღვანელად ვმუშაობდი, თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანის ჯგუფთან გამაგზავნეს მოსალაპარაკებლად. იქ „ბი-ბი-სი“ და, რა ვიცი, ვინღა აღარ იყვნენ. შევედი. დგას სიგუა და პირს იპარსავს. გადამკოცნა. მოვიკითხეთ ერთმანეთი. სიგუა მეუბნება: როგორ ვიქნები, მთელი ღამე რუსული ტანკები დადიოდა ჩვენს გარშემო. ზვიად გამსახურდია გვიკეთებს ამასო. ზვიადი კრემლის აგენტი გამოდგაო. გავგიჟდი კაცი. იქ უნდა ამომეღო იარაღი და დამეხალა მაგისთვის შუბლში.

ზვიადი უნდა მოვკლათ. ამოვბუგავთ მის მომხრეებსო, ამბობდა. ასეთი კაცი და ასეთი ხალხი დღეს თავისუფლად ცხოვრობს საქართველოში და ამას ითმენს ხელისუფლება.

სამართლიანობა არ აღდგება მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ დასჯით. ყველაფერი უფრო შორიდან იწყება. საქართველოს მთავრობამ და ჩვენმა ხალხმა ამერიკელებსა და რუსებს კი არ უნდა დაუჯერონ, თავიანთი შეხედულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იმოქმედონ. მაშინ შევდგებით ჩვენ, როგორც სახელმწიფო.

არ ვიცი, როდის ინებებს ახლანდელი ხელისუფლება ჩემი საქმის გადახედვას, მაგრამ ახალ პარლამენტში ჩემი მეგობარი, ერთი კარგი კაცი მოხვდა — ემზარ კვიციანი. ვიცნობ და ვიცი, ვაჟკაცი კაცია. მჯერა, პარლამენტში იტყვის თავის სიტყვას ჩემზეც.

მოკლედ, ქართული პოლიტიკა სავსეა დაშნაკებით. **დავით ბაძრაძე**, თავი რომ ქართველად მოაქვს, არის ბაბოიანი. კიდევ რამდენი ჩამოვთვალო?! თავიანთ სომხეთს მიხედონ, დაგვანებონ თავი. ვინც ქართული გვარი მიიღო, ყველა სომეხი არის სპეცსამსახურების აგენტი.

— სომხებს აფხაზეთის მითვისება უნდათო, ამბობენ...

— რა თქმა უნდა. სააკიანს და მის დაშნაკებს საქართველოს განადგურება სურთ, მაგათი დედები ....

ახლა, თქვენი ნებართვით, „ქართულ ოცნებას“ მინდა მივმართო — ნუ ენდობიან ნაცებს. კოჰაბიტაცია მაგათთან არ გამოვა. ხალხი არ მოატყუონ, თორემ ერთი ძველი მეგრული ანდაზის არ იყოს, ძაღლი შეიძლება ნახერხით მიიჩვიო, მაგრამ მერე პურსაც არ მიიღებს შენგანო. ანუ ერთხელ თუ მოატყუე, მეორეჯერ აღარ გენდობაო.

სააკიანის ხალხს ნუ ელოლიავებიან. მიშა ის მიშა აღარ არის. საქმე ძალიან არეული აქვს უკრაინაში. პირდაპირ უკრაინის მთავრობის წევრისგან, **ავაქოვის** თანაშემწისგან **ანტონ გერაშენკოსგან** მაქვს ინფორმაციები.

თქვენ იცით, სააკიანის დედა რომ დაქვრივებულა? „მიეხმარნენ“, რამდენადაც ვიცი, იმქვეყნად წასვლაში გიული ალასანიას თურქ მეუღლეს.

— რისთვის?

— ცხადია, ქონების ხელში ჩასაგდებად.

— მიშას ქონება აკლია?

— შეიძლება არ იცით, სააკაშვილის ძმა ოდესაში ნავთობის ბიზნესის მაკონტროლებელია. უტყუარ ფაქტს გეუბნებით.

ოდესის პროკურორს გეწაძეს კი დღემდე ბიზნესწილები აქვს საქართველოში. მანქანების საწვავის ბიზნესში, კაზინო „აჭარაშიც“ წილებს ფლობს.

ესენი არიან პუტჩისტები და პუტჩისტების შთამომავლები, დაშნაკები, საქართველოს მტრები, ირინა პირუმოვა და მსგავსი ხალხი მოსაშორებელია ქართული პოლიტიკიდან.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მაქციების დასასრული

30 ოქტომბერი საბოლოო გამარჯვების ისტორიულ დღედ უნდა გამოცხადდეს!

ზღაპარი ნაცმოძრაობის უკვდავების შესახებ დასასრულს მიუახლოვდა. სანდრას და მიშას გამთლიანების ბოლო სანთელი ჯიხაშკარში და განმუხურში ჩაქრა. ხალხი გამოფხიზლდა და ნაცების ზღაპრების აღარ ჯერავს. ცუდ რეჟისორს და ცუდ მსახიობს სანდრას ჭანისწყალი ან ენგური გაუგრილებს მოთუხთუხე სულს. ვეღარ გაჭრა მისმა ჯადომ. ავტომანქანაში იცდიდა ბეჩავი, დამარცხების შესახებ ცნობამ სამეგრელოს მიწაზე ფეხის დადგმის სურვილიც დაუკარგა და აღარც გადმოსულა ავტომანქანიდან. ოცნებამ სამომავლო ფიქრები გაუცამტვერა და გულგაბზარული დატოვა ცოლ-ქმარი, რომელთა კავშირი თავიდანვე, მხოლოდ საქართველოს რღვევაზე და განადგურებაზე იყო დაფუძნებული. მაგრამ, რომ გაიგო რა სთქვა ქმარმა? როგორც ყოველთვის აპატია, როგორც ძმამ და მეგობარმა. მე პატივს ვცემ ყველას და იმედი მაქვს, რომ ჩვენი აქტივისტები პატივისცემით მოეკიდებიან სანდრას პირად გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, რომ მან ძალიან ბევრი იბრძოლა ამ არჩევნებში და ზუსტად ვიცი, რომ არ შეეპუება გაჟალბებასა და უსამართლობას. საერთოდ არ უნდა იცნობდეთ სანდრას, რომ იგი დაადანაშაულოთ, სხვისი, თუნდაც ჩემი, თავზე მოხვეული გადაწყვეტილებებით" არადა არჩევნების დაწყებამდე თავის მხარდამჭერებს როგორ აიმედებდა მიხეილ ცრუ, ჩამოვალ ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს ჩემს სტუმრობასო, შემდეგ მოულოდნელად განაცხადა ვიდეომიმართვაში- „მე არასდროს არ მითქვამს, რომ არჩევნების პირველი ტურის დასრულებამდე ჩამოვიდოდი საქართველოში". სანდრამ არჩევნების პირველი ტურიც წააგო და დამატებითიც, ასეც უნდა მომხდარიყო. სამეგრელოში ღირსეული ხალხი ცხოვრობს და შესაბამისი არჩევანიც გააკეთეს გადამთიელი ქალი მეგრელ კაცს არც უნდა შეჭიდებოდა. ნაცები მიჩვეულები არიან მიზნის მისაღწევად მიცვალებული გმირად აქციონ... „აქტივისტები" განრისხებულები არიან სანდრას გადაწყვეტილებით – „ცნობილია, რომ პოლიტსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მეორე ტურში მონაწილეობაზე, ამიტომ ქალბატონი სანდრას გადაწყვეტილება არის მიუღებელი, სამწუხარო, მეტიც, ის აზიანებს მეორე ტურების კამპანიას", - განაცხადა გივი თარგამაძემ. (ვფიქრობ მარნეულშიც დამარცხდებიან ნაცები) ბრალდების შემდგომ სანდრას პასუხმაც არ დააყოვნა - პარტიისთვის ჩემი ამ გადაწყვეტილების შესახებ ჯერ კიდევ 11 ოქტომბრიდან იყო ცნობილი, როცა ეს გადაწყვეტილება გავაცანი ენმ-ის პოლიტსაბჭოს, დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატების თანდასწრებით. ჩემი ამ განცხადების შემდეგ, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა დავით ბაქრაძემ, განაცხადა რომ, პოლიტსაბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიუხედავად, ქალბატონი სანდრას შემთხვევა არის განსაკუთრებული და უნდა შევიდეთ მის მდგომარეობაში რაც, დარწმუნებული ვარ, პოლიტსაბჭოს ოქმშიც არის ასახული. ზუსტად პოლიტსაბჭოს სხდომის დროს გახდა ცნობილი, რომ ზუგდიდის რაიონის 3 საარჩევნო უბანზე პირველი ტური განმეორებით ჩატარდებოდა. აქედან გამომდინარე იქვე, პრესკონფერენციაზე განვაცხადე, რომ ზუგდიდის რაიონში ჩემთვის პირველი ტური ჯერ არ დამთავრებულა. ნებისმიერი მინიშნება იმაზე, რომ ეს არ იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება, ღრმად შეურაცმხყოფელია ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის და, რაც მთავარია, როგორც ქალისთვის. ასეთი აზროვნება და ქალი პოლიტიკოსის მიმართ ასეთი დამოკიდებულება შეუსაბამოა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ღირებულებებთან. დამწუხრებულია ნიკა მელიაც რომელმაც სარწმუნო წყაროს ცნობით დამარცხებით გამოწვეული დარდის განსაქარვებლად „მოგუდულში" სევდის ფართიც კი გამართა სამეგრელოში, სანდრას გადაწყვეტილებამ ნანატრი ერთიანობის ბოლო სხივიც ჩაუქრო და განაცხადა „ჩემთვის, როგორც ერთი ადამიანისთვის, როგორც ერთ-ერთი წევრისთვის ამ პოლიტიკური გაერთიანების, ნამდვილად გულსატკენია და სამწუხაროა, რომ ქალბატონი სანდრა ასე უყურებს ამ პროცესს და იგი არჩევს, უბრალოდ განერიდოს ბრძოლის ამ ეტაპს. განსხვავებული აზრი აქვს აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით ლაშა გვასალიას - „ჩვენ ვიცოდით, რომ ყოველთვის გამარჯვებულები ვიყავით, ვიცოდით ჩვენი რეიტინგი, ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. რასაც ქალბატონი სანდრა აცხადებს და მიზეზად ასახელებს, თითქოს მას რაღაც გაუყალბეს ან წინააღმდეგობა იყო, ეს ერთ ანდაზას მახსენებს - კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო. ქალბატონ სანდრასაც, რომ გამოეჩინა თავი და, რა თქმა უნდა, ხელს არავინ არ უშლიდა, მაგრამ მან დაინახა და დარწმუნდა, რომ მხარს არ უჭერდნენ", მანანა კობახიძე ნაცების დამარცხებას „მაღალს" უკავშირებს – „მიხეილ სააკაშვილი თითონ არის უკვე დამარცხებული, მგონია, ის საკუთარ პარტიასაც აღარ უნდა. ისინი ცდილობენ მისგან გათავისუფლებას, მაგრამ, როგორც ჩანს, რთულია. რამდენჯერაც მიშა თავისი სელფვიდეოებით ჩნდება, ეს „ნაციონალური მოძრაობისთვის" ზიანის მომტანია. საზოგადოებას აქვს მხოლოდ უარყოფითი და მძიმე წარსულის ასოციაცია, საკაშვილის პერსონის მიმართ, თუ შეიძლება მას პერსონა უწოდო".

შეურაცხოფილია სანდრა, რისთვის ისწავლა რამოდენიმე წინადადება მეგრულად, რისთვის მღეროდა, რისთვის დადიოდა და აბოლებდა სამეგრელოს მოსახლეობას დამარცხებისთვის? გულდამძიმებულს აღარც ახსოვს მისი მეუღლის თაოსნობით, მისი დედოფლობის ჟამს როგორ დაკარგა საქართველომ ტერიტორიების 20%, სამშობლოში დევნილად აქცია 300 ათასზე მეტი ადამიანი, სახელმწიფოს აჰკიდა უზარმაზარი საგარეო ვალი, რომელიც მომავალმა თაობებმა უნდა იხადონ. გაანადგურა ქართული კულტურა, განათლება და მეცნიერება, უმაღლესი სასწავლებლებიდან გაყარა ღვაწლმოსილი მეცნიერები და "ჩარეცხა" ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. გაანადგურა სოფლის მეურნეობა. ააყვავა ელიტური კორუფცია. დააწიოკა ბიზნესმენები, რომლებიც სახელმწიფოს "ჩუქნიდნენ" მილიონობით თანხას და ქონებას. სამაგიეროდ, საკაშვილის ოჯახის წევრებმა — დედამ, მამამ, ძმებმა, ბიძამ, კაპიკებად ჩაიგდეს ხელში სახელმწიფოს ქონება. დაარბია ტელეკომპანია "იმედი". მანამდე კი საკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა დახურა ტელეკომპანია "იბერია", "მეცხრე არხი", გაზეთი "ახალი ეპოქა" და ჟურნალი "ომეგა"; მოაწყო 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევები. გამოგონილი ბრალდებებით დაატატიმრა ათასობით ადამიანი, რომლებსაც სასტიკად აწამებდა, ქუჩაში დახოცა უამრავი ახალგაზრდა და უამრავი სიბინძურე აკეთეს ერთად თუ ცალ-ცალკე იმისთვის, რომ სამუდამოდ დარჩენოდათ ქვეყნის სადავეები. სამეგრელოს ყველაზე მეტად შეეხო არნახული და არ გაგონილი რეპრესიები.

კახი კალაძის განცხადებით „მეორე ტურები სადაც ტარდება იქაც „ქართული ოცნების" კანდიდატები ლიდერობენ. ჩვენ გაქვს ახლა რეალური შანსი იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა", როგორც პოლიტიკური პარტია დავასრულოთ".

დიახ, 30 ოქტომბერს იმ ადამიანემა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი, ვისი მოჯადოება და ზომბირება ვერ მოახერხა მკვლელების, გვამების შემგროვებლების და მტაცებლების პარტიამ კიდევ ერთხელ უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი არჩევანი რათა 2016 წლის 30 ოქტომბერი ისტორიაში შევიდეს როგორც მაქციებზე გამარჯვების ისტორიული დღე!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

თუ აშშ-ი ნამდვილი მეგობარია, დაეხმაროს ჩვენს ხელისუფლებას სააკაშვილის ჩამოყვანასა და გასამართლებაში

გვესაუბრება ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, თქვენ არჩევნების პროცესებს აქტიურად აკვირდებოდით. რა პროცედურული კანონდარღვევები აღმოაჩინეთ და რა უნდა გაითვალისწინონს მომავალში ცსკო-მ?

— პირველ ტურში ჩემი ორგანიზაციიდან სხვადასხვა რეგიონებში 600 დამკვირვებელი მყავდა გაგზავნილი. მეორე ტურში, დამკვირვებლების რიცხვი სავარაუდოდ გაიზრდება დაახლოებით 1000 მდე ადამიანით.

დარღვევებს რაც შეეხება. ჩვენგან წინა ტურში 30-ზე მეტი საჩივარი დაიწერა, იყო პროცედურული დარღვევები, რაც ცსკო-ს კადრების არაკვალიფიცირებულობაზე მიუთითებს.

8 ოქტომბრამდე ორი კვირით ადრე ცსკო-ს თავმჯდომარემ არასამთავრობებთან შეხვედრა მოაწყო და მაშინ ღიად განაცხადა ქალბატონმა ჟვანიამ — ცსკო კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდისო. ეს აღიარება არ არის გამამართლებელი საბუთი ცსკო-სთვის. არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე კადრების შერჩევა, მოზიდვა თუ ტრენინგი არ არის გამართლებული. ცსკო-ს ამაზე ერთი წლით ადრე მაინც უნდა დაეწყო მუშაობა.

არასამთავრობები კი მოტივირებულნი იყვნენ საჩივრების წერაზე.

შედეგად, 16 000 ბიულეტენი გაბათილდა. ცხადია, ყველა მათგანი საჩივრის საფუძველზე არა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს საარჩევნო პროცესის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს.

— არსებობს ეჭვები, რომ „ნაცმოძრაობას“ გარკვეული ტიპის გავლენები აქვს ცსკო-ზე.

— არის ასეთი მოსაზრებებიც და არაა გამორიცხული, ამაში, გარკვეულწილად, იყოს სიმართლის მარცვალი. „ნაცმოძრაობის“ დროს არჩევნებში მონაწილე კვალიფიცირებული კადრები არიან შემორჩენილნი როგორც ცსკო-ში, ასევე საარჩევნო ოლქებში, რომლებმაც ბევრი საარჩევნო ხრიკები იციან, ისინი შეიძლება აცხადებდნენ, რომ მიუკერძოებელნი იყვნენ საქმიანობისას, მაგრამ, სინამდვილეში, დიდი ალბათობით, ასე არ იყო.

ამ პერიოდში დაკომპლექტებული ცსკო-ს კადრები ნაკლებადკვალიფიცირებულები არიან ან თითქმის მოუმზადებელნი, გადამზადებული კადების გადაადგილებისა და შეცვლის ტენდენციებიც არაა მოსაწონი, აქედან გამომდინარე, ხელისუფლების პოზიციიდან, მარტო ის ვთქვათ, რომ 30%-დან 50%-მდე გაზრდა დემოკრატიული ნაბიჯი იყო და ამით თავი მოვიწონოთ არ არის საკმარისი, შედეგები, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ამ არჩევნებში, არ უნდა იყოს მთლად მოსაწონი და დამაკმაყოფილებელი. როგორც ჩანს, მიუხედავად ძველი „ნაცმოძრაობისდროინდელი“ ჩანერგილი კადრების და ახალი კადრების გამოუცდელობის, დღევანდელი მთავრობის მხარდამჭერთა რაოდენობის დამალვა, დაფარვა, ან გაბათილება მაინც ვერ მოხდა. ჩვენი ხალხი ბრძენია და გონიერი.

ამას გარდა, საარჩევნო კოდექსში სერიოზული ხარვეზებია.

სადაც ხელისუფლება თვალს ხუჭავს, იქ ყოველთვის ცდილობს, „ნაცმოძრაობა“ თავისი გაიტანოს.

— ბატონო გრიგოლ, მიგიმართავთ თუ არა ცსკო-სთვის შეკითხვით: რატომ გაატარეს რეგისტრაციაში სანდრა რულოვსი ან სალომე ზურაბიშვილი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდნენ?

— მე თვითონ მივწერე ამ საკითხზე ცსკო-ს. როცა მივწერე, რულოვსი გატარებული არ იყო რეგისტრაციაში. რულოვსი რეგისტრაციაში 7 ოქტომბერს გაატარეს. საქმე ისაა, რომ როცა რეგისტრაციაში ატარებენ კანდიდატს, ცსკო ენდობა კანდიდატის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ვიკითხე, რატომ იყო ასეთი ნდობა, ან რატომ არ ითხოვდნენ მომავალი დეპუტატის სავარაუდო ნასამართლეობის ცნობას.

ცსკო-ს პასუხი იყო: ჩვენ ასეთ ნიუანსებს არ ვამოწმებთ!

— საარჩევნო კანონი რას ამბობს?

— კანონში წერია, რომ საარჩევნო სუბიექტები ამ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში, არ უნდა იყვნენ სს პასუხისგებაში ნამყოფნი, ეს არის სავალდებულო მოთხოვნა. და რაკი ეს წერია, უნდა შესრულდეს და შემოწმდეს, ამასაც ხომ არ დაწერდნენ — რაც ამ კანონში წერია, უნდა გააკეთოთო?!

საარჩევნო კოდექსში აღნიშნულ მოთხოვნებს სცილდება ყოფილი პრეზიდენტის ქმედებებიც. საარჩევნო კოდექსით მას პასუხიმგებლობას ვერ დავაკისრებთ. ის, რომ, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, არ უნდა ერეოდეს სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში, არ უნდა ხვდებოდეს ოპოზიციის ლიდერებს დესტრუქციოზმის მოტივით, არ უნდა წარმოაჩინოს თავი უცხო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალის ლიდერად, არ უნდა განახორციელოს პროპაგანდა — რომ ჩამოდის ხვალ, ან ზეგ და ა.შ.

აშშ-ის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. თუ ის ნამდვილად ჩვენი მეგობარია, დაეხმაროს ჩვენს ხელისუფლებას სს დანაშაულში ბრალდებული ექსპრეზიდენტის საქართველოში ჩამოყვანასა და კანონის და სასამართლოს წინაშე წარდგენაში.

— გასაგებია, მაგრამ რატომ მოიწევს სააკაშვილი საქართველოსკენ, რა უნდა, როგორ ფიქრობთ?

— თანამდებობა აქ არ აქვს, მოქალაქე არაა, სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს? ე. ი. მოდის, რომ საქართველოში სიტუაციები არიოს, დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

„ნაცმოძრაობა“ საქართველოს ისტორიაში დარჩება ანტიქართული იდეოლოგიის მქონე მოძრაობად, რომელიც ქვეყანაში ატარებდა სამხრეთით თურქეთის და ჩრდილოეთით — რუსეთის ინტერესებს და იჩემებდა პროევროპელობას, იმედია, მალე ისტორიას ჩაბარდება მათი სახსენებელი, თუ არადა, ისინი ჩააბარებენ ისტორიას საქართველოს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მძინარე პითონმა გამოიღვიძა ანუ სააკაშვილის „ეპოქა“ დამთავრდა, ახლა ბოკერიას „ეპოქა“ იწყება!

მოხდა მოსახდენი — ზუგდიდმა „სამ ასოზე“ გაუშვა „ნაციონალების“ კანდიდატი, სანდრა რულოვსი. ეს შედეგი „ნაციონალებისთვის“ აღმოჩნდა მოულოდნელი, თორემ ლოგიკურად ასეც უნდა მომხდარიყო. ფულისმოყვარე ამომრჩეველმა აიღო ფული და დანარჩენი, სადამდეც გაქაჩეს თავიანთი რესურსი (შეპირება, დაშინება, დაშანტაჟება, მოტყუება) სულ ის იყო, რა შედეგიც პირველი ტურის შემდეგ დაიდო. ახლა უკვე ახლიდან გახდა იმავე სამუშაოს ჩატარება საჭირო, მაგრამ ფსიქოლოგიურად გატეხილებსა და ფინანსურად წუწკებს, სავარაუდოდ, თვითონვე აღარ ეხალისებათ ჰაერზე ფულის ფანტვა. ამომრჩეველს, რა, ფეხზე ჰკიდია ვიღაც ჰოლანდიელი ქალი, რომელსაც ქმარი ძებნილი და თანაც უკრაინის მოქალაქე ჰყავს, შვილები კი ამერიკისმოქალაქეები.

უარჰყო სანდრამ მე-2 ტური და პარტიული სიით შევა პარლამენტში, რა პრობლემაა, მაგრამ სხვათაშორის, სანდრა რულოვსი პარლამენტში შევა თუ არ შევა, ესეც საკითხავია. ირმა ინაშვილთან ერთად საპარლამენტო უფლებამოსილებას არ

გავიყოფო — ეს ყურით მოთრეული მიზეზია, ფესვები რომ სხვა მხარეს უნდა მიემართებოდეს, ბუნებრივია.

გადავხედოთ „ნაცმოძრაობის“ იმ ბირთვს, რომელიც სრულიად საქართველოზე იყო წამომჯდარი, ვინ არიან და სად არიან?

მიხეილ სააკაშვილი — ოდესაშია გაქცეული; ახლაიებიდან, ერთი ძმა „მატროსოვზეა“, მეორე — გაქცეულია; ივანე მერაბიშვილი და გიგი უგულავაც „მატროსსკაია ტიშინას“ იზიარებენ; მეორე ახალაია (დათა), ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, ერეკლე კოდუა, მეგისი ქარდავა და ა.შ „თავიკაცები“ გაქცეულები არიან. ადგილზე მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ მოქაქანე თავები არიან, „შპანა“, ჩვეულებრივი „შესტიორკები“, არადა, ვიღაც მაინც ქოქავს მოვლენებს — არეულობებს, გამოსვლებს, შეკრებებს, პროვოკაციების სხვა და სხვა გამოვლინებებს. ლოთბაზარა გივია, აკუკი, თავფიცარა კაკო, ხალადეცა ნუგზარა და მისთანები რისი მაქნისენი არიან უთავოდ, თავი კი არ ჩანს. დიახ, არ ჩანს ბევრი რამის „თავი“, იმთავითვე „რუხ კარდინალად“ და „მძინარე პითონად“ მონათლული გიგა ბოკერია! მართლაც რომ ჩასაფრებული პითონივით გაწოლილა პოლიტიკურ დაფაზე და პაიკებად იყენებს „ნაცმოძრაობიდან“ თავის წილად მოპოვებულ რესურსს. უბრალოდ, საქმე იმაში უნდა იყოს, რომ ცრუ-ს გამოზრდილმა სანდრამ არ „თოხლა“ ვერაგი ბოკერიას დასაყვედრებელი ლუკმა „აი, ხომ ხედავ, ჩვენ შეგათრიეთ პარლამენტში, თორემ წაგებული გაქვს ზუგდიდიო“...

აქვე აღსანიშნავია გიგა ბოკერიას მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის სიტყვები, რომელიც სწორედ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ დაწერა საქვეყნოდ: „ოთხი წელია არ დამისვენია და უცებ ვიღებთ ოდესიდან ბრძანებას ღვინის ჭიქით („ჩამოვალ, ჩამოვალ, ჩამოვალ — არ ჩამოვალ“ შემდეგ), რომ თურმე ჩვენ მიშას გარეშე „ნულები“ ვართ და უნდა ბარიკადებზე დავდგეთ იმიტომ, რომ ის ასე თვლის. დადგეს და დავთვალოთ ვინ უფრო „ნულია“, ჩვენ — მიშას გარეშე თუ მიშა — ჩვენს გარეშე“!

მთაში იციან თქმა „უჩუმარის ნაცშიაო ცხრა მაშხალა ანთიაო“ — რამდენია მაშხალა უნთია ბოკერიას, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, რომ ფაქტობრივად, დამთავრდა სააკაშვილის „ეპოქა“ და იწყება ბოკერიას „ეპოქა“, კაცისა, რომელიც ბევრად უფრო საშიში გველგესლაა, ვიდრე უფრიკინე სააკაშვილი.

ბოკერია მართვადა და მართავს პროვოკაციებს; ეს შურისმაძიებელი კაცი ხლართვდა და ხლართავს არეულობებს როგორც ქვეყანაში, ისე ადამიანებს შორის თავისივე ე.წ გუნდში. ქალბატონი თეო ტლაშაძე აცხადებდა, რომ გიგა ბოკერიას მუშაობის სტილში ასინეთობაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. იგი არა მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებზე, საკუთარი გუნდის წევრებზეც ითხოვდა გარკვეული ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ძირითადად პირად ცხოვრებას შეეხებოდა.

გიგა ბოკერია ის პიროვნებაა, რომლის შესახებაც ორ სიტყვას ვერ იტყვის კაცი, ორ სიტყვად მხოლოდ ქვეთავებად დახასიათდება. ვთქვათ: „გიგა ბოკერიას წვლილი 2008 წელს პროვოცირებული აგვისტოს ომის საქმეში“; „გიგა ბოკერიას წვლილი ე.წ „ციხის ბუნტის“ საქმეში“; „გიგა ბოკერიას წვლილი გლდანის ეკლესიის დარბევაში“; „გიგა ბოკერია მართლმადიდებლობის წინააღმდეგ“; „გიგა ბოკერიას როლი 2007 წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევაში“; „გია ბოკერიას სცენარი „ორი პატრიარქი“; „გიგა ბოკერიას როლი სულხან მოლაშვილის წამებაში“; „გიგა ბოკერიას ბოროტი როლი ტელე-მედიაში“; და ა.შ ბევრი თემა...

ნოემბრის აქციების დროს, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა კატასტროფის მოახლოება იგრძნო, ვანო მერაბიშვილს სასწრაფოდ მოსთხოვა „იმედის“ გათიშვა. ივანე მერაბიშვილმა სააკაშვილს შესთავაზა „იმედში“ ჩანერგილი საკუთარი აგენტურის მეშვეობით შიგნიდანვე მოეხდინა არხის პარალიზება. პრეზიდენტი დათანხმდა მერაბიშვილს. შს მინისტრი ცალკე კაბინეტში გადიოდა ერეკლე კოდუასთან, დათა ახალაიასთან და ამირან მესხელთან ერთად, რათა ამ სპეცოპერაციის დეტალები დაემუშავებინათ, თუმცა, მერაბიშვილს არ დასცალდა, რადგან კაბინეტში აღელვებული გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი შეიჭრნენ. გიგა ბოკერიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და სააკაშვილს მოსთხოვა, რომ „იმედში“ სპეცრაზმი გაეგზავნა და ასე აღეკვეთა არხის მაუწყებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოკერია თავისი გუნდით ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრა.

სააკაშვილისთვის ბოკერიას გუნდის ოპოზიციაში გადასვლა არანაკლები უბედურება იყო ვიდრე რევოლუცია — მას ხელისუფლება ჩამოეშლებოდა და აშშ-ისა და ევროპის კეთილგანწყობას დიდწილად დაკარგავდა.

სააკაშვილმა, ალბათ, ეს ყველაფერი გაიაზრა, რადგანაც, ის ბოკერიას უყოყმანოდ დათანხმდა. სწორედ ამის შემდეგ დაავალა მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილს „იმედის“ დარბევა და იქ მომუშავე ჟურნალისტების სამაგალითოდ დასჯა...

ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევის გამო დღემდე არავის აუღია პასუხისმგებლობა, თუმცა, ტაძრის დანგრევის ბრძანების გამცემი ირაკლი ოქრუაშვილმა დაასახელა, მან დიად განაცხადა ეთერში, რომ ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევის გადაწყვეტილება გიგა ბოკერიამ მიიღო...

სხვათაშორის, გიგა ბოკერია იყო პატრიარქს რომ უთხრა, არც შენი სიკვდილია პრობლემაო...

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებული რეალობით „ნაცების“ №1 პერსონა ბოკერიაა, რომელიც თბილისშია და რომელსაც უცხო ქვეყნის მოქალაქე მიხეილი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერც ფეხებს მოჭამს და ვერც ყვ...ბით დაკიდებს. როგორც ვთქვით, სააკაშვილის „ეპოქა“ დამთავრდა, ახლა ბოკერიას „ეპოქაა“...

გიორგი ჩხეიძე

მარგალი კოჩი ალექსანდრ პოტიომკინი

რამდენიმე კვირის წინ ზუგდიდიდან დამირეკეს და მითხრეს: რუსულენოვანი გერმანელ-მეგრელი კაცი უნდა გაგაცნოთ, ისეთ ტკბილხმოვან მეგრულს ლაპარაკობს, ჩვენაც რომ შეგვშურდებაო.

ასე გავიცანი ალექსანდრე პოტიომკინი სკაიპის საშუალებით.

იგი აღმოჩნდა სოხუმში გაზრდილი კაცი, რომელსაც დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სერიოზული ბიზნესსაქმიანობა აქვს გაშლილი, თუმცა მისი ფიქრები, ოცნებები და მოგონებები არ სცილდება სამეგრელოს.

ალექსანდრე პოტიომკინი, კაცი, რომელიც არ გახლავთ გენეტიკურად ქართველი, მეგრული „ჩელას“ ნოსტალგიით ცხოვრობს, სოხუმს საქართველოს ნაწილად მიიჩნევს და დედა-სამშობლოდ აქაურობა აქვს მიჩნეული.

გთავაზობთ ინტერვიუს ესპანეთში მცხოვრებ ბიზნესმენ ალექსანდრე პოტიომკინთან, რომელიც არა მარტო ბიზნესზე, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ დეტალებზე გვესაუბრება, რაც, ალბათ, ბევრმა ჩვენგანმა არ იცოდა და ახლა ამ ინტერვიუდან შეიტყობს.

ვახტანგ ხარჩილავა

— ბატონო ალექსანდრე, გაცანით თქვენი თავი „საერთო გაზეთის“ მკითხველებს

— წარმოშობით გერმანელი გახლავართ. დავიბადე სოხუმში და შეუძლებელია სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები არ მქონდეს, ძალიან მიყვარს სამეგრელო, ამიტომაც ვაჩუქე საქართველოს კივი, ანუ გივი.

— გივი?

ზვილები ანა მარია, ანასტასია და მეუღლე მანანა

— 1988 წელს საქართველოში გამოვაგზავნე 300 000 კივის ნერგი. მაშინ გერმანული ტრანსპორტი რუსეთის გავლით ხვდებოდა საქართველოში, რადგან იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო თურქეთი გერმანიისთვის სასურველი ქვეყანა.

მე დამიკავშირდა პრემიერ-მინისტრი ჩერქეზია, ჩვენი საუბრის შემდეგ შევთანხმდით იმაზე, რომ გამოვაგზავნიდი საქართველოში კივის ნერგებს-მეთქი. მე ვუთხარი: სამეგრელოში გავიზარდე, ვაჩუქებ მეგრელებს კივის ნერგებს.

ბრესტის გავლით გამოიგზავნა ტვირთი. თბილისიდან გამოუშვეს მანქანა, რომ ჩამოეტანათ თბილისში და მერე გაეგზავნათ დასავლეთ საქართველოში. საბაჟოსთან მძღოლი თურმე ეძებდა არა კივის, არამედ გივის. მოკლედ, გივი არ არის. მძღოლი კი ფეხს არ იცვლის, თურმე და ამბობს: ჩვენ გამოგვიშვეს, რომ უნდა ჩამოსულიყო გივი. ასე რომ, კივი, გივი, ეს იყო დიდი გაუგებრობა. ასე გაჩნდა საქართველოში კივი. დღესდღეობით, როგორც ვიცი, ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში კივი.

სოფლის მეურნეობის ბოლო მინისტრი ოთარ დანელია ძალიან აქტიური და ენერგიული ახალგაზრდა გახლდათ. აღარ არის ხომ უკვე მინისტრი?

— ის უკვე ახალი პარლამენტის დეპუტატია.

— დიახ, ის ყოველთვის სვამდა მნიშვნელოვან კითხვებს ჩემთან საუბრისას: როგორ ფიქრობთ, რა ჯობს, რისი გაკეთება იქნება უკეთესი საქართველოსთვისო. ბევრი ვისაუბრეთ და ამის შემდეგ გადავწყვიტე საქართველოში კაკლის ახალი ჯიში შემომეტანა, რომლის სახელია მაკადამია. ამ მცენარემ სახელი მიიღო მეგრული წარმოშობის გვარისგან — ადამია. ვინმე ადამიას, რომელიც კარგა ხნის წინ გადასახლდა თურმე ავსტრალიაში. ამ ადამიას რქმევია მალხაზი, ავსტრალიაში ეწოდებოდა მაქსი, ანუ მაქს ადამია, კაკალსაც ასე დაერქვა მაკს-ადამია, შემდეგ მაკადამია. მაკადამიას შემადგენლობაში ძალიან ბევრი ისეთი ელემენტია, რაც, როგორც მერე გაირკვა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა. ახლა სიტყვა-სიტყვით წაგიკითხავთ მეცნიერთა დასკვნას მისი სარგებლიანობის შესახებ: მაკადამია სხვებისგან განსხვავდება იმით, რომ ის სასარგებლოა ორგანიზმისთვის, არის მაღალკალორიული, სავსეა ვიტამინების კომპლექსით, შეიცავს ცხიმებს და ეთერზეთებს. გამოიყენება ართრიტების, ანგინის, სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკის საწინააღმდეგოდ, შეიცავს ე. წ. პალმიტის მჟავას, რომელიც თითქმის არც ერთ სხვა მცენარეში არ გვხვდება, არსებობს მხოლოდ ადამიანის კანის შემადგენლობაში. მაკადამიას გააჩნია ანტიოქსიდანტური შემადგენლობაც. მისი უნიკალური თვისებების გამო მაკადამია კოსმეტოლოგიაშიც ფართოდ გამოიყენება და იხმარება საუკეთესო საშუალებად მშრალი კანის მოვლისთვის. მას თმის საღებავების შემადგენლობაშიც იყენებენ.

ხომ ხედავთ, რა უნიკალური თვისებები აქვს ამ მცენარეს? სულ მალე დავიწყებთ მის გავრცელებას საქართველოში. რამდენიმე ჰექტარი მიწა მაქვს საქართველოში, სადაც დავრგავ, ალბათ, მაკადამიას ნერგებს.

— საერთოდ, სად მოღვაწეობთ, ბატონო ალექსანდრე?

— ვცხოვრობ ესპანეთში, და ძირითადად, ვმოღვაწეობ ჩინეთში, მაქვს კომპანია, რომელიც ჩაის აწარმოებს. ოთარ დანელიამ შემომთავაზა ჩაის ზეთის წარმოებაში თანამშრომლობა. მოგეხსენებათ, ჩაის ზეთს გამორჩეული თვისებების გამო ფარმაკოლოგიაშიც იყენებენ. ჩაის ზეთს საქართველოში არასდროს იყენებდნენ, თუმცა მას ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია. ჩაის ზეთი სპეციალურად მზადდება ჩაის კაკლისგან. ჩაის ფოთლების და კაკლის გარდა, ბაზრისთვის საინტერესოა ჩაის ვარდიც. არ ვიცი, გინახავთ თუ არა, ჩაის ყლორტებზე იზრდება ეს ყვავილი. დაახლოებით, 50, 70 სმ-ზე ჩაის ნორჩი ღეროდან. ევროპის ბაზარზე დიდი ინტერესის შემცველია ჩაის ვარდი.

ასეთი გეგები მაქვს საქართველოსთან დაკავშირებით. ჩემი კონსულტანტები გახლავან ოთარ დანელია, ლევან შონია, რომელიც გუბერნატორი გახლავთ სამეგრელოს რეგიონისა და ზუგდიდის მერი ირაკლი გოგოხია. მათთან საუბრების შემდეგ მე აქტიურად ვარ ჩართული ამ საქმეებში.

ვაპირებთ ჩაის დიდი ფაბრიკა ავაშენოთ, სადაც ჩინური ჩაის შეფუთვას განვახორციელებთ. სპეციალური ქარხანა ფოთთან ახლოსაც აშენდება. ჩინელებთან

ერთად ვაწარმოებთ ყველაფერს, ისინი არიან ჩემი პარტნიორები მსოფლიო ბაზარზე.

— თქვენ ლაპარაკობთ მეგრულად, ირანდა?

— ცოტას.

— იცით, როგორ არის მეგრულად მზარეული?

— არა.

— მაშინ მე გეტვით. მეგრულად მზარეულს ჰქვია მაზადალი. (იცინის).

როდესაც სოხუმში ბავშვთა სახლში მიმიყვანეს აღსაზრდელად, როგორც იცით, ბავშვთა სახლებში პატარები უფრო ჩქარა იზრდებიან, და მე შემიყვარდა ერთი მეგრელი გოგონა. ის ჩემზე დიდი იყო 2-3 წლით. მაშინ 11 წლის ვიყავი, ის, ალბათ, 13 წლის იყო. მე ვუთხარი ჩემს მეგობრებს: რა ვუთხრა, როგორ დაველაპარაკო ამ გოგონას. მათ მითხრეს, მიდი და უთხარი: ძღაბი, ქეშილებენო მიდგაზარენი? (გოგო, შეიძლება გაგაცილო?) მან გაკვირვებულმა შემომხედა, ასეთი რამ რომ ვუთხარი. მოკლედ, სასოწარკვეთილმა (იცინის.) დავიწყე მეგრულის შესწავლა.

ახალი წლისთვის, როგორც იცით, მეგრელები ერთმანეთს ულოცავენ, ჩუქნიან საჩუქრებს, ვაშლს და ეუბნებიან: ახალ წანას მიგახვამანქ, (ახალ წელს გილოცავ. — მეგრ.) და დადიან ალილოზე. მეც დავდიოდი სოხუმში ალილოზე.

ისევ ოთარ დანელიასთან დაგეგმილ პროექტებს მინდა მივუბრუნდე. ჩვენ საინტერესო გეგმები დავსახეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. მიმაჩნია, რომ ქართული ლაზა ძალიან სუსტია. ის 15-18 წეწლიწადში იძლევა ნაყოფს. იცით, ალბათ, ლაზა ყურძნის ჯიშია, რომლის სახელწოდება ლაზის ტომიდან მომდინარეობს, ეს კი ნიშნავს, რომ ღვინის წარმოება ისტორიაში, ანუ პირველი ღვინის მწარმოებლები მსოფლიოში მეგრელები, ანუ ქართველები იყვნენ. მინდა ყურადღება გავამახვილო კიდევ ერთ საიდუმლო თემაზე და თუ რატომ გამოვიყენე სიტყვა საიდუმლო, ახლავე აგიხსნით: იცით, რატომ აქვს შავ ზღვას მარილის შემცველობა უფრო ნაკლები, ვიდრე ხმელთაშუა ზღვას? ხმელთაშუა ზღვის მარილიანობა 4,9%-ია, შავი ზღვის — 0,05% და იცით, ეს რატომ არის ასე?

— არა.

— ამერიკელი მეცნიერები ამაზე უკვე წლებია მუშაობენ. მოკლედ, უძველეს დროში, თორას შექმნის პერიოდში, შავი ზღვის ადგილას ტბა იყო, პალიასტომის ტბა იმ ტბის ნაწილი გახლავთ. ძლიერი მიწისძვრის შემდეგ, დედამიწის რელიეფის ცვალებადობის მერე, ეს წყლები შეერია ხმელთაშუა ზღვის წყლებს. ამიტომაც ზედმეტი სიმლაშე არ აქვს შავი ზღვის წყალს. ეს ისტორია ერთგვარი ლიტერატურული მეტაფორა გახდა, როგორც მსოფლიო წარღვნის ნაწილი. ადამიანებმა მაშინ დატოვეს თავიანთი მკვიდრი ადგილები, მოხდა გადასახლება და ა. შ. მაგრამ რამ გამოიწვია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება? ამ ბუნებრივ კატასტროფას 77 წელს უკავშირებენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. თორაშიც არის აღწერილი ეს ამბავი, როგორც წარღვნა, მაგრამ საინტერესოა ის, რომ ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილია წარწერები. წარწერა, თავისთავად ცხადია, არ არის ჩვეულებრივი დამწერლობისნაირი, არის ფიგურები, იეროგლიფები, ნიშნები, მაგრამ რატომ არ აღიარებენ და არ იციან ამის შესახებ სომხებმა? იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ისინი ცოტას კითხულობენ. მე მივასწავლი მათ გზას ამერიკაში მეცნიერებთან, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობენ. დიახ, ეს „დამწერლობა“ მეგრელებს ეკუთვნით. მოკლედ რომ ვთქვა, შავი ზღვის ტერიტორიაზე ამერიკელებმა აღმოაჩინეს ეს ნიშნები, როგორც წარწერები, ანუ მეგრული წარწერები (იცინის).

ვენეციაში წმინდა მარკოზის მოედანზე რომის იმპერიის მუზეუმია. მუზეუმის პირველ სართულზე პანოს ნახავთ, რომელიც წარღვნას გამოხატავს. პანოზე ჩვ. წ. აღ-მდე I-IV საუკუნის მოვლენებია გამოსახული, როგორც რუკაზე. საინტერესო ამაში ის არის, რომ, როდესაც შავი ზღვის ტერიტორიას შეხედავთ, ანაპის სიახლოვეზე, ჩნდება ყვითელი ზოლი, რომელიც ტრაპიზონიდან სამსუნამდე გრძელდება და იქ მთავრდება. საკმაოდ ფართოა ეს ზოლი და სამ ადგილას ამ რუკაზე, წარღვნის გამოსახულების პანოზე აწერია — მენგრელია...

შეიძლება არ იცოდეთ, რომ თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი მეგრელია წარმოშობით. მისი წინაპრები ბათუმში დაიბადნენ, მგონი, ქობულეთთან ახლოს. ეს ტერიტორია, რომ იცოდეთ, სამეგრელოს ნაწილი იყო.

— იმდენს აქებთ სამეგრელოს, მეგრელების ელჩი გამოდიხართ მსოფლიოში, ბატონო ალექსანდრე.

— ასეა. (იცინის.) მაგრამ, მოდით, კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ ლავრენტი ბერიაზე.

როგორც გითხარით ვმუშაობ ჩინეთში და იქაური საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მეკითხება: ალექსანდრ, ძალიან გთხოვ, დაგვეხმარეთ, გვსურს ჩუნეთში, მანჯურიაში გავხსნათ ისეთი ბავშვთა სახლი, როგორიც რუსეთში იყო და თქვენ იყავით ამ ბავშვთა სახლის მზრუნველთა საბჭოს წევრიო. მე ჩავედი ჩინეთში. იქაურები, თითქმის ყველა, მშვენივრად ლაპარაკობენ რუსულად. შევხვდი მაო ძე დუნის ქალიშვილს ტანიას, დენ სიაო პინს, ჩინეთის საამყო წარმომადგენლობის მთელ პუბლიკას. ჩვენ დავმეგობრდით და ა. შ. მოდის ჩემთან ერთი დამა, ვერ არ ვიცი, რომ ის მაო ძე დუნის ქალიშვილია და მეუბნება: ჩემი პირველი თხოვნაა, დაგვეხმარეთ, გვჭირდება ლავრენტი ბერიას ყველაზე საუკეთესო პორტრეტი. ძალიან გამიკვირდა. როგორც ჩანს, ისეთი გაკვირვება გამომეხატა სახეზე, რომ ქალბატონმა მაშინვე მითხრა: თქვენ არ იცით საკუთარი ქვეყნის ისტორია: ლავრენტი ბერია იყო ჩვენი დიდი მამა.

— ??

— ნუ გიკვირთ.

რა აღმოჩნდა, იცით? — სტალინს მოსკოვიდან 180 კმ-ის დაშორებით 1929 წელს აუშენებია ბავშვთა სახლი. ამ ბავშვთა სახლში იყვნენ ბოლშევიკების შვილები, რომლებიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ციხეებში ისხდნენ მცდარი პოლიტიკური შეხედულებების გამო. იყვნენ დახვრეტილი მშობლების ობლად დარჩენილი შვილები და სხვები. ტატიანამაო ძე დუნის ქალიშვილი, 1949 წელს ყოფილა ამ ბავშვთა სახლის აღსაზრდელი. როდესაც სტალინი გახდა სახელმწიფოს მეთაური, ბერია დაუნიშნავს ამ ბავშვთა სახლის მეურვედ. მას შემდეგ, რაც ლავრენტი პავლეს ძე დანიშნულა ამ ბავშვთა სახლის მეურვედ, მაშინ გაჩენილა ბავშვებისთვის ბანანი, ვაშლი, ხორცი, ტკბილეული. ხშირად დადიოდა თურმე იქ, ეხვეოდა, ეფერებოდა ბავშვებს, თამაშობდა მათთან ერთად და ა.შ. წლების შემდეგ ჩინელებმა ააშენეს ამ ბავშვთა სახლის ზუსტი ახლი 35 000 კვ. მ-ის

კორეელ თანამშრომლებთან ერთად

ფართობზე. იქვეა მაო ძე დუნისა და სტალინის უზარმაზარი პორტრეტები. ახლა, როცა შეხვალთ იმ დიდი ბავშვთა სახლის ფოიეში ლავრენტი ბერიას უშველებელი ფოტო დაგხვდებათ. ეს ფოტო მე ავარჩიე და ვაჩუქე მათ. იმ ხანებში დავურეკე ჩემს რუსულ კომპანიას და ვუთხარი: კგბ-ს აქვს თავისი მუზეუმი, მიმართეთ მათ, ექნებათ ლავრენტი პავლეს ძის კარგი პორტრეტი და სთხოვეთ გადმოგცეთ ჩინეთში, მანჯურიის პროვინციაში, ბავშვთა სახლისთვის. მუზეუმის ადმინისტრაციისგან მოვიდა პასუხი: ჩვენ შეგვიძლია გავყიდოთ ერთი შესანიშნავი პორტრეტი. მაგრამ პირობა იყო ასეთი — მიმართეთ ჩინეთში რუსეთის საელჩოს თხოვნით, შეადგინეს თხოვნის ტექსტი ბავშვთა სახლის ყოფილმა და ახლა გამოჩენილმა მოწაფეებმა.

ფოტოს ღირებულება აღმოჩნდა 1700 რუბლი, რაც 110 დოლარამდე იქნებოდა, დაახლოებით. სურათი არის 10/110, ზეთით შესრულებული ტილო, ფოსტისთვის გადავიხადე 300 დოლარი. აი, ასეთი ისტორიაა, მაგრამ საინტერესო კიდევ ის არის, თუ როგორ კოცნიდნენ ჩინელები ბერიას სურათს. რიგები იდგა, რომ ეკოცნათ სურათისთვის.

— თქვენს ოჯახზეც მოგვიყევით.

— ჩემი მეუღლე ჯანიაშვილი გახლავთ, ჯანიაშვილი-ხოფერია, მყავს 6 შვილი. ჩვენი ნაბოლარა 9 წლისაა, უფროსი 36-ის. მიყვარს ბავშვები. ჩემს მეუღლეს ვუთხარი: მანანა, მეშვიდე შვილიც უნდა გავაჩინოთ. თუ არა, სხვასთან გავაჩენ-მეთქი.

— ჯანმრთელობა და სიკეთე მოგეცეთ.

— გმადლობთ და მინდა გთხოვოთ, როცა გამოაქვეყნებთ ამ საუბრის ჩანაწერს, აუცილებლად აღნიშნეთ, რომ მაქს ადამია არის ადამიანი, რომელმაც შექმნა კაკლის საოცარი ჯიში — მაკადამია, რომელიც ამდენი წელი დაშორებული იყო და მალე იქნება თავის სამშობლოში, მალხაზის, იგივე მაქს ადამიას სამშობლოში,.

ირანდა, აქამდე არც თქვენ იცოდით და ეს არაა სამართლიანი, უნდა იცოდეთ, რომ გყავთ ნათლიმამა, ქართველი, უფრო სწორად, მეგრელი პოტიომკინი.

ვფიქრობ, რომ მეგრელები გამორჩეული ხალხია, ნიჭიერი ხალხი. ვიმეორებ, ეს ჩემი შეხედულება და საკუთარი დამოკიდებულებაა მეგრელებისადმი.

მე ხშირად ვარ თურქეთში, მაქვს ბიზნესები თურქეთში, ტრაბზონში, ვლაპარაკობ მეგრულად და მათ მშვენივრად ესმით ჩემი. იციან მეგრული ენა. არდაგანში, რიზესთან ახლოს, ბათუმიდან 65 კმ-ში სკოლებში თურქეთის სახელმწიფომ 1-4 კლასებში მეგრული, ანუ ლაზური ენის შესწავლის ნება დართო მოსახლეობას. თურქეთის მთავრობამ შესანიშნავად იცის, რომ თითქმის ნახევარი თურქეთი ქართულია, ლაზური, ანუ მეგრული. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ ეძლევათ ამის ნება, სურვილიც კი არ არის, უბრალოდ. არადა, მეგრული ენა ძალიან მდიდარია და ეს ხელს შეუწყობდა ქართული ენის გაღრმავებას, ახალი სიცოცხლის მიცემას, ახლა, ენებისთვის ამ რთულ პერიოდში.

— ჩვენი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ხარჩილავა წალენჯიხიდან გახლავთ. ისიც იზიარებს, ნაწილობრივ, თქვენს შეხედულებას.

— სწორია. ლოგიკურია.

იცით, მე მიწის ნაკვეთები მაქვს წალენჯიხაში, ჩხოროწყუშიც. ჩხოროწყუ უნიკალური ადგილია. 9 წყაროს ნიშნავს ჩხოროწყუ, იცით, ალბათ, ხომ?! ჩხორო წყუ — ცხრა წყარო. დიდებული ადგილია. როდესაც ჩინელები ჩავიყვანე წალენჯიხაში, გაოცდნენ, მათ თქვეს, რომ ეს ადგილი ჩაის კულტურისთვის უნიკალურია, ხოლო წალენჯიხაში არის არაჩვეულებრივი ტურისტული პოტენციალი, ტურისტული მექაა, პირდაპირ, წალენჯიხა. იქ არის მთები, იქვე გაშენდება ჩაის პლანტაციები, მანდარინი, ლიმონი. დაბოლოს, მინდა მივულოცო ჩემს ხალხს, ჩემს ქართველებს, მეგრელებს, რომ მეცნიერებმა დაამტკიცეს: არსებობს ოთხი რასა. ყველაზე ახალგაზრდა არის თეთრი, ანუ კავკასიური რასა და რაც საინტერესოა, თეთრი რასის არსებობის უძველესი ნაშთები აღმოჩენილია სამეგრელოს ტერიტორიაზე, კოლხიდაში.

მოკლედ, სიყვარულით ვესალმები მშობლიურ სამეგრელოს ესპანეთიდან. კეთილად ბრძანდებოდეთ. საუკეთესო სურვილებით „ნათლიმამა“ პოტიომკინისგან.

— მადლობა საუბრისთვის.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„ნაცური“ ნაცარი

ურჩმა ნაციონალებმა მამამეთაური გადააგდეს და არჩევნების მეორე ტურისთვის დაიწყეს მზადება...

ურჩი ნაციონალები მეთაურმა ვერც მიგზავნილი „გიჟებით“ დააშინა, აკი, არ დავნებდებითო მიშას მოგზავნილი „გიჟების“ მუქარასო, „გამოტყდა“ ბოკერიას მეუღლე...

ჰოდა, ნაციონალები არც დანებდნენ მიშას...

აღგზნებული ყოფილა საკაშვილი, ვინ არ დამნებდა, როგორ გამიბედესო... ჩემი გარდაუვალი ჩამოსვლა, როგორც გპირდებოდით, კი არ გაუქმდა, გადაიდო, ჩამოვალ მეორე ტურის მერე და იმასაც ვნახავთ ვინ შეჯამა ვენახი კი არადა, ჩემი ბიულეტინებიო...

აქედან კი შეუთვალეს, რაც არ გქონდა, ვინ შეჯამდა, ან თხა სადა გვყავს ან მომხრეებიო, მაგრამ...

მაგრამ მეორე ტური კარსაა მომდგარი და ნაცინალები ემზადებიან, ემზადებიან როგორც შეუძლიათ და როგორც იციან, როგორც გამოსდით და როგორც უსწავლიათ, როგორც დაარიგეს და როგორც არ დაარიგეს...

მიადგნენ არასამთავრობოებს, ჩვენ რომ გეხმარებოდით და დოლარებს რომ გირიცხავდით, ხომ კარგი იყოო? ხომ მოგწონდათო? ახლა კეთილი ინებეთ და დაგვეხმარეთო...

ასე პირდაპირ როგორ დაგეხმაროთო, აწრიალდნენ არასამთავრობოები, ასე პირდაპირ რომ მოვუწოდოთ ხალხს თქვენ მოგცეთ ხმა, მაშ, რაღა არასამთავრობოები ვიქნებითო?

მერე ნუ მოუწოდებთ პირდაპირ, რამე მოიფიქრეთ, ირიბად დაგვეხმარეთო - იხტიბარი არ შეიტეხეს, თურმე, ნაცებმა...

ჰოდა, დატრიალდნენ არასამთავრობოები, გადახედეს ერთმანეთსა და კანონებს, იქექეს წიგნებსა და კონსპექტებში და ჰოი, საოცრებავ, აღმოაჩინეს...

სიხარულით აუძგერდათ არასამთავრობო გულები და ბედნიერებისგან ათრთოლებული ხმით გვამცნეს აღმოჩენა:

მეორე ტური რომ ოცნებამ მოიგოს, დავიღუპეთო, ამას ხომ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოჰყვება პარლამენტშიო...

მერე საკონსტიტუციო უმრავლესობა რომ გვქონდეს პარლამენტში, მეტად ქმედითუნარიანი რომ გახდეს პარლამენტიო? მართლა რომ მიიღონ კანონები ოჯახის განსაზღვრის შესახებ (ოჯახი რომ ქალისა და მამაკაცის ერთობაა), პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევის შესახებ ან კიდევ უფრო საშინელება რომ მოხდეს და პარლამენტი მართლაც რომ თბილისში გადმოიტანონ ისევ, რა გვეშველებაო?

კონსტიტუცია, აი ის კონსტიტუცია, საიდანაც ცვლილებები შეგვქონდა და გამოგვქონდა, როგორც გვინდოდა და გვაწყობა, ის კონსტიტუცია რომ მწყობრში მოიყვანონ, დაალაგონ და ერთხელ

და სამუდამოდ გამართონ, ხომ დავრჩით უმუშევარნი და ხომ დარჩით თქვენ გამართული კონსტიტუციის ამარად მიყრილნიო...

ამიტომო, საკონსტიტუციო უმრავლებოსა რომ არ შეიკრიბოს პარლამენტშიო, პარლამენტმა რომ ხმაშეწყობილად მუშაობა ვერ შესძლოსო (ხელჩართული ნაცური ჩხუბის გარეშე რა იქნება არშემდგარი კვორუმები და ჩავარდნილ კანონპროექტებზე ნაცების ბედნიერი სახე თუ არ ვიხილეთ რას დაემსგავსება ქართული პარლამენტიო), ამიტომ, ხმა უნდა მივცეთ ნაციონალურ მოძრაობასო... მხოლოდ და მხოლოდ ნაცები, ეს ურჩი და ბელადის წინაშე ამბოხებული ნაცები გვიხსნიან საკონსტიტუციო უმრავლესობის ბრჭყალებისგანო....

აბა, აბაო, მხარი აუბეს ნაცებმა (თან გულში ჩაიღიმილეს, ტყუილად არ ვუხდიდით თურმე, ჩვენ ამათ, ნახეთ რა მოხერხებულად მოუფიქრებიათო), ჩვენ საერთოდაც მაგიტომ ვიყრით კენჭს მეორე ტურში, რომ პარლამენტი გადავარჩინოთ, რომ კონსტიტუცია გადავარჩინოთ, თორემ, აბა, სხვა რა ჯანდაბა გვინდა პარლამენტში და რა გვრჯის ქუთაისში რომ ვიაროთო...

სულ ცოტა ხნის წინ თუ სააკაშვილი იყო ნაცების კუმირი და გარდაუვალია მისი ჩამოსვლაო, გვამუნათებდნენ, ახლა, კონსტიტუცია გახდა მათი საფიცარი, კონსტიტუცია გახდა დედაცა და მამაცა, პურიცა და ფულიც, სკამიცა და სავარძელიც...

ჰოდა, ერთი, კონსტიტუციას გაფიცებთ რა, გულწრფელად მითხარით, თქვენ რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა გქონდათ, მაშინ რატომ იყვნენ მიჩუმებულნი არასამთავრობოები, თქვენი საკონსტიტუციო უმრავლესობა სხვა ფერის იყო, თუ როგორ არის საქმე?

თქვენი საკონსტიტუციო უმრავლესობის დროს არ აიწეწა და დაიწეწა ჩვენი პატივცემული კონსტიტუცია? თქვენი საკონსტიტუციო უმრავლესობის დროს არ ამოგვაცალეს პირადობის მოწმობიდან ეროვნულობის გრაფა? თქვენი საპარლამენტო უმრავლესობის დროს არ იყო ქვეყანა დაშინებულ-შეჭირვებული?

თქვენს დროს, ვინც უმცირესობაში იყო, დღე ერთი იყო და რატომ ათასჯერ არ დააყვედრებდით, უმცირესობაში ხარ და მომხრეები არა გყავსო, დილა თენდებოდა თუ არა, დამოძღვრას იწყებდით, უმრავლესობაში ვართ და ხალხის დაკვეთას ვასრულებთო, ხალხმა აგვირჩია და ხალხის აზრს წინ ვინ გადაუდგებაო...

თქვენს დროს უმცირესობა იყო ცუდი ტონი, ახლა უმრავლესობა ყოფილა საშიში ქვეყნისთვის... ეჰ, ჭრით და კერავთ, ჭრით და კერავთ... თარგი გაგექცათ ოღონდ უკრაინაში, თარგი...

მას შემდეგ რაც ხატი დაკარგეს ნაციონალებმა მიშას სახით, მონასტერი აერიათ... შეხმატკბილებულად ვეღარ მუშაობენ, ალთასაც მოედვნენ და ბალთასაც... ზოგი თავგანწირვით იბრძოდა, ზოგი წინასწარვე გრძნობდა დამარცხებას...

ჰოდა იმ ზოგმა, რომელსაც დამარცხება უგრძნო გულმა, იმ ზოგმა, რომელიც მეორე ტურს არ ელოდა, შტაბის წვერები, კოორდინატორები ანაზღაურების გარეშე დატოვა და მათი ხელფასები მიითვისა...

„რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელიაო“ - აქოთქოთდნენ კოორდინატორები, ტყუილი დაპირებების იმედად მუშაობაზე უარი განაცხადეს და კუთვნილი სარგო მოითხოვეს...

მორალიო? რწმენაო? პარტიული მრწამსიო? - გაიკვირვეს მაჟორიტარობის კანდიდატებმა... როგორ, ჩვენთან ერთად დგომის სანაცვლოდ, ჩვენთვის მუშაობის სანაცვლოდ ფულსაც ითხოვთო? მაგრამ, თქვენგან რა გვიკვირს, მამასაც დავვიწყებივართ და დედაც დამარცხებულაო...

ჰოდა, პარტიული მრწამსით გულანთებულ მაჟორიტარობის კანდიდატებს, პარტიიდან სხვა მაჟორიტარებმა დაუქნიეს ხელი, ამოიღეთ ეგ ჯიბეში ჩადებული ხელფასები და დაარიგეთ, თორემ, მეორე ტურისთვის ერთი კოორდინატორიც არ შეგრჩებათო...

რისი ამომღებნი არიან, კონსტიტუციას გაფიცებთ, ჩემზე უკეთ მაგათ იციან, მეორე ტურში, პირველ ტურზე ნაკლებ ხმებს რომ მიიღებენ... რისი ამომღებნი არიან...

ამასობაში კი მარგველაშვილმა ეროვნული უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი დაგვინიშნა, ყოფილი ნაცი და ალპინისტი... ახლო ურთიერთობაში ვარ 30 წელია და იმიტომ, მეუღლე და ოთხი შვილი ყავს და იმიტომო... დედა, არ გამაგიჟო, საჭირო ყოფილა თანამდებობის პირი ოფიციალურ ქორწინებაში იყოს?

ჰოდა, საკონსტიტუციო უმრავლესობა გვინდა ზუსტადაც, ახლობლობით და ნაცებთან მეგობრობის ნიშნით რომ არ დაგვინიშნონ ეროვნული უშიშროების კადრები იმიტომ, კონსტიტუცია რომ ზუსტადაც მწყობრში მოვიდეს იმიტომ, ის კანონპროექტები რომ გავიდეს, რასაც „ოცნება“ გვპირდება, იმიტომ, ბოლოს და ბოლოს, „ქართულ ოცნებას“-თან სათქმელი რომ გვქონდეს, აჰა, ბურთი და მოედანი და გვიშველეთო, იმიტომ...

ისე, რელიეფურ ცვლილებებს თუ ველოდებით და ალპინიზმი თუ არის ჩვენი ეროვნული უშიშროების ერთადერთი გადამრჩენი, გამაგებინეთ, არ დამიმალოთ...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

მატვეი განაპოლსკი, როგორც ნეხვის ბუზი!

ამ რამდენიმე ხნის წინ ცნობილი „ბუზის“ ბზუილი მომესმა; ამჯერად არა რადიო „**Эхо Москвы**” -ს სტუდიიდან, არამედ კიევიდან. „ჩვენი“, ანუ ქართველების, ყოფილი სიძე და ზურაბ ჟვანიას ყოფილი ქვისლი, მატვეი განაპოლსკი უკვე მერამდენედ ჩვეულ, საყვარელ ნეხვს დაეჯდა... რატომ კიევიდან? იმიტომ, რომ მან რუსეთის მოქალაქეობა ისევე, როგორც მისმა მეგობარმა – ძებნილმა სააკაშვილმა, უკრაინულს ანაცვალა. თუმცა, მის ბზუილს მოვუსმინოთ: **„...მაშ ასე,** – ანთხევს შხამს განაპოლსკი, – **როცა ქართველისგან გესმის, რომ უკრაინელი მისი საუკეთესო მეგობარია, იცოდეთ, რომ ეს ტყუილია. როცა საქართველოში მიდიხართ და თეფშზე ხაჭაპურს გიდებენ და ჭიქაში გისხამენ ღვინოს, და ხალხთა ერთობაზე გიყვებიან, გახსოვდეთ, რომ მათ თქვენი ფული სჭირდებათ. მეტი არაფერი. მათ თქვენი ფული უნდათ ისევე, როგორც „ბორჯომისთვის“, რომელიც საქართველოში კაპიკები ღირს, უცხოეთში კი ისეთი ძვირი ღირს, როგორც ელიტარული წყალი. თურმე,**

არ არის წართმეული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც რუსეთის ბიუჯეტზე არსებობენ. აგრესორის ყველა შეურაცხყოფა დავიწყებულია. ახლა საქართველოს დოქტრინა მარტივია – არ გაანაწყენოს რუსეთი და ივაჭროს იმით, რითაც საუკუნეების მანძილზე ვაჭრობდა – ღვინით, მზის ჩასვლით და სიმღერებით. კიდევ, ევროპა და ნატო უნდათ. როგორ უნდა განხორციელდეს ეს სურვილი, როცა აგრესორს აგრესორად არ აღიარებ, ხოლო ოკუპანტს ოკუპანტად? მაგრამ ეს დღევანდელი საქართველოა. ასე რომ, თუ კი საქართველოში ჩახვალთ და ჯადოსნური მრავალხმიანობით გიმღერებენ, ქართველებს უთხარით უბრალო ფრაზა: „გაიწიე, გენაცვალე“... რამ გაანაწყენა ქართველებზე საცირკო სასწავლებლის ყოფილი კურსდამთავრებული, შემდგომში ესტრადის საკმაოდ უნიჭო მსახიობი, მერე კი რუსი და აწ უკვე უკრაინელი ჟურნალისტი მატვეი **მარგოლისი** (მისი ნამდვილი გვარი- **ავტ**.) მისივე „ოფიციალური“ ვერსიის თანახმად, იმ ფაქტმა, რომ საქართველომ მხარი არ დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც აღიარებდა რუსეთის აგრესიას აღმოსავლეთ უკრაინაში, ასევე, სცნობდა ყირიმს და დონბასს ოკუპირებულ ტერიტორიებად და, რომელიც მოითხოვდა რუსეთისგან ამ ტერიტორიებიდან გასვლას. არ დაუჯეროთ! განაპოლსკის ისევე აღელვებს უკრაინის და უკრაინელების ბედი, როგორც მე იმავე ნეხვის ბუზის სასიყვარულო განცდები. განაპოლსკის წყენა გამოიწვია „ნაციონალური მოძრაობის“ გამაყრუებელმა მარცხმა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, რითაც განაპოლსკის წინასწარმეტყველებას – „სააკაშვილის საქართველოში ტრიუმფალური დაბრუნების“ შესახებ ბოლო მოეღო. ამასთან ერთდ, ბოლო მოეღო იმ ნასუფრალს, რომელსაც მას, როგორც „დემოკრატიის შუქურის“ – სააკაშვილის მეხოტბეს დროდადრო უგდებდნენ სახრავად სააკაშვილისვე ოკეანგაღმელი პატრონები. ყოფილი რუსი, ხოლო აწ უკვე უკრაინელი ჟურნალისტი ისე გამწარდა, მას ისე დაუბნელდა გონება, რომ დაერია განურჩევლად ყველა ქართველს იმ ნახევარი მილიონი „ქართველების“ ჩათვლით, რომლებმაც თავისი ხმა „ნაცმოძრაობას“ მისცეს. ჟურნალისტი განაპოლსკი არა მხოლოდ არამზადაა, არამედ სრული იმბეცილიც. აბა, როგორ უნდა ახსნა მისი სიტყვები, რომ ქართველებს, როცა ისინი ხაჭაპურს თეფშზე გიდებენ და ღვინოს ჭიქაში გისხამენ, მათ მხოლოდ თქვენი ფული უნდათო? საინტერესოა, რომელ ქართველებს გულისხმობდა ბატონი მატვეი? რესტორნის მიმტანებს? რა თქმა უნდა, ისინი გასამრჯელოსაც ელიან კლიენტებისგან მომსახურებისთვის, რაც ჩვეულებრივი ამბავია. რესტორანში რომ მიდიხარ, ფულიც უნდა გქონდეს. ყველა ხომ არ არის მატვეი განაპოლსკი, თბილისში სტუმრობისას, მუქთად რომ მიირთმევდა იმავე ხაჭაპურს და ღვინოს, დამატებით, ხინკალს და ქაბაბს. გაიხსენოს კარგად, ვინ იხდიდა მის თბილისურ სადილების საფასურს? უთუოდ, „ნაცმოძრაობა“ და, რა თქმა უნდა, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე. აგრეთვე, საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე, „ნაცები“ აპურებდნენ „ექოს“ სხვა თანამშრომლებსაც, მაგალითად, ლატინინას და ნოვოდვორსკაიას... ან, ფსიქიატრიის რომელი საზომით შევაფასოთ განაპოლსკის მონაჩმახი იმის თაობაზე, რომ საქართველო საუკუნეების მანძილზე ვაჭრობდა ღვინით, მზის ჩასვლით და სიმღერებითო? ღვინით ვაჭრობა იყო და არის, მაგრამ მზის ჩასვლით და სიმღერებით ვაჭრობის თაობაზე არაფერი მსმენია. ეს იგივეა, რომ ივაჭრო პლანეტებით. განაპოლსკის იმბეცილობაზე მეტყველებს მისი მანიაკალური მუქარაც, ააფეთქოს ის ენერგოხიდი, რომელიც ქერჩის სრუტის გავლით, ყირიმს ელექტროენერგიით ამარაგებს.

როგორც ყველა ლიბერალურ ჟურნალისტს, განაპოლსკისაც ახასიათებს სხვისი აზრის მიმართ შეუწყნარებლობა, უტიფრობა ეთერში, სრული წინასწარაკვიატებულობა და ანგაჟირება. მისი საყვარელი სიტყვებია: „განავალი“, „ასო“, „ტუალეტის ქაღალდი“... ასევე ფრაზები: „წაეთრიე უკანალში, ნაგავო! ამას მე შენ პირადად გეუბნები“, ან: „როგორ ბედავ შენ, საქონელო, ეთერში დარეკვას“ და მრავალი ამის მაგვარი. კიევში გახსნილ კაფე „დამსჯელის“ მენიუში არსებული კერძის სახელწოდებას – „შემწვარი მოსკალი“ ანუ „შემწვარი რუსი“ განაპოლსკი უწყინარ ხუმრობად თვლის. საინტერესოა, თუ ჩათვლიდა ებრაელი განაპოლსკი „უწყინარ ხუმრობად“, იმავე კიევში რომ გაეხსნათ კაფე სახელწოდებით „გესტაპო“ და მასში საფირმო კერძი ყოფილიყო, დავუშვათ, „შებოლილი ყიური“ ?..

გაურკვეველია, თუ ვისზე მუშაობს განაპოლსკი. გამოგიტყდებით, რომ შარშან დამაბნია ცნობილი ტელეწამყვანის – ვლადიმერ პოზნერის ღია წერილმა მატვეი განაპოლსკისადმი. გთავაზობთ ამ წერილის ნაწყვეტს: **„ ...„ექო მოსკვი“ 65 პროცენტით ეკუთვნის „გაზპრომ-მედიას“, რომელიც , თავის მხრივ, „გაზპრომის“ საკუთრებაა; და თუ ვისია ეს უკანასკნელი თქვენ, რა თქმა უნდა, იცით. თუ ხელისუფლებას მოუნდებოდა „ექოს“ დახურვა – იოლად დახურავდა და ამასაც თქვენ მშვენივრად ხვდებით. მაგრამ, ხელისუფლება აძლევს „ექოს“ არსებობის უფლებას და იმ რეჟიმში მუშაობას, რომელშიც „ექო“ მუშაობს. ხელისუფლება თქვენც გაძლევთ მუშაობის უფლებას თქვენივე კომენტარით. და ამას ჰქვია, ჩემი აზრით, ფსევდოდამოუკიდებლობა“**. რა უნდა ვთქვა ამ თავსატეხზე? ერთი (განაპოლსკი) მაუწყებლობს „გაზპრომის“ რადიოსადგურიდან, მეორე კი (პოვზნერი) იმ ტელეარხიდან, რომელიც ტონობით სიცრუეს აფრქვევს მაყურებელს; და, ამავდროულად, თავის არსში, ორივენი უპატიოსნესი და უწესიერესი ადამიანები არიან და, შეძლებისდაგვარად, ავრცელებენ ამაღლებულს და მარადიულს, ოღონდ, ეშმაკის ფხიზელი მზერის ქვეშ... თუმცა, ახლახანს გაირკვა და დოკუმენტურადაც დადასტურდა, რომ მატვეი განაპოლსკი იღებდა ამერიკის სამთავრობო სააგენტოდან – „ბი-ბი-ჯი“- დან (BBG) ფულად გზავნილებს. ეს ორგანიზაცია ემორჩილება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს და აფინანსებს „დემოკრატიულ მედიას“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის „ჩვენ“ „რუსთავი-2“-საც. როგორც აშშ-ს სახელმწიფო შესყიდვის ღია პორტალი გვაუწყებს განაპოლსკის გრანტებს ურიცხავდნენ 2010 წლიდან 2014 წლამდე. სულ მას გადაერიცხა 12 800 დოლარი. დამეთანხმებით, რომ სამშობლოს ღალატის საფასურად ეს თანხა არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ თითო ანტისახელმწიფოებრივი წერილის შეთხზვაში 1000 დოლარის მიღება არცთუ ისე ხელწამოსაკრავია.

და ბოლოს, ღმერთმა დაიფაროს საქართველო და მისი მოსახლეობა მატვეი განაპოლსკის ქებისგან. და თუ ასეთი ნეხვის ბუზი ქართველებზე დაბოღმილია, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სწორი გზით მივემართებით!

გიორგი კორძაძე
571 77 61 95

დონალდ ტრამპის უცოდველი ვნებანი ანუ როდის ისწავლიან ეს „გოიმი“ და „ჩამორჩენილი“ ამერიკელები ქართველებისგან სექსუალური თავისუფლების ანაბანას?

ლამის მთელი კვირა, მსოფლიო მედია, მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართული მედიაც ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი, მილიარდერი ბიზნესმენი დონალდ ტრამპი კვლავ დაადანაშაულეს სექსუალურ ზეწოლაში. არა, მთლადაც კი არ განუხორციელებია, განხორციელების მცდელობა ჰქონია, ეს ორი ქალი კი (41 წლის სამერ ზერვოსი და 46 წლის კრისტინ ანდერსონი) თავს იკლავს, კაცებმა რომ იციან „იმამდე“, ისე მოგვეფათურაო.

მთლიანობაში რამდენ ქალზე ჰქონდა სექსუალური ძალადობის განხორციელების მცდელობა ბატონ ტრამპს, მისი აღსრულება ან ამჟადამაც აქვს ფარული განზრახვა, უცნობია, მაგრამ მისი მექალთანეობა ერთგვარად სახალისო კი არის გარე თვალისთვის. გამოცემა „ფიფლ-ის“ ჟურნალისტიც კი გამოენთო კიდევ სხვა სამ ქალთან ერთად, კინაღამ არ გაგვჟიმა მაგ შეჩვენებულმაო? რეიჩელ კრუსმა „ნიუ-იორკ თაიმსთან“ დაიჩივლა 2005 წელს 22 წლის ვიყავი და მის კომპანიაში ვმუშაობდი, როცა მასთან შეხვედრის დროს სექსუალური ზეწოლის ობიექტი გავხდიო... (სელმა ჰაეკიც კი გამოჩნდა იგივე ბრალდებით, თუმცა შედარებით მსუბუქი ფორმით) წაწიწკვო ასაკის ქალებს რა უჭირთ, მაგრამ ამჟამად 74 წლის ვინმე ჯესიკა ლიდსმაც რომ გაუხსენა ძველი ანგარიშები? თურმე 35 წლის წინ ის ტრამპთან ერთად იმყოფებოდა თვითმფრინავში, სადაც ტრამპმა მასზე სექსუალური ხასიათის ქმედებები განახორციელა.

ჩვენ ვხალისობთ, ტრამპის საარჩევნო შტაბი და თვით ტრამპი კი ხან ამერიკის კონსტიტუციას იფიცებენ და ხან ჯორჯ ვაშინგტონის სულს, ტყუილია ეს ყველაფერი, ცილს გვწამებენო და ხელს კონკურენტისკენ, ჰილარი ქლინთონისკენ იშვერენ.

საწყალი ტრამპი, რა უბედურ ქვეყანაში ცხოვრობს თურმე!.. არა, მაინც რა გოიმები ყოფილან ეს ამერიკელები? ფარულად ან ღიად გადაღებული ვიდეო-კადრები მაინც ჰქონდეთ, ბოლო-ბოლო ფოტოები მაინც! თქვენც არ მომიკვდეთ! განა რამე ფაქტი აქვთ, — ამბობენ ვიღაც ქალები და ამ ნაამბობებზე წრეზე დარბიან, წინ ტრამპი, უკან — მთელი აშშ და მათ მიდევნებული ჭორიკანა მსოფლიო.

თანაგრძნობა კი არა, რჩევა სჭირდება ახლა ამ გაჭირვებულ მილიარდერს და ეგებ ხმა მიაწვდინოს ვინმემ — სასწრაფოდ გამოიწეროს ქართული „ასო-ები“ და ცალკეული პირები, მათ შორის მაღალი რანგის პოლიტიკოსები განურჩევლად სქესისა და ჟურნალისტები! რომ გაუშვანშვალებენ პლაკატებს „გაეთრიე ჩემი საძინებლიდან!“ „ჩემი სხეული ჩემია!“ და სახელდახელოდ გადაჭიმულ თეთრ ქსოვილზე

დაოჯახებული ქართველი პოლიტიკოსების სექსუალურ ვნებებს ვიღაცებთან ნატურში უჩვენებენ, მერე გაიგებენ ეს „წარსულის გადმონაშთი“ ამერიკელები რა თავქინძები ყოფილან ტრამპს რომ წაბღლარძუნებას ედავებიან. თუ ერთგვარად ჩაწვდნენ ამერიკელები ქართული დემოკრატიის სულს მაგრამ ცოტა მაინც წაიფორხილეს და იდიოტური კითხვა დასვეს, აფსუს, აქამდე სად იყავითო? ზედმიწევნით მაგრამ ლაკონურ პასუხს მიიღებს ნატა ფერაძისთან — „აქამდე ვტ...ბდითო!“

არა, მაინც რა ჩამორჩენილები ყოფილან ეს „ტრიპაჩა“ ამერიკელები?

მანამდე ხომ სულაც პრეზიდენტი ბილ ქლინთონი მიიმწყვდიეს კუთხეში, იმ ქლინთონის მეუღლე, რომლისკენ ახლა ტრამპი იშვერს ხელს, ეგ მითხზავს მაგ ხასიათის ჭორებსო. როგორც ირკვევა, წარმატებული კარიერისთვის ოჯახის სიწმინდის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა ამ შავ-ბელ აშშ-ში სახელმწიფო მოღვაწისთვის. რა ქნან ამ გაუნათლებელმა ამერიკელებმა, რა მათი ბრალია რომ ჯერ კიდევ დაბალ დონეზე არიან სექსუალური განათლების მხრივ... ოჯახიო... რა დროს ოჯახია XXI საუკუნეა!

 აი, საქართველო სულ სხვა ოაზისია ამ მხრივ, შენ ფეხი აიშვირე და რაში გენაღვლება ვინ რას იტყვის? გინდ მინისტრი იყავი, გინდ — პარლამენტის თავმჯდომარე და გნებავთ პრეზიდენტი...

დემოკრატია კი არა, მთლად გაუვალი ჯუნგლები ჰქონიათ

ამერიკელებს, რას გადაჰკიდებიან ამ პროგრესულად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეებს, უცვთებათ მეუღლეები და ესექსავებათ ვიღაცებთან, რას უვარდებიან საძინებელში?

საწყალი ჰარი ჰარტი, კოლორადოს შტატის სენატორი! კაცი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატურაზე განიხილებოდა და წარდგინებიდან ერთ თვეში გამოუჩხრიკეს რომ სატრფიალო ურთიერთობა ჰქონია მოდელ დონა რაისთან. იწიოკა ჰარტის მეუღლემ, ტყუილიაო, მაგრამ რამდენიმე დღეში ჰარტის რეიტინგი ისე დაეცა, სენატორი სულაც წავიდა პოლიტიკიდან და იურიდიულ საქმიანობაზე გადაერთო...

რა მოხდა მერე, მიმზიდველი მოდელი იყო ალბათ და მოსწონდა იმ კაცსაც, დიდი ამბავი! ბედი არ ჰქონია არც მას, თორემ დაბადებულიყო საქართველოში და მოდელებს დაანატრებდა ვინმე კი არა, გადაჯეგავდა ვისაც თვალს დაადგამდა და თან სულ „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ სწორედ იგივენი, ვინც იმ ბნელ ამერიკაში მისი სექსუალური მისწრაფება დაგმო...

ამერიკა — ამერიკად და ამ „ბოზ ევროპას“ რაღა აუტყდება ხოლმე? არა, ნამდვილად ამოჩემება იციან ხოლმე ვიღაცების. სილვიო ბერლუსკონის სახელის ხსენებისას ქალების მეტი არაფერი გაახსენდება კაცს, არადა, „ტიპად ტიპი“ კი უყვარდათ პრემიერი იტალიელებს, მაგრამ რათ უნდა, არიქა, ქმარ-შვილიანი პრემიერი მოდელთან ერთად ვნახეთ ფოტოზეო და მუხლამდე ჩამოუვარდა რეიტინგი, იქით ცოლი გადაირია, გავშორდებიო. ცალკე, არასრულწლოვან მეძავთან ინტიმურ ურთიერთობაში გახდა ეჭვმიტანილი, არადა, კაცი იფიცებოდა 45 000 ევრო იმიტომ ვაჩუქე, რომ პროსტიტუციისთვის თავი დაენებებინა და საკუთარი სალონი გაეხსნაო...

სექსი არ არის დანაშაულიო, ბიჯოს! — დაეხათ ყელის იოგები ქართველ „პრადვინუტებს“ მაგრამ ვის ესმის, არ გააჭირა საქმე ამ „გაუნათლებელმა“ დასავლეთმა ცალკე და “გაუნათლებელმა“ აფრიკამ კიდევ ცალკე?!

ოხუნჯი კაცია ტრამპი, ნიშნისმოგებით იკითხა კონკურენტზე: თუკი ჰილარი ქლინთონი საკუთარ ქმარს ვერ აკმაყოფილებს, რატომ ჰგონია მას, რომ ის ქვეყანას დააკმაყოფილებსო? (ჰილარის ნაცვლად, მადონამ განაცხადა, კარგად ფლობს „ორალური სექსის ხელოვნებას“ და ყველას, ვინც ჰილარი ქლინთონს მისცემს ხმას, ის დააკმაყოფილებს პირადად. რა პრობლემაა?)

P.S 2012 წლის გაზაფხულზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ტრამპს ბათუმში წააყოლეს მომღერლები: ნინი ბადურაშვილი, ქრისტინე იმედაძე, სოფო ნიჯარაძე. მოდელები: ჯანეტ ქერდიყოშვილი, ნანუკა გოგიჩაიშვილი და ლხინმა დილამდე გასტანა. მათგან, ქრისტინემ და ნინომ პრეზიდენტთან ერთად იფრინეს, ხოლო დანარჩენებმა ტრამპთან ერთად. ამ შემადგენლობის ამსახველები ფოტოები ინტერნეტშიც გაავრცელეს, მაგრამ ფოტოები მალევე გაქრა, მხოლოდ ერთი ფოტოღა დაკინკილობს...

გიორგი ჩხეიძე

როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ლგბტ თემის წევრები და კაბაში გადაცმული კრიმინალები?

რატომ არ არის განსაზღვრული კანონით, ვინ შეიძლება ჩაითვალოს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლად?

ორიოდე კვირის წინ, თბილისობის წინა დღეს, ორთაჭალაში მძიმედ დაჭრეს ტრანსგენდერი, ვინმე ზიზი შეყილაძე. შეიქმნა ერთი ვაი-უშველებელი. სახალხო დამცველმა უმალ გააკეთა განცხადება, სექსუალურ უმცირესობათა უფლებები ილახება საქართველოშიო. სამართალდამცველებს არა მარტო საქმის დროული გამოძიება, არამედ უმცირესობების ფიზიკური დაცვა მოსთხოვა. საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა სოფიო შამანიდმა დაზარალებულს საავადმყოფოში მიაკითხა.

ჰუმანიზმი კარგია, მაგრამ არა შერჩევითი. მარნეულში ნაცემი პოლიციელი სამკურნალო დაწესებულებაში მხოლოდ შსს-ის მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა მოინახულა. არც სახალხო დამცველის აპარატში, არც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მათ შორის, სოფიო შამანიდს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რომ გმობენ პოლიციელის შეურაცხყოფას და, მით უფრო, ხელყოფას. ასეთი ლოგიკით, ჩვენი პოლიციელები უუფლებონი ყოფილან, ყველაფერი უნდა აიტანონ! ამავე პოლიციელებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ჩვენგანის, უკაცრავად და, პედერასტების, ფიზიკური დაცვა!

როგორც ჩანს, ეს ზიზი ცნობილი ავანტურისტია, სასჯელიც აქვს მოხდილი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მძიმე დანაშაულად განიხილება. მასთან ერთად იხდიდა სასჯელს მის დაჭრაში ბრალდებული მურჯიკნელი. ორივე პიროვნება ერთმანეთს თურმე კარგადაც იცნობდა.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ციხეში ე. წ. სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები განცალკევებით, დანარჩენი პატიმრებისგან იზოლირებული ჰყავთ. მათ საკანში ან მათ ტერიტორიაზე არავინ შედის ამ კასტის წარმომადგენლების გარდა. ჩემი უკანონო პატიმრობის დროს პირადად ასეთ ფაქტს შევესწარი 2006 წელს, როდესაც თავად ვიყავი ციხეში — ერთ-ერთი ტრანსგენდერი, რომელიც ძარცვა-ყაჩაღობისთვის იყო დაკავებული, აღნიშნულ საკანში ცოცხალი თავით არ შედიოდა. თავისთავად, ვერც ჩვეულებრივ საკანში და ვერც ქალთა განყოფილებაში ვერ მოათავსებდნენ. მოკლედ, ციხის ადამინისტრაცია გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფაქტობრივად, პატიმრის ხუშტურებს ემორჩილებოდნენ და ცალკე განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჰყავდათ.

სიმართლე გითხრათ, მაშინ ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. კითხვები ახლა გამიჩნდა, როდესაც ასე თავგამოდებით იცავენ სექსუალური უმცირესობების უფლებებს ზოგიერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი. თუ მართლა იყო ხსენებული პირი ტრანსგენდერი, ან სექსუმცირესობის წარმომადგენელი, რატომ ამბობდა უარს თავის თანამოაზრეებთან ყოფნაზე? რატომ დაატარებდნენ ცალკე მანქანით სასამართლო პროცესებზე? რატომ ჰყავდათ მარტო, ცალკე საკანში მაშინ, როდესაც მე-5 საპყრობილე სულის ამოხუთვამდე იყო გადატვირთული?

მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის არანაირი ტრანსგენდერი არ იყო, უბრალოდ, თვითმარქვია გახლდათ, რომელიც იბრალებდა და იყენებდა ტრანსგენდერობას, რათა სასჯელი აეცილებინა ან შეემსუბუქებინა მაინც.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლად? კანონი იდენტობის შესახებ კი მიიღო ჩვენმა პარლამენტმა, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი, ვინ და როგორ უნდა მიანიჭოს ადამიანს ეს „საპატიო“ წოდება. გამოდის, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც არაფრად აგდებს თავმოყვარეობას, სირცხვილს, შეუძლია ჩაიცვას კაბა, კოლგოტკები, შეიღებოს ტუჩები, თმა და დაიბრალოს ტრანსგენდერობა.

მხოლოდ ის გარემოება, რომ ვიღაც კაცმა (ან ნაკაცარმა) კაბა ჩაიცვა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს საკმარისი არგუმენტი იმისა, რომ მივაკუთვნოთ სექსუმცირესობას. ალბათ, უნდა შეიქმნას კანონი, სადაც გარკვევით იქნება ჩანაწერი, თუ ვინ უნდა განსაზღვროს ადამიანის იდენტობა, ვინ და რატომ ჩაითვალოს სექსუმცირესობის წევრად.

ამის თქმის საფუძველს ის გარემოება გვაძლევს, რომ ვიღაცებისთვის ე. წ. ლგბტ-ს წევრობა ხელშეუხებლობის გარანტად იქცა. თუ ამ ორგანიზაციის წევრი ხარ, ყველაფერი დასაშვებია და ყველაფერი გეპატიება. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია ჩანს. ასეთი ადგილები თბილისში უამრავია და თითქმის ყველას კარგად მოეხსენება. თუ აკრძალულია, მაშინ მთავარი დამნაშავე ხომ უშუალოდ სექსმუშაკია და არა ფართის გამქირავებელი. ფაქტობრივად, კორუფციისთვის უამრავი ხვრელია დატოვებული, რომელთა ამოვსება თუ ამოქოლვა დროულად არის საჭირო.

დავუბრუნდეთ ლგბტ-ს თემას. შეიძლება ვინმეს დაებადოს კითხვა — რატომ იცავენ ასე თავგამოდებით სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენელი მათ, ვინც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია? პასუხი მარტივია — ფული!

საიდუმლო აღარავისთვის არის, რომ ლგბტ თემი უცხოეთიდან სოლიდურ დაფინანსებას იღებს გრანტების სახით. ამიტომაც შექმნეს სინდიკატი, სადაც მრავლად ჰყავთ იურისტები, ადვოკატები. მათ მხარდამჭერებად გვევლინება ზოგიერთი ტელევიზია, პრესა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყიდულობენ ყველას, ვისი ყიდვაც შეიძლება. ამიტომაც ფართოვდება მათი ორგანიზაცია. საკმარისია ერთი გადაკრული სიტყვა, რომ უმალ წიოკს იწყებენ — ილახება უმცირესობის უფლებებიო და საჩივლელად უცხოეთში გარბიან. თუმცა რატომ უნდა იარონ შორ მანძილზე, როდესაც მხარდამჭერები და გულშემატკივრები აქაც ბევრი ჰყავთ, მათ შორის, წარმოიდგინეთ და, სამთავრობო უწყებებში.

მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის, ისრაელში, აშშ-ში, რუსეთში აკრძალულია იმ არასამთავრო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან. ეს გარემოება არავის დაჩაგვრას, დაკნინებას არ ისახავს მიზნად. ჩვენ ქმედებით, ხან უმოქმედობით ვანგრევთ, რაც გაგვაჩნია. ცუდი მაგალითი ზოგჯერ ყველა ბაცილაზე სწრაფად ვრცელდება. თუ ქვეყანას გავავსებთ ტრანსგენდერებით თუ პედერასტებით, საქართველო წაიშლება რუკიდან. რა მაგალითის აღება შეუძლია ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, როდესაც ტელევიზორში უყურებს, თუ როგორ თავგამოდებით იცავენ გაუკუღმართებული ხალხის უფლებებს. მსგავსი ხალხი ჩვენთან ადრეც იყო, მაგრამ თავიანთ ორიენტაციას არ აფიშირებდნენ, თავზე არავის ახვევდნენ.

წლევანდელი საპარლამენტო არჩევნებიდან თითქმის სამი კვირა გავიდა. 8 ოქტომბერს საკმაოდ მძიმე ფაქტები დაფიქსირდა მარნეულში ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე. იმის გარდა, რომ საარჩევნო უბნის დარბევაში დეპუტატობის კანდიდატმა „ნაცმოძრაობიდან“, იმამყულიევმა არასრულწლოვანები გამოიყენა, სეპარატიზმის ნიშნებიც გამოიკვეთა. განა ეს არ არის ადამიანის, ბავშვთა უფლებების დარღვევა? მაგრამ სახალხო დამცველის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, დღემდე სდუმან და მომხდარზე არაფერს ამბობენ. რა ხდება ამ ქვეყანაში? მხოლოდ ტრანგენდერების, ლესბოსელების, გეების ბედი გვაწუხებს და დანარჩენი ქვეყნის ბედი სულ ფეხებზე გვკიდია?!

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები

გურჯაანი – ახალი გზის მშენებლობას 38 მილიონი მოხმარდება

ახალი გზა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზას შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზასთან დააკავშირებს. ავტომანქანებს აღარ მოუწევთ ქ. გურჯაანისა და სოფლების – ბაკურციხის, კოლაგის, ძირკოკის, ჭანდარის, ვეჯინისა და ჩუმლაყის საჭიროების გარეშე გავლა.

პროექტის ღირებულებაა 38 000 000 ლარი, სამუშაოების დასრულების ვადა – 30 თვე.

საგარეჯო – 210 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა წყალუზრუნველყოფილი გახდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის გ-22 გამანაწილებლის სარეაბილიტაციო პროექტს ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც 2,7 კმ სიგრძის მილსადენი მოეწყობა.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 274 000 ლარია, მიმდინარე წლის დეკემბრისთვის დასრულდება.

2012 წლიდან კახეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 420 კმ. სამელიორაციო არხს. შედეგად წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგიონში 6 100 ჰექტრიდან 14 880 ჰექტრამდეა გაზრდილი, ხოლო სადრენაჟე სისტემები 3 924 ჰექტარს ემსახურება.

ნოემბრიდან ბაზარზე ქართული ზეთისხილი გამოჩნდება

კომპანია „ქართული ზეთისხილი“ კახეთში, მარნეულსა და ბაღდათში 200 ჰექტარზე გაშენებული ზეთისხილის 300 ათასი ნერგიდან წელს 80 ტონა მოსავალს ელის. კომპანიის დამფუძნებლის, გიორგი სვანიძის თქმით, პროდუქციის რეალიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით იგეგმება, გაისად კი ქართული ზეთისხილი ექსპორტზე გავა. პროდუქციის გატანა ძირითადად რუსეთში, ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებსა და ამერიკაშია დაგეგმილი.

საჩხერის სოფლების კეთილმოწყობა

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პრექტების მიმდინარეობას რეგულარულად ეცნობა.

მიმდინარეობს ს. არგვეთისა და გამოღმა არგვეთის დამაკავშირებელ გზაზე არსებული სანიაღვრე ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რკინაბეტონის საფარი მოეწყო კიპაროიძეების უბანში, თურმანიძეების წყაროსთან.

რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო აგრეთვე სოფელ სავანეში, კომლაძეების უბანში.

გორისაში, დარბაიძეების უბანში 300 მ სიგრძის გზაზე რკინაბეტონის საფარი დაიგო.

თანხა სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან გამოიყო.

ს. ჭორვილაში, წერეთლებისა და ლეჟავების უბანში 70 გრძივ მეტრზე რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო.

თანხა ადილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

ს. კორბოულში, მაჭარაშვილების უბანში 65 მ საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო. მასალები შეძენილია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, ხოლო სამუშაოებს უბნის მცხოვრებლები ასრულებდნენ.

ჭალა-პერევის მონაკვეთზე გზის რეაბილიტაცია დაიწყო

ჭალა-პერევის საავტომობილო გზის 1 600-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა დაიწყო.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 499 977 ლარია. მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან 474 985 ლარი გამოიყო, ხოლო 24 992 ლარი – ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სამუშაოები 30 ნოემბერს დასრულდება.

ახალი იდეა – ახალი პროექტი

მალხაზ ბაზაძის ინიციატივით საჩხერეში საბაგირო გზის მშენებლობა დაიწყება. ამასთან დაკავშირებით საჩხერეში, ქართულ მხარესთან ერთად ფრანგული კომპანია პომა-ს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. მათ ადგილზე დაათვალიერეს და შეისწავლეს აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო პირობები. დაწყებულია წინასაპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი სამუშაოები. სამომავლოდ დაგეგმილია ციხესიმაგრე მოდინახეს აღდგენაც.

დუშეთი – საშეშე მერქანი შატილის მოსახლეობას

სატყეო დეპარტამენტის დახმარებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო განყოფილებამ, შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელ ამირან გოგოჭურთან ერთად, ბულაჩაურის სატყეო ზონიდან სოფ. შატილის სკოლა-პანსიონსა და სოფელში მუდმივად მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას (13 ოჯახს) 24 მ³ საშეშე მერქანი გადასცა.

ინტენსიურად მიმდინარეობს შატილის მცირე ჰესის აგრეგატების შეკეთება. სამხარეო და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მის აღდგენაში ჩართულია ენერგეტიკის სამინისტრო (მინისტრყ – ილო ელოშვილი). ამჟამად მოსახლეობას ელექტროენერგია 8-საათიანი გრაფიკით მიეწოდება და უმოკლეს ხანში სრულად, 24 საათიანი რეჟიმით აღდგება უფასო ელექტროენერგია.

კახეთის გუბერნატორი ყარაჯალისა და იორმუღანლოს მოსახლეობას შეხვდა

კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული და თელავის გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრებ აზერბაიჯანელ მოსახლეობას შეხვდნენ.

კახეთის გუბერნატორი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფელ იორმუღანლოს ეწვივნენ და მოსახლეობას შეხვდნენ.

ორივე შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და თბილ გარემოში წარიმართა. გუბერნატორმა ადგილობრივებისგან მოისმინა ინფორმაცია სოფელში არსებული პრობლემების შესახებ და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

აბაშაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქ აბაშაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეკონომიის თანხით, 68 507 ლარით, დამატებით რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, კერძოდ:

კაპანის უბანში და სოფ. ონტოფოში საჭაპანო ხიდების მოწყობა;

ნოღოხაშის უბანში მინისტადიონის, აგრეთვე სასაფლაოს ღობის მოწყობა;

კვათანის უბანში, სტადიონის კეთილმოწყობა;

კვათანისა და ნოღოხაშის უბნებში ორი მილხიდის მოწყობა.

სამუშაოებს აწარმოებს შპს „აბაშის საგზაო სამმართველო“. მიმდინარე სამუშაოები აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა, გამგებლის მოადგილემ ვახტანგ გაბელაიამ და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დაათვალიერეს.

მარტვილი – ღვინის საწარმო VINO M'ARTVILLE

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თარგამეულში, ოჯალეშის ჯიშის ყურძნის მიკროზონაში, მდინარე ტეხურის ხეობის მიმდებარედ, 2012 წლიდან მცირე საწარმო **Vino M'artville** (ღვინო მარტვილი) ფუნქციონირებს. საწარმოს სახელწოდება ღვინოს, ხელოვნებას (არტ), ქალაქს (ვილლე) და მარტვილს (**Martville**) ერთდროულად აერთიანებს.

Vino M'artville-ს ისტორია ადგილობრივი გლეხებისგან შეძენილი 500 კგ ყურძნით და მეგრული ოჯალეშის ღვინის წარმოებით დაიწყო. წარმოებულმა პროდუქციამ მოკლე დროში გზა გაიკვალა და ორ წელიწადში მაღალი საფასო სეგმენტის ღვინოებში დამკვიდრდა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ, საფრანგეთსა და ავსტრალიაში. **Vino M'artville**-ს

ძლიერი საქართველოსთვის

ხობი

2013 წლის მოსავლის „ოჯალეშის“ ორასამდე ბოთლი თვით ყველაზე პრეტენზიულ ლონდონის ბაზარზეც მოხვდა.

საწარმოს დამფუძნებლებმა: ზაზა გაგუამ, ნიკა და აბესალომ ფარცვანიებმა სოფელ თარგამეულში ვენახები გააშენეს. 2013 წელს ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნულმა ცენტრმა საწარმოს ოჯალეშის 1500 ნერგი უსასყიდლოდ გადასცა. წელს უკვე მოიწიეს ოჯალეშის პირველი მოსავალი.

დიდი ყურადღება ექცევა სხვა აბორიგენული იშვიათი ვაზის ჯიშების გაშენებას, როგორებიცაა მაჭყვატური, ჩეჭიფეში, ჩექობალი. საწარმოს საკუთარი სანერგე მეურნეობაც აქვს. ვენახების შეწამვლა ორგანული მეთოდებით მიმდინარეობს, რაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ხობი – 405 ოჯახს სასმელი წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება

ხობის მუნიციპალიტეტის ზემო და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

ამ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით 405 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა მოუგვარდა და ამიერიდან მათ წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება.

წყალსადენის ქსელის მოწყობა, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 521 093 ლარი შეადგინა.

ახალციხე – მუსხში ასფალტის საფარი იგება

სოფელ მუსხის საავტომობილო გზის მონკვეთზე ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს. ასფალტბეტონის ორფენიანი საფარი 1 200 მეტრზე იგება და ეწყობა სანიაღვრე არხები.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 308 107 ლარით ფინანსდება.

სენაკი – სოციალურად დაუცველებს სამშენებლო მასალებით ეხმარებიან

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა მეორე წელია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამას ახორციელებს – სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ოჯახებს ავარიული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად აუცილებელი სამშენებლო მასალებით ამარაგებენ.

ამჟამად მიმდინარეობს ამ პროგრამის მეორე ეტაპი. სამშენებლო მასალების გადაცემის შედეგად საცხოვრებელი პირობები 30 ოჯახს გაუუმჯობესდება.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან პროგრამის ფარგლებში 80 000 ლარია გამოყოფილი. მიმდინარე წელს პროგრამით უკვე 77-მა ოჯახმა ისარგებლა.

სოფელ ლარებში ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა

სოფელ ლარებში დასრულდა ცენტრალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია. გამოიცვალა დაზიანებული ხის მასალა, შეიღება მეტალის კოსტრუქციები, დამონტაჟდა ასევე ლითონის ბადე.

წლების განმავლობაში სოფელთან დამაკავშირებელი დაზიანებული ხიდის გამო ადგილობრივებს ტრანსპორტით მოძრაობა უჭირდათ, ამიერიდან კი მოსახლეობა უსაფრთხოდ შეძლებს გადაადგილებას.

ხიდის შეკეთება ადგილობრივებმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით შეძლეს.

მარნეულის სოფლებში სასმელი წყლის პრობლემა გვარდება

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დამიაში სასმელი წყლის მილმდენის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტი წყალსატუმბიდან რეზერვუარამდე 4500 გრძივი მეტრის ცენტრალური მილის მოწყობას ითვალისწინებს.

ინფრასტრუქტურული პროექტისთვის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 13 500 ლარი გამოიყო. ამ ეტაპზე სამუშაოების 90 პროცენტია შესრულებული. დასაქმებულია 8 ადგილობრივი მოქალაქე.

გაისად, პროექტის მეორე ეტაპზე, სოფელ დამიაში სასმელი წყლის შიდა დაქსელვა იგეგმება.

გორი – პირველი ტურისტული გამოფენა-ბაზრობა უფლისციხეში

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ტურიზმის ცენტრის ორგანიზებით, უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში პირველი ტურისტული გამოფენა-ბაზრობა გაიმართა.

გამოფენაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საოჯახო სასტუმროები, ღვინის მარნები, სოფლებში მცხოვრები ხალხური რეწვის ოსტატები, მხატვრები, ტურიზმის ცენტრის პროვაიდერი ორგანიზაციები და კომპანიები მონაწილეობდნენ.

უფლისციხეში ტურისტებთან ერთად იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლონელი სტუმრები და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სტუმრებმა დაათვალიერეს უფლისციხის ისტორიული ქალაქი და ქართულ კულტურას გაეცნენ.

ტურისტული გამოფენა-ბაზრობა ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და ყოველწლიურად გაიმართება.


უფლისციხე

სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად

ხულოში სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება მიმდინარეობს. მთა საჯოგიიდან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. აღნიშნული სამუშაოები პროექტ „ბაბანური-ხულოს წყალსადენის“ გაგრძელებაა და სასმელი წყლით დაბა ხულოსა და მის მიმდებარე სოფლების ნაწილს მოამარაგებს. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია წყლის მილების გაყვანა და სათავე ნაგებობების მშენებლობა. უკვე მოწყობილია სათავე ნაგებობები და მიმდინარეობს მილების შედუღება-ჩამარხვის სამუშაოები. სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან 872 811 ლარია გამოყოფილი, დასაქმებულია ათი ადამიანი.

პრიორიტეტული ღონისძიებების ფარგლებში წყალსადენის რეაბილიტაცია მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ საციხურში.

ციხისძირი

პროექტი წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაციასა და სათავე ნაგებობის რემონტს ითვალისწინებს. ამ ეტაპზე ჩაწყობილია მილები, მიმდინარეობს რეზერვუარების მოწყობის სამუშაოები, რომლებსაც ექვსი ადგილობრივი სპეციალისტი ასრულებს. ამ პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 142 772 ლარია გამოყოფილი და ვადაზე ადრე დასრულდება.

ციხისძირის გაზიფიცირება დაიწყო

პროექტი ადმინისტრაციული ერთეულის სრულ გაზიფიკაციას ითვალისწინებს.

გაზიფიცირების პროცესის მიმდინარეობას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ სულხან ევგენიძესა და კომპანია „სოკარ-ჯორჯია-გაზის“ რეგიონულ დირექტორ დავით ლეკიშვილთან ერთად გაეცნო.

ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში აშენდება 23 200 მეტრი გაზსადენი. სამუშაოების დასრულება 2017 წლის პირველ ნახევარში იგეგმება. პროექტის დასრულების შემდეგ გაზმომარაგებით 1 402 ოჯახი ისარგებლებს. აბონენტთა ქსელში ჩართვის საფასური 400 ლარს შეადგენს, მათ ასევე ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ შეღავათით და საფასური უპროცენტო განვადების პირობით დაფარონ.

ახლანდელი მდგომარეობით ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეულის მხოლოდ 15 პროცენტია გაზიფიცირებული.

ქობულეთში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე 6 მილიონი დაიხარჯება

ქობულეთის გამგებელმა სულხან ევგენიძემ მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად ქობულეთის გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა და პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

„წყალარინების პროექტი“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ჰოლანდიის მთავრობისა და აჭარის მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოებისთვის 5 867 299 ლარია გათვალისწინებული.

ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში აშენდება გამწმენდი ავზი და საოპერატორო შენობა, მოწესრიგდება მიწისქვეშა კომუნიკაციები, გამწვანდება და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია. პროექტის განხორციელების შედეგად ქობულეთში ჩამდინარე წყლები პერმანენტულად გაიწმინდება, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ზღვისპირა კურორტ ქობულეთის სანაპირო ზოლის წყლის ხარისხს და ხელს შეუწყობს საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ლაშა გვასალია - ლექსები

მამას

სინდისის გარდა რა გამოდგება
ადამიანად ყოფნის თავდებად,
ყოველდღე ახლად ვაცოცხლებ წუთებს
და ვხვდები თანაც, როგორ მთავრდება —
სიხარული და ქრება ხანძარი
უსასრულობის შეგრძნების შიშით,
განა არ ვიცი, გზნება რაც არი
თავაწყვეტილი ცხადსა თუ ძილში...
წლებმა უწყიან საქმენი თვისი,
ვშფოთავ და ბედის ხმას ველოდები,
თუ წავალ, ესეც არაფერია,
ჩემს შვილებში ხომ განვმეორდები —
სიმღერად, ცრემლად, თავდავიწყებად,
სიყვარულად და ლექსად მარები,
დღეებს შერჩებათ ნათება გზათა
შენამზერები ლურჯი თვალებით...
სინდისი მხოლოდ, სინდისი ოდენ,
ადამიანურ ყოფის დასტურად!..

ჯვარგზათა სავალი ეკლიან ხლართებით...

ზვიად გამსახურდიას

ცა ხატად ქცეული — სიმტკიცით რვალისად,
სამყარომ მოიცვა ნათება ფერული,
მომზევდა სიკვდილი უნებურ ხალისად,
გადაწვდა გონებას სიჭრელე გველური...

შემზადდა ქარაგმულ სულთქმათა ოტება,
ნატვრებსაც წუხილი უნდობრად ესია,
შენავდა სასულეთს ხორცძეთა გოდება,
მოკაცდა ზნესრული სიწრფელით მესია...

ჯვარ-გზათა სავალი ეკლიან ხლართებით,
გოლგოთის სიმაღლე ხრიოკი სიურჩით,
ტკივილი, გაწვრთნილი უნდობარ დარდებით
და გაცისკრებული სიწმინდე-სილურჯით..

მოთოვა — სითეთრე მიჰყევება ნაბიჯებს,
მარტობს და კვირტები ხარობენ ხარებას,
ამ დღეთა მოსწრება ცრემლობას დაგირჩევს, —
ცანატრულ სასრულის ბიბლიურ დარებას...

სახე და საუფლო სისრულე მაღლობის,
გრძელდება, ზნევდება ოცნების ხატება.
ნებდება საკაცეთს წესები ნაღვლობით —
უფალი იწყება — ბარაბა მთავრდება,
ბარაბა მთავრდება, ბარაბა მთავრდება!..

მეგონა, სიცოცხლეს სიკვდილით ვეგუთნე,
ზეციურ ხატებებს ვერთოდი ნათებით,
რაც მენდო — სამყაროს ოცნებად შევუნთე,
შემოვრჩი საუფლოს გზნებაზე ცა-მთებით...

ეს ზღაპრის ფაბულა — ყოფა და ხარება,
ლექსებად ჩანავლდა ტკივილურ ჟამთაცვლა,
მირქინეს სიზმრეულ შეძლების ხარებმა,
გავცვალე სიცოცხლე საგნების ამტაცად...

მუდმივად წერტილთა სიმრავლე უდროო,
მუდმივად წუხილი, დარდი და სურვილი,
მუდმივად სულეთის სილურჯე ურტოო
და ნდომის ჩამქრალი უსისხლო წყურვილი...

სრულდება ჟამი და დროება ბერული —
რწმენის და სულეთის ცა — სრული ბიბლია!..
ქარია ტეხილი, ქარია ძერული
და დასალიერზე საწყისის ხიბლია.

ვაგო ტაძარი ჩემი

შემინდე, დიდო უფალო, შეცოდებანი ჩემნი,
უნებურნი თუ ნებისად ამოხეთქილი ზენით,
მიდიან, მიბაასობენ წარსულისაკენ წლები,
ღირსმოსაგონარ ამბავთღა ეწინავება ცრემლი.

სოფელ-ქვეყანა ვისახე ზეშთაგონების მაღლა,
სულიერ მხედველობიდან ამომივარდა მახრა,
რომ მტვერზე ცოტა მტვერი ვარ ამაოების გზაზე,
ვიცუდდიდებე ვიცი და შემინდე ცოდვაც ესე.

საგულითადო ტკივილებს სადაგველივით ვბედობ,
საზეპურო და პურისმტე ერი მიმრავლე, ღმერთო...
მარგუნე ძალა, ბნელეთში ვიყო სანთელი რწმენის,
მოქედურებულ ყოფაში ვაგო ტაძარი ჩემი!..

შაშვი ჩემი ფრინველია

შაშვი ჩემი ფრინველია,
ზესქვი — უფლის მგალობელი,
თვალი მისი მზირველია —
გაზაფხულის მწყალობელის...

მაფშალია — ვარდის დარდი,
უიღბლობის განაჩენი,
უკვე მარტიც, ვხედავ, გადის
და ლოცვისად გადავრჩენით —

მე შაშვსა და მაფშალიას,
ვერ დაგვაფრთხობს ზამთრის შიში,
სული ზეცის ნაშალია,
ანგელოზურ წმინდა ნიშით...

მე აქ ვრჩები, მიწის მზესთან,
სიკვდილს მღერით ვემალები,
ჩემს შაშვსა და მაფშალიას
ქედს უხრიან მწვერვალები...

გზას მინათებს, ცუდი დროა,
ხან მთვარე და ხანაც — ელვა,
შაშვი ჩემი საწუთროა —
მაფშალია — ბედისწერა!..

როცა თბილისში ქარია...

როცა თბილისში ქარია,
ჩვენთან წვიმაა, ვიცი,
ღრუბლები ცით ჩამოდიან
კოკისპირული ფიცით...

დედაქალაქის სევდიან
და ქარებიან დარდებს
ლიხიქითურის წუხილით
ლიხაქეთურში ბადებს...

ანდა პირიქით, დასავლეთს
კოკისპირული ჩადრი,
აჰფარებია დასტურად
დედაქალაქის დარდი...

ღრუბლები ცით ჩამოდიან,
უმზეო დღეა მთაში,
როცა თბილისში ქარია,
ჩვენთან თავსხმაა მაშინ!

დემეტრეს

ოქროსთმიანი ბიჭუნა მყავს,
თვალებში მღელვარე ზღვა-ქარებით,
ცას სილამაზე გამოსტაცა,
მთებს უდრეკობა გამოსტაცა,
ხეებს სიმაღლეში გაუტოლდა,
უფალს სინანულში ჩაუსახლდა...
გულზე — ჯვარი და სიყვარული,
მხრებზე — ტრადიციის მძიმე ტვირთი...
იღიმის — სამყარო მოთეთრდება,
ტირის და ღრუბლებად მუქდებიან
ზეცის უცისფრესი ბალიშები...
დემეტრე დევებთან მოჯანყეა,
ავსულთა ლოცვებზე წამომგები,
დემეტრე სიყვარულს ემზევება,
როგორც ფრთაპეპლება ზამბახები...
ჯერაც ხის ცხენების ასაკი აქვს,
ასე გულუბრყვილო შეძახილით,
მაგრამ, იმედია, გახარება —
ხვალის აწმყოს დარდით დაზაფრულის...
ოქროსთმიანი ბიჭუნა მყავს —
ცასავით სუფთა და თვალმზიანი!..

X X X

თუ რამ მწამდა, მწამდა შენით,
ცას თვალები ჰქონდა უფლის,
ურვითა და სისხლის ჩენით,
ტანჯვითა და ტრფობის უღლით.

დავდიოდი, ღმერთს ვეძებდი,
სხივით სავსე მქონდა მზერა,
უშენობით ველარ ვძლებდი,
ვაღვივებდი სულის კერას...

ტყემლის ხეთა თეთრი ფატა
ჰგავდა დედის ნათელ ღიმილს,
ის სამზეოც გამეფანტა,
რომ მიქრობდა გულში ტკივილს...

ღამეს მთვარით მივეპარე,
დუმდა იმედების ზარი,
ჩასდგომოდათ ხვნეშა ქარებს,
მარტოსულად მყოფი მგზავრი.

ცას ვეძებდი, იყო ღამე,
ცას თვალები ჰქონდა უფლის!..

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი N15)

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული უნდა იყოს ძვ.წ. აღ-ის V საუკუნის ოქროს ყელსაბამი კუს კულონებით (როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მუზეუმიდან 69 ექსპონატის გატანა-გაქრობაზე ხმაური ატყდა, ამას დაერთო ყელსაბამის შემადგენელი 12 ბურთულის დაკარგვაზე ხმაურიც. მალე-ვე ითქვა, რომ ყველა ბურთულა ადგილზე იყო, უბრალოდ დაიჩხვლიტა და რესტავრაცია სჭირდებოდა — რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ არის, თუმცა რა ბურთულები დაბრუნდა, კაცმა არ იცოდა...). გარდა იმისა, რომ ყელსაბამი უძვირფასესია მრავალმხრივ, აღსანიშნავია იმითაც, რომ ასტრონომიულ ინფორმაციას ატარებს და მზის ამოსვლის წერტილის გადახრილ კუთხეს უკავშირდება. ექსპონატი მზის ქართული კალენდრის ელემენტების რაოდენობის შემცველია და ნივთიერად ადასტურებს მზის ქართული კალენდრის არსებობას, რაც თავის მხრივ ადასტურების იმ დროისთვის ქართული ანაბანის ფართოდ არსებობა-გამოყენებას, სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ სამკაულის გაკეთება. ყელსაბამი შეიცავს 31 კუს კულონს. მათგან 30 პატარა კუ არის, ერთი — დიდი, რაც მზის კალენდარში ყოველთვიური დღეების რაოდენობას ემთხვევა.

გვაქვს ანბანური დამწერლობის ნიმუშები: ძ. წ. XVIIIს. ძველი ციური ანბანური დამწერლობა; ძ. წ. XV უგარიტული ანაბანური დამწერლობა; ძ.წ. XVIII ს. ქანაანური ანბანური დამწერლობა; ფინიკიური ანბანური დამწერლობა; ებრაული დამწერლობა; არამეული დამწერლობა. ეს ჩრდილო-სემური, ქანაანური მოდგმის ტომები არიან, რომლებმაც პირველებმა შექმნეს ანბანური დამწერლობა. ძველად დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები, ეს უძველესი ანბანური დამწერლობის ძეგლები კი ქურუმთა შექმნილი არ ჩანს, ის არის გამარტივებული, გაუბრალოებული საყოველთაო გამოყენებისთვის.

ქანაანური მოდგმის დამწერლობისგან განსხვავებულია, არ ჰგავს და კიდევ უფრო დიდი საიდუმლოა ქართული ანბანური დამწერლობა. ქართლის ცხოვრების მატიანეები იწერებოდა ჟამითი ჟამით თვითმხილველთა მიერ. განსხვავებით ქანაანური დამწერლობათაგან, სადაც სემური ასო-ნიშანის მწკრივი იწყება ხარით, ხარის გამოსახულებით — „ჰა“, ქართული ანბანი იწყება მთვარის ღმერთით — „ან“ (შუმერული ცის ღმერთის სახელი) — გამოსახავს მიმცხრალ მთვარეს და მისი რიცხვობრივი მაჩვენებელი არის — 1. ქართულ ანბანში არის როგორც ბაბილონური, ისე ეგვიპტური დროის ათვლა, მაგალითად, 15 ბაბილონური წუთი იგივე ეგვიპტური 60 წუთია.

„ხუცური“ ნიშნავს — „ქურუმების“, „მრგვალი“ კი მოძრაობას აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და პირიქით. მზე ამოდის აღმოსავლეთიდან და დასავლეთისკენ მოძრაობს, მთვარე კი პირიქით, ახალი მთვარე დასავლეთიდან ამოდის და აღმოსავლეთისკენ მოძრაობს. 15 დღეში ახალი მთვარე გამრგვალდება, გაივსება და სავსე მთვარეს მივიღებთ მე-15-ე დღეს. მთვარის კალენდრის მეორე ნახევარი კი სავსე მთვარიდან იწყება და და ძველება 15 დღე. ამრიგად, ქართულ ანაბანს აქვს მზისა და მთვარის კალენდარი დროის ზუსტი აღრიცხვით. ქართულ ანბანში გადმოცემულია როგორც მთვარის 30-დღიანი თვე, ისე 12-თვიანი მზის ზოდიაქალური მოძრაობა.

აღსანიშნავია, რომ კალენდარში არის მთვარის კულმინაციურ წერტილში მისვლა. 18 წელიწადსა და 7 თვეში მთვარე შედის ვერძის დღე-ღამსწორობის წერტილში (ეს არის მთვარის კვანძური მოძრაობის პერიოდი) და ეს დრო ზუსტად ემთხვევა 12 საათს — ეს საოცარი „დამთხვევაა“. ჩვენ კვირას ვიწყებდით „ერთშაბათით“ და არა ორშაბათით, ანუ კვირა დღე იყო ერთშაბათი, კვირის პირველი დღე.

ქართული ანბანი კოსმოსის ამსახველია, რომელიც სულ მცირე 4 000 წლის წინ დაფარეს ქართველმა ქურუმებმა, ხოლო ასაკით, სულ მცირე 16 000 წლისა...

მალავენ და აყალებენ რეალურ ისტორიას, თარიღებს, ქრისტეს წარმომავლობას, მოკლედ რომ მოვხაზოთ — მსოფლიო ცივილიზაციის ასაკს, მაგრამ შეუძლებელია ბოლომდე დაიმალოს რამე...

„ალი“ ანუ „ალ“ — სანსკრიტზე „აბსოლუტური გონია“; ძველიუდეურ და ქრისტიანულ მითოლოგიაში, ევამდე ღმერთმა ადამს შეუქმნა ცეცხლოვანი ქალი, რომელსაც უწოდა „ალ“, მაგრამ ხორციელ ადამს არ შეუყვარდა ცეცხლოვანი ქმნილება „ალ-ი“. შემდეგ შეუქმნა ევა და ამ დროიდან არის მტრულად განწყობილი „ალ-ი“ ქალების მიმართ და მუდმივად ცდილობს მამაკაცების მოხიბვლას — მსოფლიოს სხვა და სხვა ხალხების ფოლკლორში მეორდება ეს ხაზი. („ალ-ი“ არანაირად არ არის კავშირში რაიმე მუსლიმანურთან, რადგან, ელემენტარულია, ისლამი ჩვენი წელთაღრიცხვის მხოლოდ VII საუკუნეში შეიქმნა, „ალ-ი“ კი უძველესი წარმოშობის სიტყვაა.)

მოვიშველიოთ ჩვენი ნაქები უნიკალური ქართული ანბანი და ვნახოთ, რა არის სიტყვა „ალ“, რომელიც ორი ასობგერისგან შედგება „ანი“ და „ლას“ და რატომ ითვლება რომ გრაალის მცველები ქართველები ვართ.

„ალ-ი“ — „ანი“ პირველ ადგილზე დგას, ერთზე, ხოლო „ლას“ მე-12-ზე, ანუ მოიცავს სივრცეს 1-იდან 12-ის ჩათვლით. მე-13 არის „მან“ — „მან“-ამდე არის საკრალური რიცხვი, ანუ 12-ის ჩათვლით და ეს მიჯნა მკვეთრად არის გამიჯნული პირდაპირ თქმაშივე — „მანამდე“...

„გრაალ-ი“ — გავყოთ შედგენილი სიტყვა. „ალ-ზე“ უკვე ვთქვით, დაგვრჩა „გრ“. „გ-ან“ ქართული ანბანის მე-3-ე ასოა და მისი რიგითი ნომერია 3 ხოლო „რ-აეს“ რიგითი ნომერია 19 მთლიანობაში 319.

„ქართული ჰემატრიის“ ავტორი ბატონი ალეკო ცინცაძე: — „ჰემატრიის შემქმნელი იბერიისთვის რიცხვებში სამია უმთავრესი: 47, 128 და 319.

ახლა გამოვთვალოთ სიტყვა „იბერია-ს“ ჰემატრიული რიცხვები: ი (10), ბ (2), ე (5), რ (19, 100), ი (10), ა (1). რიგით სათვალავში — 10+2+5+19+10+1=47.

რიცხვ-მნიშვნელობაში — 10+2+5+100+10+1=128.

ფარული რიცხვით — (1+...10) +(1+2)+(1+...5)+(1+...19)+(1+...10)+1=55+3+15+190+55+1 =319.

სამივე უმნიშვნელოვანესი რიცხვი ქმნის კიდევ მათემატიკურ სტრუქტურას, საყრდენს, რომელმაც ცალსახად განსაზღვრა სიტყვა „იბერია-ს“ ბგერითი ასოითი შემადგენლობა.

ჰემატრიის შემქმნელმა იბერიამ მთელი თავისი ცოდნა და სიბრძნე პირველ რიგში საკუთარი დასახელების შექმნაში გამოიყენა...“

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტსი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სწორედ კავკასიაშია შექმნილი გრაალით სალოცავი სახლები. თუ მივიღებთ უდავო ჰემატრიულ ფაქტს ჭეშმარიტებად, 319 იბერიის კოდია, „გრაალი“ იშიფრება როგორც „იბერიის აბსოლუტური გონი“, „იბერიის სიწმინდე“...

(დასასრული იქნება)



ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲚᲘ



წვეულად: 1. კუბეულია ფეკუდი ნანარ ოკეანეში, სადაც ბინადრობს გიგანტური კუ და ხელოვნი იგეანა. 2. ავადმყოფი, რომელიც ფიზიკა ოკეანურგანია და ბეტონის ქორწინების შედეგად. 3. ბარუფოფერის ინ. ეროული შეაჩერეთ. 5. ძალიან ნელი ტემპით ბეს. ნანარმოების შეხრულება 6. სიაღვინეა და ბოსახლეობის ყანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა. 7. კუჭქვეშა ჯარველის ბორხოლი იყენებენ დაბეტის საძეურნალად. 9. ლიდელი ეიფაა, რომელიც ლენინ-ქალაქ ათენამ ინობად აქცია. 12. იტალიური ალეფელი. 14. მგარი ლიანი. 15. ოთის ბენია ბანდენბერგი. 16. ... ინოლელიანის რომანი. 17. რეაქტიური ქიმიური ელემენტი, ხელოვნურად მიღება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 18. მოდელებული ნოიელი ლეონი, რომელშიც შეჩაეებულია მაქარი და ანიელებლები, სვანენ ცხად. 19. ოკეანურ-ორშიმი. 20. ლენინის ცოლი ნადეჟდა ... 23. ეს საშენებელი მასალა გამოიყენა კართველმა მეენიერმა ქალიერ. 25. მომეფალი ბეგმა. 27. ტყეა ცხოველი. 28. ზდ. საკართველო-რუსეთის ომზეკარზე ომაზეთში.

თარეზულად: 4. ბირი, რომელსაც ეკადჭარბებული ნარმოდგენა აქვა თავია თავზე, თავკერძი. 8. დაკვირ ალმაშენებლის ქალიშვილი. 10. ქართველი მოქალაქეე ქალი, მაოდლიოს ბუთაგზის ჩემპიონი. 11. ხვლიკის მსგავსი ცოცხელი, რომელიც ფერის იცვლის გარემო პირობებია მეეკელის ზედეად. 12. ბაგშეების ალაბაშინ ბალრში ასაშენები მონოლიტია — ალაზე გამოშვეული ქსოფილია ბალერი, რომელზეც ხის თავი ფირფიტებია დაკრული. 13. ალბერგაგაბული ხალხურ ეპოსში ე.ნ. „ეკეთილშობილი ყაჩაღი". 14. რქოვანი ბაბინაზარდი თოთია ნეკერზე. 15. ჯანმრთელობის დამცველი ღმერთიელი. 18. ომეალისში ოხვალი და ფუფუერი სხეულებია ხანყოთ ანვადასხვა ტუვიდობია. 20. თეთიგეში ზესტორის ბორხალეობა. 21. ფეგუნიანი ტემბოა ნაწილი ტყაეის რეოლი, რომელიც სოფეს არ უმეეა. 22. ახლო მონათეალე ბალნარეთა შეკვეარება. 24. ხალიტერატურო ენის მეოფეე, რომელიც ასნორეა რაიმე ხანარმოება. 26. ლარველი ეიტერანი ბოგბერთელი ქალი. 29. ინგერმანლან ხიეოლეს I და მისი ოჯახის ალეორეტი ერეგორ ... 30. ფრანგმა ხალხმა ეს მსახიობი მაშაკაცი ასაბელეულის მსახიობად დასახელა. 31. ბიოქიმიური პროცესი, რომელიც ორგანული ნივთიერებები იძლევა. 32. ქართველი ირონიელელი ძმები.

ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲜᲗᲘ

ა	ა	რ	ნ	ა	ა	ნ	ბ	ა	ხ	ე	ვ	ა	ა
ი	ბ	ა	ფ	ა	ზ	ბ	ი	რ	ო	რ	ი	ნ	ბ
ბ	ი	ვ	ი	ხ	ი	ა	ხ	ი	დ	ვ	ლ	ი	ა
ე	ლ	ი	ა	ა	ი	ლ	ა	შ	შ	ე	შ	ნ	ი
დ	ტ	ვ	ა	რ	რ	ა	ო	ი	რ	ო	ი	ო	ი
შ	ი	ა	ი	ბ	ი	ბ	ბ	შ	ი	რ	ა	ტ	რ
ბ	რ	ლ	ხ	ო	ნ	ი	ა	ი	ბ	ი	ბ	ი	შ
ხ	ი	ი	ი	ი	ხ	ტ	ო	რ	რ	ი	ა	შ	ი
ე	ნ	ა	კ	ა	ფ	ი	ბ	ი	ე	ბ	ი	ლ	ა
შ	რ	ბ	ი	ლ	ბ	ტ	ბ	ხ	დ	ი	ხ	ა	ა
ა	რ	ო	რ	შ	ლ	ბ	რ	ი	ა	ნ	შ	დ	ნ

1. ქიმიური ელემენტი ულეზეტი ეფეერი, ესეთი ბანი. 2. ქალაქი ალმისაგელეთ საქართველოში. 3. ჩინეთში მეხსიერების ხალხი. 4. ქალაქი-ნავსადგური ბულგარეთში. 5. სასრულელი. 6. ბალარე ალმოსავლეთ საქართველოში. 7. ხაჩინგარი ანე ... 8. შარდსაფეს ბილა. 9. გამოშეერი ფიზის ინერეი ფილი რომელის ერთი მხარე მოფიქულია. 10. ფაქიზებული სპორტი, რომელზეც აკეთებენ ქიმის ბაგერად. 11. ფალალეთ საქართველოს ძველი სახელწოდება. 12. ხაზის მიმაგის მოწლი. 13. მდინარე ბარეზში. 14. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი. 15. ხეული ხამეხარი ერთგვარი. 16. მდინარე რიონის ძველი ბერძნული სახელწოდება. 17. საზოგადოების განლილი ეხოერების ერონია. 18. ოთახის ბაღის ეკონ. 19. ოფიციერისაგეის საფეგონი. 20. ხიფელი ეკარელის რაიონში. 21. ბინერის ხიმეერის ხასიათი ერთეული. 23. ოფერეთში რაიონის გამეგენელი. 24. ძველ ეგიპტეში ღვთაებრივი ხარი, რომელიც თავეს ხეკმდეს. 24. ბელოეფური ენა ერთგვარი. 25. ტაბ სიმხეთში. 26. ხაწერი ხაჩეალეში. 27. სიფეელი რაგაში. 28. ეხიფელი გიმნეზიესლთა ოეოხია. 29. ბინის ბეჭარა, ბერმეტული ფურეფელი ჩამდისაიეის. 30. მდინარე ტეხეთში

ᲛᲘᲤᲠᲘᲕᲝᲠᲘᲔᲚᲘ



მე უკვე 75 წლისა ვარ!

ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მწერალი, გაზეთ „ილორის“ რედაქტორი, ბატონი როლანდ ჯალაღანია 2 ნოემბერს 75 წლის გახდება. გასულ კვირას სახლში ვეწვიეთ ბატონ როლანდს და „საერთო გაზეთის“ სახელით მივულოცეთ საიუბილეო თარიღი!მადლობის ნიშნად ბატონმა როლანდმა წერილი გამოგვატანა, რომელსაც სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს:

აუ, რა დრო გასულა ჩემი დაბადების დღიდან?!

დაბადებისთანავე მამით ობოლი გავხდი, რადგან მამა — შალვა ალექსანდრეს ძე ჯალაღანია, ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მფრინავი, სამხედრო წოდებით უფროსი ლეიტენანტი — დიდ სამამულო ომში დაიღუპა, ქერჩის ბატალიებს მიესრისა... დედა — ელეონორა გიორგის ასული შალამბერიძე იყო ჩემი დედაც და მამაც, ჩემი უდიდესი გულშემატკივარი, ცხოვრების გზის ორიენტირი, ადამიანი, რომელმაც თავისი ყოველივე პირადული დათმო და მთელი სიცოცხლე მე მომიძღვნა. თუმცა მუდამ ვგრძნობდი, რომ არ ეჯერა მეუღლის დაღუპვისა, მუდამ მის მოლოდინში იყო და მისი მოლოდინით გულდამძიმებული გაეცალა ამ წუთისოფელს 2002 წლის 4 სექტემბერს, ზუსტად მამაჩემის დაბადების დღეს...

მოდი და ნუ ირწმუნებ, რომ ამ მოვლენაში არ არის რაღაც მისტიკური!

მე ახლა 75 წლისა ვარ — საუკუნის სამი მეოთხედი ისე განვვლე, რომ საბედისწერო შეცდომა არ დამიშვია, პრესისა და ლიტერატურისადმი სამსახურს მოვახმარე ჩემი შეგნებული ცხოვრება და დღესაც ამ სფეროთი ვსულდგმულობ.

ყოველგვარი ყალბი პათოსის გარეშე ვაცხადებ — რომ არა გაზეთი “ილორი”, ალბათ დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, რადგან ადამიანს უსაქმობა და უფუნქციობა თრგუნავს და რკინის ყბებით ღეჭავს! ამიტომ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ფინანსურად, ტექნიკურად, მორალურად თუ შემოქმედებითად მეხმარება გაზეთის გამოცემაში, ვინც კითხულობს გაზეთს და, რაც მთავარია, ვინც უანგაროდ თანამშრომლობს გაზეთთან და სისტემატურად მიგზავნის საინტერესო პუბლიკაციებს.

არ დაგიმალავთ — უკვე ძალიან მიჭირს — ცალკერძ ასაკი მიტევს ძალუმად, ცალკერძ კი ვერაგი, მოურჩენელი დაავადება, მაგრამ ვცდილობ მაინც მედგრად ვიდგე, გულიანად ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე, თუნდაც მოკრძალებული, ან საერთოდ შეუმჩნეველი წვლილი შევიტანო ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში! მართალია, დღემდე უამრავი პუბლიცისტური წერილი და ორმოცამდე საკმაოდ სქელტანიანი წიგნი მაქვს გამოცემული, მაინც მივიჩნევ, რომ ვალში ვარ იმ სამშობლოს წინაშე, რომელმაც მიპატრონა, მასწავლა და გზა გამიკვალა მყარი მომავლისაკენ!

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, მაინც მივიჩნევ, რომ კარგი დრო იყო მაშინ, როცა ორმოცდახუთი წლისა ვიყავი და მეუღლესთან — ხელოვნებათმცოდნე დოდო ცეკვაშვილთან ერთად გადავიღე ეს ფოტოსურათი, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილ ლიტერატურულ კონფერენციაზე. ახლა კი იმ დროის მოგონებებით ვსუნთქავთ ორივენი და ნამდვილად მეამაყება, რომ უამრავი კარგი რამ მაქვს გასახსენებელი. აღარ ჩამოვთვლი ამ კარგ საქმეებს, რათა მავანთათვის დამადლება არ გამომივიდეს.

ყველაფერს აქვს დასაწყისი და ყველაფერს აქვს დასასრული. ამქვეყნად ყველაზე ლამაზი და სანუკვარი სიცოცხლეც ასეა — შობისას დედის ამბორით იწყება და ბოლოს შთამომავლობის ამბორით მთავრდება.

მოვუწოდებ ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ განელებიათ საქართველოს მტრებთან დაუნდობელი ბრძოლის ჟინი:

ისე განვლოთ ჩვენი ცხოვრების დარჩენილი წლები, რომ გვქონდეს დიდი ვაჟას მაგიური სიტყვების გამეორების მორალური და ზნეობრივი უფლება:

„და წარვსდგე ჩემს მეუფესთან,
ხელდანთებული ცვილითა...“
ამინ!

მადლობას ვუხდი „საერთო გაზეთის“ რედაქციას მოლოცვისთვის, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ ყველას, ჩემო საყვარელო ადამიანებო!

75 წლის როლანდ ჯალაღანია.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— მაინტერესებს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის თემა.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგდგენთ სრულად:

მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

* * *

— -შეიძლება თუ არა არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის პერიოდში იმუშაოს?

— შეიძლება.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 85. არასრულწლოვნის მუშაობის შესაძლებლობა

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ იმუშაოს.

4. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.

5. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

მეუღლე — ანზორ შველიძე, შვილი — თამარ შველიძე, სიძე — ზაზა ბარბაქაძე, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციცანა (ციცო) ამირანაშვილი

მისამართი:
მცხეთის მეორე შესახვევი #16
პანაშვიდი: სამშაბათს და ოთხშაბათს.
დაკრძალვა: ხუთშაბათს 2 საათზე

„საერთო გაზეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ჟურნალისტ თამარ შველიძეს დედის ციცო ამირანაშვილის გარდაცვალების გამო.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალისტი მზია ნარმანია
დაკრძალვა: შაბათს 29 ოქტომბერს
თბილისი, წინამძღვრიშვილის 5.

38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:
თიბისი ბანკი, ანგ # GE72TB7805445
165 100 009.
მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

ადოლფ ჰიტლერის ბიოლოგიური შვილები

პოლიტიკურ მოღვაწეთა პირადი ცხოვრება ყოველთვის აინტერესებდათ მათ თანამედროვეებსა და შთამომავლობას. ხოლო თუ ეს პირადი ცხოვრება ადოლფ ჰიტლერისაა, რომლის შესახებაც თითქმის არაფერია ცნობილი, ვარაუდებსა და ჭორებს ბოლო არ უჩანს. გთავაზობთ უნიკალურ მასალას ბრიტანული ჟურნალიდან The Clobe, რომელიც ჰიტლერის სავარაუდო შვილების ბედს ეხება.

პროექტი „თორი“

ის ფაქტი, რომ ჰიტლერს შეეძლო ჰყოლოდა შვილები, ეჭვს არ იწვევს. ახალგაზრდობაში მას რამდენიმე გატაცება ჰქონდა და, როგორც ჟურნალი ამტკიცებს, ერთმა მეგობარმა ქალბატონმა, ვინმე ჰილდა ლოკამპმა, მას ვაჟიშვილიც კი გაუჩინა, რომლის შემდგომი ბედი უცნობია.

უკანასკნელი მამაკაცი, რომელიც თავს ჰიტლერის შვილად აცხადებდა, 2012 წელს გამოჩნდა. ფრანგი ჟურნალისტების ცნობით, ადოლფ ჰიტლერისა და ახალგაზრდა ფრანგი გოგონას ვაჟი პირველი მსოფლიო ომის დროს დაიბადა, სადაც მომავალი ჰიურერი მოხალისედ წავიდა.

იმის შესახებ, რომ იგი ჰიტლერის ნაშიერი იყო, საფრანგეთის მოქალაქე ჟან-მარი ლორემ ჯერ კიდევ 1981 წელს განაცხადა, როცა საკუთარი ავტობიოგრაფია გამოაქვეყნა მრავლისმთქმელი სათაურით „მამაშენს ჰიტლერი ერქვა“. ოთხი წლის შემდეგ ავტორი 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ისე, რომ საკუთარი წარმომავლობის დამტკიცება ვერ შეძლო.

ვერსიას, რომ ოფიციანტ მადამ მადლენ ლე რუას ერთ-ერთი ვაჟიშვილი ჰიტლერის ვაჟია, მყარი საფუძველი გააჩნია, მაგრამ მათი ნათესაობის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი არ არსებობს.

დოკუმენტები ვერც იარსებებდა, რადგან ბავშვი შემთხვევთი ურთიერთობის შედეგად დაიბადა და დედა ვერ განაცხადებდა პრეტენზიას ფიურერის მიერ მამობის აღიარებასთან დაკავშირებით, რის შესახებაც საიდუმლო დღიურში აკეთებდა ჩანაწერებს.

ადოლფ ჰიტლერს არამარტო შვილების ყოლის შესაძლებლობა, არამედ ამის სურვილიც ჰქონდა. ამბობენ, რომ მას შურდა სტალინის, რომელსაც შეეძლო ძალაუფლება საკუთარი ვაჟიშვილებისთვის გადაეცა. ამიტომ დროული აღმოჩნდა სრულიად საიდუმლო პროექტი „თორი“, რომელსაც ჰენრიხ ჰიმლერი ხელმძღვანელობდა.

პროექტის თანახმად, დაგეგმილი იყო ხელოვნურად გაენაყოფიერებინათ 18-დან 27 წლამდე ასაკის ასი ქალი, მათი უმრავლესობა გერმანელი იყო და მხოლოდ ორი იყო ნორვეგიელი: ჰიტლერი მოითხოვდა, რომ მისი სისხლი „ვიკინგების სისხლს შერეოდა“.

მაგრამ განაყოფიერების ყველა მცდელობა როდი აღმოჩნდა შედეგიანი. „ლებენსბორნი“ №1146 საიდუმლო ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომლის, ექიმ ალესანდრო ჯენოვეზის თქმით, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე კომპლექსის ლაბორატორიაში 22 ახალშობილი იმყოფებოდა! ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელობა ამ ბავშვებისგან უკვე ადრეულ ასაკშივე ელოდებოდა გენიალური ტალანტების გამოვლენას. თუმცა, არც ერთ მათგანს უნიკალური შესაძლებლობები არ გამოუვლენია.

1945 წლის მაისის დასაწყისში სპეცკომპლექსში ევაკუაციის შესახებ ბრძანება მივიდა. ყველა დოკუმენტი განადგურდა, ბავშვები კი გერმანული და ავსტრიული უახლოესი სოფლების გლეხებს დაურიგეს.

ფიურერის ვაჟი... ამერიკაში

ყოველ შემთხვევაში, თუ ასეთი ადამიანები არსებობენ, მათ საკუთარი წარმომავლობის შესახებ არაფერი იციან. მათ არაფრის დამალვა არ მოუწევთ და არც რაიმეს შიში ექნებათ, როგორც აშშ-ის მოქალაქე ვერნერ შმედტს, რომელმაც მხოლოდ ახლახან აცნობა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, რომ იგი ჰიტლერის კანონიერი ვაჟია.

ამის დაჯერება ძალიან ძნელია, მაგრამ ვერნერმა ჟურნალისტებს შესთავაზა ფოტოები, სადაც გამოსახულნი არიან... იგი, მისი მამა (მესამე რაიხის ფიურერი) და დედა — ხელგადახვეულები! არსებობს ასევე დაბადების მოწმობა, სადაც გრაფაში „მშობლები“ კონსპირაციის მიზნით აღნიშნულია მხოლოდ ინიციალები: მამა — „ჰ“, დედა — „რ“ და დაბადების თარიღი — 1929 წლის 23 თებერვალი.

ადოლფ ჰიტლერი ვაჟიშვილის თვალით. ვერნერ შმედტის წიგნიდან

— ჰიტლერს ტკბილეულობა უყვარდა. იგი პირდაპირ საშაქრიდან იღებდა შაქრის ნატეხებს და ახრამუნებდა. ვახშმობისას მთელი კოლოფი კანფეტის შეჭმა შეეძლო. თუ მე ვთხოვდი, ბრძანებას გასცემდა, რომ ჩემთვის სხვა ყუთი მოეტანათ, თავის ყუთს ბოლომდე თვითონ ჭამდა.

— მამა ხშირად მიკითხავდა საბავშვო წიგნებს. ყველაზე მეტად მას მოსწონდა მოთხრობები ინდიელებისა და კოვბოების შესახებ. იგი ამბობდა, რომ ასეთი წიგნების წაკითხვით მსოფლიოსა და სხვადასხვა ქვეყნების შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება.

— მამას ძალიან უყვარდა ფოკუსები და ჩვენთან სახლში იწვევდა პროფესიონალ ილუზიონისტებს. თუმცა, არასდროს სთხოვდა მათ საკუთარი საიდუმლოს გამხელას. იგი თვლიდა, რომ საიდუმლო საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. თავად მამა შესანიშნავად ასრულებდა ერთ ფოკუსს — როცა ხელში ფული ქრებოდა. მე ვეხვეწებოდი, რომ მას კურდღელი ამოეყვანა შლაპიდან, ის კი პასუხად იცინოდა: ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატებაო.

გამოდის, რომ ვერნერ შმედტის დედა ჰელი რაუბელი იყო, ჰიტლერის ახალგაზრდა ნათესავი, რომელიც მას ვნებიანად უყვარდა. ჰელიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (სხვა ვერსიით, იგი ეჭვიანობის ნიადაგზე თავად ჰიტლერმა მოკლა), როცა ბიჭუნა 5 წლის იყო და მას შემდეგ ვერნერს ზრდიდნენ ძიძები გერმანიასა და ავსტრიაში.

ვერნერის სიტყვებით, მამა მას რეგულარულად ნახულობდა. თუ ჰიტლერს შესაძლებლობა მიეცემოდა, იგი ღამითაც რჩებოდა იმ ციხესიმაგრეში, სადაც ბიჭუნა იმყოფებოდა. უსაფრთხოების მიზნით ვერნერი ხშირად გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე. დაბადებიდან 10 წლის თავზე ჰიტლერმა ვაჟს ის ცხენი აჩუქა, რომელიც მას მუსოლინიმ მიართვა.

როგორც ბატონი შმედტი ამტკიცებს, მისი უკანასკნელი შეხვედრა მამასთან 1940 წლის ბოლოს შედგა. ჰიტლერმა უთხრა, რომ ომი მიმდინარეობდა და რამდენიმე წელი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ, ხოლო გამარჯვების შემდეგ მთელ სამყაროს აჩუქებდა. ეს დრო აღარ დადგა, ვერნერი კი იძულებული იყო, თავის გადარჩენის მიზნით, დაემალა თავისი წარმომავლობა და ადგილსამყოფელი.

1951 წელს იგი აშშ-ში დასახლდა, დაამთავრა უნივერსიტეტი, მუშაობდა მსხვილ სამშენებლო ფირმაში. შმედტმა საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. ახლა, ჰიტლერთან საკუთარი ნათესაობის დასამტკიცებლად იგი მზად არის დნმ-ის ანალიზი გაიკეთოს. თუმცა ამ ანალიზისთვის საჭიროა მამამისის უჯრედები. მაგრამ, ჯერჯერობით, რუსეთის მთავრობა, სადაც, როგორც ამტკიცებენ, ჰიტლერის თავისქალა ინახება, ამ თემაზე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

ავსტრალიელი მისტიფიკატორი

ამ რამდენიმე ხნის წინათ ავსტრალიაში განიხილებოდა ვინმე მიტჩელ ო'ჰარას საქმე, რომელმაც თავი ჰიტლერის ვაჟიშვილად და იმ იარაღის მფლობელად გამოაცხადა, რომლითაც ჰიტლერმა თავი მოიკლა.

ჩატარებულმა გამოძიებამ სასამართლო ბრალმდებელს საშუალება მისცა, დაემტკიცებინა, რომ ო'ჰარამ გააყალბა ასეულობით დოკუმენტი, იგი ქირაობდა თარჯიმნებს საბუთების სათარგმნად, სპეციალური ექსპერტები კი ეხმარებოდნენ, იარაღი რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა.

ამ ისტორიაში ბევრი რამ ბუნდოვანია არამარტო იარაღის წარმომავლობასთან, არამედ თავად ო'ჰარასთან დაკავშირებითაც. მისი დაბადების წელია 1944.

ეჭვგარეშეა, რომ ო'ჰარას წიგნები სენსაციის მოყვარულ მკითხველებსა და იმ ადამიანებს შორისაც, ვისაც კარგად ახსოვს ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი და რომლებსაც „მეორე ჰიტლერის“ გამოჩენის ეშინიათ, პოპულარული იქნება. ასე რომ, ფიურერის შთამომავლების შესახებ საქმეში საბოლოო წერტილის დასმა ჯერ ადრეა...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
ვაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა